გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№26 (782) 8 - 10 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

ირმა ინაშვილი: „ქართული ოცნების“ მთავარი შეცდომა განურჩევლობის პრინციპის დამკვიდრებაა!“

რა სიურპრიზს უმზადებს ჟურნალისტი ახალ ხელისუფლებას

გვ. 5

მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი „ოცნების“ „იალიმებზე“ აღაპარაკდა?!

რა კავშირი აქვს ვანო მერაბიშვილს პუტინის მრჩეველ სადიკოვთან და ვისი დავალებით იქმნება პოლიტიკური პარტია „შულავერი“

ვის ელაპარაკა ტელეფონით მოსკოვში შს ყოფილი მინისტრი და რა მიზნები აქვს მილიარდერთა კლუბს

გვ. 3

ახალი საკანონმდებლო პაკეტი

გვ. 11

„ნატახტარის“ ლიმონათი ახალი შეფუთვით კვირის ბოლოს გამოვა

თორნიკე ნიკოლაიშვილი: „სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ აბერბაიჯანში „ნატახტარის“ ლიმონათის გარეშე, სუფრაც კი არ იშლება“

გვ. 12

„ქართული ფოლადი“ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აქტივების დაბრუნებას ითხოვს

სქემა, რომლითაც ვანო მერაბიშვილის წარმომადგენლებმა საწარმო მიითვისეს და გააკოტრეს

გვ. 7

სტუდენტები და პროფესორები ალექსანდრე კვიტაშვილის გადაყენებას ითხოვენ

გვ. 14

ქალებისგან დაჩაგრული ქართველი კაცები

გვ. 10

„ცოლი მობილურზე ზარებს მიმოწმებს, მესიჯებს კითხულობს. მისი თვალთვალის გამო, დამისაა, გავგიჟდე...“

სად და რა ვითარებაში მიიღეს ტრავმები „ოცნების“ მინისტრებმა

კახი კალაძეს ფეხი ეტკინა, დავით კირვალიძეს მყესი გაუწყდა, დიასპორის მინისტრს ხელი მოსტყდა, დევნილთა მინისტრს კი, თვალი ჩაუღურჯდა

გვ. 2

სად და რა ვითარებაში მიიღეს ტრავმები „ოცნების“ მინისტრებმა

კახი კალაძეს ფეხი ეტკინა, დავით კირვალიძეს მყესი გაუწყდა, დიასპორის მინისტრს ხელი მოსტყდა, დევნილთა მინისტრს კი, თვალი ჩაუღურჯდა

7 მარტის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, როგორც „პალიტრა.ტვ“ იუწყება, ოთხი მინისტრი უჩვეულო მდგომარეობაში გამოცხადდა: ენერგეტიკის მინისტრის, კახი კალაძის კოჭლობის მიზეზი სნოუბორდით სრიალისას მიღებული ტრავმა აღმოჩნდა; სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე ყავარჯნით მივიდა სხდომაზე — მისი ფეხის ტკივილის მიზეზი ფეხბურთის თამაშია, რა დროსაც მინისტრს მყესი გაუწყდა. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თაბაშირში ჩასმული მარცხენა ხელით დაესწრო სხდომას, თუმცა კოტე სურგულაძის „დაზარალების“ მიზეზი უცნობია. მარცხენა თვალი ჩალურჯებული აქვს დევნილთა და განსახლების მინისტრ დავით დარახველიძეს, რომელმაც ჟურნალისტების დანახვაზე სახეზე ხელი აიფარა და ასე სცადა თვალის დამალვა. როგორც გაირკვა, მინისტრი თვალზე მკურნალობის კურსს იტარებს.

სხვათა შორის, მინისტრები სააკაშვილის მთავრობაშიც „შავდებოდნენ“. ასე, მაგალითად, თავის დროზე მხარშეხვეული დადიოდა კანცელარიაში გია ბარამიძე. მაშინ ითქვა, რომ ბარამიძე ბაკურიანსა თუ გუდაურში სრიალისას დაზიანდა, თუმცა კულუარებიდან გამოჟონა ხმამ, რომ ბარამიძე სააკაშვილისა და იმჟამინდელი პრემიერის, გეგა მგალობლიშვილის „ორთაბრძოლაში“ დაშავდა, ანუ მიშამ მგალობლიშვილს საფერფლე ესროლა და, პრემიერი რომ არ დაშავებულიყო, ბარამიძე გადაეფარა. მხარიც სწორედ ამ დროს დაუზიანდა...

ისე, ტრავმა ერთხელ, „ახლების“ ყოფილმა ლიდერმა, დავით გამყრელიძემაც მიიღო — ცხენიდან ჩამოვარდა და რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას გამოეთიშა.

ერთი სიტყვით, პოლიტიკოსებიც ადამიანები არიან და „ადამიანური ისტორიები“ უცხო არც მათთვისაა...

თებერვალში პატიმრობიდან 7 669 პირი გათავისუფლდა

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თებერვალში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული 7 669 პირი (ბრალდებული/მსჯავრდებული) გათავისუფლდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, მათ შორის: საპატიმრო სასჯელის მოხდისგან სრულად გათავისუფლდა 2 712 ბრალდებული/მსჯავრდებული, საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა 419 მსჯავრდებულს, საპატიმრო სასჯელი შეუმცირდა 4 538 მსჯავრდებულს.

ამნისტირებულ 7 669 ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შორის 7 431 მამრობითი (არასრულწლოვანი 40, სრულწლოვანი 7 204, ხანდაზმული 187) და 238 მდედრობითი (სრულწლოვანი 227, ხანდაზმული 11) სქესის იყო.

გარდა ამისა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თებერვალში პრობაციის ეროვნული სააგენტოს აღრიცხვაზე მყოფი 7 421 პირობით მსჯავრდებულიც იქნა ამნისტირებული. მათ შორის პირობითი მსჯავრი მოეხსნა 4 989 მსჯავრდებულს, მსჯავრი გაუნახევრდა 529-ს, ხოლო პირობითი მსჯავრი შეუმცირდა 1 903 პირს.

ამნისტირებულ 7 421 პირობით მსჯავრდებულს შორის 6 809 მამრობითი (არასრულწლოვანი 96, სრულწლოვანი 6 568, ხანდაზმული 145) და 612 მდედრობითი (არასრულწლოვანი 7, სრულწლოვანი 579, ხანდაზმული 26) სქესის იყო.

„ინტერპრესნიუსი“

ყალბი ფულის შენახვის ფაქტზე თურქეთის მოქალაქეები დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ფულის შენახვის ფაქტზე, თურქეთის მოქალაქეები დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აბუბექირ ბილიგჩმა და ოზქან ოზოთურმა თურქეთის რესპუბლიკიდან სარფის სასაზღვრო კონტროლის ზონის გავლით, საქართველოს ტერიტორიაზე გასაღების მიზნით შემოიტანეს ყალბი ფული 2000 თურქული ლირა და 2500 აშშ დოლარი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სარფის საბაჟოზე დაავადებული კარტოფილით სავსე კონტეინერი დააკავეს

როგორც „პირველს“ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 6 მარტს, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, თურქეთიდან 49900 კგ კარტოფილით სავსე კონტეინერი შემოვიდა.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარული, ფიტო-სანიტარული და არასატარიფო ღონისძიებების სამმართველოს თანამშრომლებმა, საბაჟო პროცედურების განხორციელებისას, პირველადი შეფასებით, ტვირთში კარტოფილის საკარანტინო მავნებლის, Synchytrium endobioticum (Schilb) Perc — კარტოფილის კიბოს და საკარანტინო მიკროორგანიზმის Ralstonia solanacearum — მურა სიდამპლის არსებობაზე მიუთითეს. საკარანტინო ობიექტის იდენტიფიკაციისა და დადასტურების მიზნით, ნიმუში სპეციალურ ლაბორატორიაში გადაიგზავნა.

ლაბორატორიულმა კვლევამ კარტოფილის ნიმუშებში, საკარანტინო მავნებელი Synchytrium endobioticum (Schilb) Perc — კარტოფილის კიბო დაადასტურა.

საქართველოს მთავრობის 429 დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას ექვემდებარება.

„პირველი“

აჭარელმა მწერლებმა ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხი გააპროტესტეს

„ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ბათუმიდან იუწყება, რომ მწერლები ბათუმის მწერალთა კავშირის შენობაში შეიკრიბნენ და აღნიშნეს, რომ ახალი მეჩეთის მშენებლობა საჭირო არ არის. როგორც პოეტმა ვახტანგ ღლონტმა განმარტა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოსახლეობაში გამოკითხვა უნდა ჩატარდეს.

„სამშობლო მხოლოდ პოლიტიკოსებს არ ეკუთვნის, ხალხს უნდა დავეკითხოთ პირველ რიგში, ასე აკეთებენ ცივილიზებულ ქვეყნებში. თუ იქნება ხალხისგან ეს მოთხოვნა, მათ შეუძლიათ ადგილზე გაფართოვდნენ“, — აღნიშნა ვახტანგ ღლონტმა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ, თავადაზნაურთა საკრებულოს ხელმძღვანელები და სამღვდელოების წარმომადგენლები.

„ინტერპრესნიუსი“

სოხუმში აფხაზეთის დრამატულ თეატრში ხანძარი გაჩნდა

ამ ინფორმაციას აფხაზური მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, მეხანძრეებმა ადგილზე დროულად მისვლა შეძლეს, რის გამოც ხანძრის ლოკალიზება მოხერხდა.

ხანძრის წარმოქმნის მიზეზად, მოკლე ჩართვა სახელდება. აფხაზური მედიის ინფორმაციით, თეატრის შენობის გუმბათი გადარჩა და მხოლოდ ხის საყრდენები დაიწვა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

უნგრეთის დედაქალაქში თბილისის მოედანი გაიხსნა

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში თბილისის მოედანი საქართველოს ელჩმა ზვიად ჭუმბურიძემ და ბუდაპეშტის ვიცემერმა ტამაშ სენტეშმა გახსნეს.

ცერემონიალზე საქართველოს ელჩმა ზვიად ჭუმბურიძემ ბუდაპეშტის ვიცემერს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის საელჩოს მედალი „საქართველოს მეგობარი“ გადასცა.

ბუდაპეშტში საქართველოს საელჩო თბილისის მოედნის გახსნის საკითხზე მოლაპარაკებებს 2010 წლიდან აწარმოებდა. მოლაპარაკებების შედეგად, ბუდაპეშტის მერიის გენერალური ასამბლეის 2013 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, ქალაქის ერთ-ერთ მოედანს თბილისის სახელი მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ბუდაპეშტში 2010 წელს ასევე დაარსდა შოთა რუსთაველის მოედანი და პოეტის ძეგლი დაიდგა.

„პირველი“

ესპანეთში ქართველი კრიმინალები დაიჭირეს



ესპანელმა სამართალდამცავებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს, რომლებმაც ყალბი ინტერნეტბანკის მეშვეობით, 300 ათასი ევრო მიითვისეს.

ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფი ათი პირისგან შედგებოდა, მათ შორის ქართველები, უკრაინელები და ესპანელები არიან. ისინი ძირითადად, კატალონიის პროვინციაში ცხოვრობდნენ.

დაკავებულ ქართველთა ვინაობა არ ხმაურდება. გამოძიება ესპანეთში გასული წლის აგვისტოდან მიმდინარეობდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ-თაღლითთა საქმიანობის შედეგად დაზარალებულთა რაოდენობამ ორმოცს გადააჭარბა.

ცნობილია, რომ დაკავებულები მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანთა პირად მონაცემებსა და ანგარიშის ნომრებს აგროვებდნენ და მომავალ მსხვერპლთა სიას ამის დახმარებით ადგენდნენ.

„ნიუპოსტი“

რა კავშირი აქვს ვანო მერაბიშვილს პუტინის მრჩეველ სადიკოვთან და ვისი დავალებით იქმნება პოლიტიკური პარტია „შულავერი“

ნათია აბაშიძე

მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ თავხედობას, როგორც იტყვიან, საზღვარი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური მიმომხილველები ამბობენ, რომ იმას, რაც მიშამ აზერბაიჯანში ვიზიტის შემდეგ გააკეთა, მსოფლიო პოლიტიკურ ქრესტომათიაში ანალოგი არ მოეძებნება. მაინც, რა ჩაიდინა ასეთი სააკაშვილმა? რა და, აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ლამის, დამხობა უწინასწარმეტყველა.

ვის ეცაპარაკა ტელეფონით მოსკოვში შს ყოფილი მინისტრი და რა მიზნები აქვს მილიარდერთა კლუბს

საერთოდ, სააკაშვილს ისეთი „უჭირავს“, თითქოს ილჰამი მისი განუყრელი ძმაკაცია, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, კულუარებში ორი პრეზიდენტის ურთიერთობაზე არცთუ სასიამოვნო ჭორი გავრცელდა, ესაო, ისაო, ალიევის თბილისური ვიზიტის დროს, ვახშამზე მიშას სასმელი მოეძალა და სუფრასთან არაკორექტულად მოიქცა, რაც აზერბაიჯანის პირველ პირს ძალიან არ ესიამოვნა და სააკაშვილს დელიკატურად მიანიშნა, შენთან ურთიერთობის სურვილი აღარ მაქვსო.

ჩვენში დარჩეს და, გამორიცხული არაა, სააკაშვილისა და ალიევის ურთიერთობის გაფუჭებაზე ხმა, თავის დროზე, მიზანმიმართულად გავრცელდა, თორემ ორი პრეზიდენტი, მართლაც, უბრალ რომ იყოს, სააკაშვილი აზერბაიჯანს წარამარა ვეღარ ესტუმრებოდა, თუმცა ბაქოში ბოლო ვიზიტის შემდეგ გაკეთებული განცხადებისთვის ალიევმა სააკაშვილს, შესაძლოა, „პასუხი მოსთხოვოს“.

მაშ ასე, თბილისის აეროპორტში ფეხი დადგა თუ არა, „ნაცბელადმა“ ოკუპანტებთან მებრძოლთათვის დამახასიათებელი პათოსით განაცხადა:

„ძალიან თბილი დახვედრის გარდა, დავინახე, რამდენად დიდი საფრთხის წინაშე ვიმყოფებით ჩვენცა და აზერბაიჯანიც. რუსეთში შეიქმნა დიასპორა, რომელშიც არის ვინმე გარდაბნელი სადიკოვი, ძალიან მდიდარი რუსი, ერთ-ერთი ე.წ. ბიზნესმენი, შეიყვანეს ალეკპეროვი და რამდენიმე სხვა რუსი მილიარდერი, რომელთა მიზანია ზუსტად იმავე სცენარით ბრძოლა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გარანტის, ამ ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ, როგორი სცენარითაც საქართველოში აწარმოეს გასული წლის ოქტომბერში, არჩევნებზე — ფულის გამოყენებით, ოლიგარქების გამოყენებით, რუსული კაპიტალის გამოყენებით, შანტაჟისა და სხვადასხვა პროვოკაციების გამოყენებით. ეს სადიკოვი არის გარდაბნელი და მან განაცხადა, რომ იბრძოლებს საქართველოში აზერბაიჯანელთა ავტონომიისთვის... როდის იყო ბოლოს ლაპარაკი საქართველოში ჯავახეთის ავტონომიაზე, ქვემო ქართლის ავტონომიაზე, აზერბაიჯანზე, სომხეთზე — ბოლო 8 წელიწადი არ ყოფილა. მე სულაც არ მიხარია, რომ ახლა ამაზე ვსაუბრობ“.

მართალია, ეს გარდაბნელი სადიკოვი რეალურად არსებობს, მაგრამ როგორც „ვერსიის“ კონფიდენციალური წყარო ამბობს, „სადიკოვის თემა“ „ნაციონალების“ მორიგი პიარსვლაა, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ივანე მერაბიშვილმა „მოხარშა“.

როგორ გაჩნდა და რას ემსახურება „სადიკოვის ტრიუკი“? ვიდრე ამ თემას განვავრცობთ, შეგახსენებთ, რომ საფრთხე, რომელზეც მიხეილ სააკაშვილის ზემოხსენებულ განცხადებაშია აქცენტი გაკეთებული, შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცებით, უსაფუძვლოა.

„აბსოლუტურად არანაირი საფრთხე არ არსებობს, არის მშვიდი სიტუაცია და თუ ვინმე დაგეგმავს ან გეგმავს პროვოკაციებს, ის მკაცრად დაისჯება“, — აცხადებს ღარიბაშვილი.

არადა, როგორც „ვერსიის“ წყარო ამბობს, სადიკოვის თემა წმინდა პროვოკაციაა. ძნელი სათქმელია, ინფორმატორის ვერსია სიმართლესთან ახლოსაა თუ არა, მაგრამ როგორც „ვერსიას“ უთხრეს, მოსკოველი სოიუნ სადიკოვის ახლო ნათესავი მარნეულში ცხოვრობს, რომელსაც ადგილობრივ აზერბაიჯანელებზე ერთგვარი გავლენა აქვს. ამასთან, ჩვენებური სადიკოვი მერაბიშვილის დიდი ხნის ძმაკაცი ყოფილა. ჰოდა, ნახერხემალს მარნეულელი და მოსკოველი სადიკოვების „საკუთარი მიზნებისთვის“ გამოყენება გადაუწყვეტია და მთელი ეს „აზერბაიჯანული ინტრიგა“, როგორც წყარო ამბობს, ტელეფონით დაუგეგმავს, ანუ ჯერ მოსკოველ სადიკოვს შეხმიანებია და უთქვამს, ჩვენი საქმე ცუდად მიდის და შენი დახმარება გვჭირდებაო. რაშია საქმეო, დაინტერესებულა თანამოსაუბრე. ჰოდა, ივანესაც ჩამოურაკრაკებია, მოსახლეობა რუსეთით უნდა დავაშინოთ და ამ საქმისთვის გვჭირდებიო.

ისე, ცოტა დაუჯერებელია, ასეთი „მნიშვნელოვანი ინტრიგა“ მერაბიშვილმა, რომელიც შს მინისტრობის დროს, მთელ ქვეყანას უსმენდა, ტელეფონით დაგეგმა, მაგრამ თუ მართლაც ასე მოხდა, „ვერსიის“ წყაროს თქმისა არ იყოს, საინტერესოა, ეს დეტალი ქვეყნის უშიშროებას როგორ ან რატომ გამორჩა.

რასაკვირველია, გამორიცხული არაა, ეს მიზანმიმართულად შემოგდებული ვერსია იყოს, მაგრამ ასეა თუ ისე, წყაროს ინფორმაციით, პროვოკაციის პირველი ეტაპი სწორედ ის ყოფილა, რაც ბაქოდან დაბრუნებულმა სააკაშვილმა გააკეთა — პოლიტიკურ ველში სადიკოვი „შემოაგდო“ და ამით სიტუაცია, ასე ვთქვათ, დატესტა.

„ნაციონალების“ ფარული გეგმის მეორე ეტაპი კი, როგორც „ვერსიის“ წყარო ეჭვობს, დაახლოებით, ასეთი იქნება: ეს სადიკოვი გამოვა და იტყვის, რომ პოლიტიკურ პარტიას ქმნის, რომელსაც „შულავერი“ ერქმევა და რომელიც მარნეულში და, საერთოდ, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებების დასაცავად იბრძოლებს.

სხვათა შორის, საქართველოს უახლოეს ისტორიას თუ გადავხედავთ, არ ყოფილა პრეცედენტი, ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობის ავანგარდში ყოფილიყვნენ. შესაძლოა, ასეთი გამოსვლები ცალკეულ პერსონებს ჰქონდათ, მაგრამ ქართველი აზერბაიჯანელები ყოველთვის ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ. ეს კი არა და, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველ გუნდს ყოველთვის ამ ელექტორატის იმედი ჰქონდა...

რაც შეეხება თავად სოიუნ სადიკოვს, ის წარმოშობით გარდაბნელი აზერბაიჯანელია და ამჟამად, რუსეთში სამშენებლო ბიზნესითაა დაკავებული. ამასთან, არსებობს ინფორმაცია, რომ სადიკოვი მოსკოვში, აზერბაიჯანული სათვისტომოს საფარქვეშ შექმნილი ე.წ. მილიარდერთა კლუბის წევრია. ამ კლუბის მიზანი, როგორც კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არეშიძე ამბობს, აზერბაიჯანის მოქმედ ხელისუფლებასთან დაპირისპირებაა.

„სადიკოვი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ჩვეულებრივი წევრია და განსაკუთრებული ფუნქცია არ აქვს, თუმცა სააკაშვილმა, რორგორც სჩვევია, ამ ადამიანის ამპლუა გაზარდა“, — მიიჩნევს არეშიძე.

რუსული მედიის ცნობით კი, სადიკოვი პრეზიდენტ პუტინთან დაახლოებული პერსონაა — წინასაარჩევნო კამპანიის დროს პუტინის მრჩეველი იყო. დღეს კი, რუსეთის მთავრობასთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოში მოღვაწეობს. აღსანიშნავია, რომ სადიკოვი, თავის დროზე, საბჭოთა უშიშროებაში მუშაობდა...

მიხეილ სააკაშვილის ზემოხსენებულ განცხადებას თავად სოიუნ სადიკოვიც გამოეხმაურა. ცხადია, პოლიტიკურ პარტია „შულავერზე“ მინიშნებაც არ გაუკეთებია და ტელეკომპანია „იმედთან“ საუბრისას, მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

„ნუ წამოეგებით პროვოკაციას. სააკაშვილი ძალაუფლებას კარგავს და არ იცის, როგორ შეინარჩუნოს გავლენა. მას რომ ჭკუა ჰქონდეს, რუსეთთან საერთო ენას გამონახავდა, რომ არა რუსეთი, საქართველო როგორც სახელმწიფო, არ იარსებებდა. არ უნდა დაგავიწყდეთ, ქართველები აქ შრომობენ და ეს ფული საქართველოს ეკონომიკას უწყობს ხელს. მესმის, ალიევი მას კარგად გაუმასპინძლდა და ახლა სააკაშვილი მის სიმღერას მღერის, მაგრამ თუ შენ პრეზიდენტი ხარ და ეს პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქეებმა დაგაკისრეს, არ უნდა მოექცე გავლენის ქვეშ. სააკაშვილის განცხადება ექსტრემიზმისა და სისხლისღვრისკენ მოწოდებაა“.

ძნელი დასაჯერებელია, სააკაშვილის ამ „აზერბაიჯანულმა ავანტიურამ“ გაამართლოს, მაგრამ ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. სიფრთხილე კი, თუნდაც იმიტომაა საჭირო, რომ სადიკოვის ბეგრაუნდში პუტინი და საბჭოთა უშიშროება ფიგურირებს.

ვერსიანიუსი

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირობით მსჯავრდებულები შეღავათებით ისარგებლებენ

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირობით მსჯავრდებულთათვის პრობაციის ბიუროში გამოცხადების შეღავათიანი რეჟიმი დაწესდება.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირობით მსჯავრდებულებს, რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის მიხედვით კვირაში ერთხელ რეგისტრაციისათვის უწევთ გამოცხადება პრობაციის ბიუროებში, ახალი წესის მიხედვით, პრობაციის ბიუროში გამოცხადების ვალდებულება ორ კვირაში ერთხელ ექნებათ.

ამასთან, 2013 წლის 28 მარტს პირობითი მსჯავრის გაუქმების მუდმივმოქმედი კომისია შეიკრიბება.

განცხადებების სიმრავლის გამო, კომისია ამ სხდომაზე არ განიხილავს პირობითი მსჯავრის გაუქმების თაობაზე მსჯავრდებულთა საქმეებს, რომელთაც ჩადენილი აქვთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (გარდა 260-ე მუხლისა), აქვთ კანონით დადგენილი რეჟიმის ერთზე მეტი მოქმედი დარღვევა, სასამართლოს მიერ გაგრძელებული აქვთ გამოსაცდელი ვადა, სასამართლოს მიერ გამოცხადებული იყო ძებნა, წარსულშია ნასამართლევი ან კანონით დადგენილი ნებართვის გარეშე, აქვს საზღვრის კვეთა ან კვეთის მცდელობა.

კომისიის მხრიდან პრიორიტეტი მიენიჭება იმ პირობით მსჯავრდებულებს, ვისაც გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე დარჩენილი აქვთ არაუმეტეს ერთი წლისა.

კომისია სხდომაზე ასევე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის თაობაზე განცხადებებს განიხილავს.

„პირველი“

მიხეილ სააკაშვილმა „აღმოსავლეთთან ურთიერთობების გაღრმავების“ სხდომაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა საბერძნეთში ვიზიტის ფარგლებში, „აღმოსავლეთთან ურთიერთობების გაღრმავების“ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ ისაუბრა და ყურადღება ევროპის სახალხო პარტიასთან ურთიერთობების გაღრმავებისა და შემდგომი თანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობაზე გაამახვილა.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს ევროპული კურსი შეუქცევადია და ქვეყანა კვლავაც განაგრძობს სწრაფვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ.

„პირველი“

ბიძინა ივანიშვილი გია დვალს მადლობას უხდის

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელს გია დვალს 4-თვიანი მუშაობის შედეგად შემუშავებული დოკუმენტისთვის მადლობას უხდის.

„ჩემო გია, მოგიკითხავ დიდი სიყვარულით. პირველყოვლისა, მინდა, გითხრა მადლობა პირადად შენ და მთელ თქვენ გუნდს იმ სამუშაოსთვის, რომელიც ამ ოთხ თვეში შესრულდა. თქვენ ახერხებდით არა მხოლოდ კონცეპტუალურ მუშაობას, არამედ აქტიურნი იყავით მედიასა და საზოგადო განხილვებში. ეს ის სწორი გზაა, როგორც იწყება და ხორციელდება ჭეშმარიტი რეფორმები. დღეს, როგორც შენ მომწერე, კონცეპტუალურ დოკუმენტზე მუშაობა, ფაქტობრივად, დასრულებულია, ჩამოყალიბებულია ძირითადი ხედვა და დაუყოვნებლივ დასაწყებია რეფორმების პროცესი. შესანიშნავია. სრულიად გეთანხმები, რომ ფორმალობები და საკანცელარიო რეგისტრაცია მეორეხარისხოვანია, როდესაც სახეზეა ენთუზიაზმი და რეალური საქმე. შენ და შენმა გუნდმა ოთხი თვე სრულიად უანგაროდ იმუშავეთ, შექმენით დოკუმენტი, ჩართეთ მის განხილვაში საზოგადოება — ესაა მთავარი. შენი წერილის შემდეგ, მე გიორგი მარგველაშვილს ვესაუბრე. მან დამიდასტურა, რომ მთლიანად ეთანხმება შენი კონცეფციის პრინციპებს. ასევე მითხრა, რომ საზოგადოებაში შენი კონცეფციის ალტერნატიული რაიმე სერიოზული შეხედულება არ განხილულა. ამის საფუძველზე, მე დავავალე მას რეფორმის დაუყოვნებელი დაწყება. ჩემო გია, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა უანგარო სამსახურისთვის, იმედი მაქვს, მალე განახავ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაუყოვნებლივ გადადგამს ქმედით ნაბიჯებს შენი იდეების განსახორციელებლად. მეც და გიორგისაც იმედი გვაქვს, კვლავაც აქტიურად ითანამშრომლებ სამინისტროსთან და მეც, ბუნებრივია, მიგულეთ თქვენს გვერდით. საუკეთესო სურვილებით“, — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის მიმართვაში.

„პირველი“

ბიზნესმენებისთვის დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის საქმეში ზოდელავა, ადეიშვილი და ღვინიაშვილი ფიგურირებენ

ბიზნესმენებისთვის დიდი ოდენობით თანხების გამოძალვის საქმეში ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი ღვინიაშვილი ფიგურირებენ, ამასთან დაკავშირებით, მთავარი პროკურატურა შპს „იურიდიული ოფისის“ დირექტორის, გიორგი ყავლაშვილის ჩვენებას აქვეყნებს:

„2011 წლის ივნისში (ზუსტი თარიღი არ მახსოვს) დამიკავშირდა ჩემი ნაცნობი, ბიზნესმენი ილია კოკაია და მითხრა, რომ მის შვილს ნინო კოკაიას თბილისში შეემთხვა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის გამოც დაკავებული იყო და აღკვეთის ღონისძიების სახით, შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა. ილიამ აქვე განმიცხადა, რომ მის შვილს იცავდა ადვოკატი მაია სირაძე. ილიას გადმოცემით, მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა მისი შვილის საქმეზე საშეღავათო გადაწყვეტილების მიღებას ხელოვნურად აჭიანურებდა, იმის მიუხედავად, რომ დაზარალებული მხარე პრეტენზიას არ აცხადებდა, ამასთანავე განმიმარტა, რომ მაია სირაძე რეგულარულად კონტაქტობდა ზედამხედველ პროკურორთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროკურატურა მისი შვილის პატიმრობის გირაოთი შეცვლასთან დაკავშირებით, თავს იკავებდა. ვინაიდან გამაჩნდა გარკვეული საქმიანი კონტაქტები პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირებთან, მთხოვა, რომ მოკლე დროში გამერკვია, თუ რას ითხოვდა პროკურატურა მისგან, რათა მისი ქალიშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი დროულად გადაწყვეტილიყო. მოცემული საუბრიდან მეორე დღესვე, მთავარ პროკურატურაში შევხვდი მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას. მას ვუთხარი, რომ ილია კოკაიას ქალიშვილის ინტერესებს წარმოვადგენდი და ილიას თხოვნა გადავეცი, რომ საკითხი გადაეწყვიტათ დროულად და შეეტყობინებინათ მისთვის, რა ოდენობის ჯარიმაზე იქნებოდა საუბარი. მურთაზ ზოდელავამ მიპასუხა, რომ საკითხს აუცილებლად გადაწყვეტდნენ, თუმცა საუბარი იქნებოდა ექვსნულიან ციფრზე, რომლის ზუსტ ოდენობასაც შეგვატყობინებდა იუსტიციის მინისტრთან ზურაბ ადეიშვილთან შეთანხმების შემდეგ. ზოდელავას სამუშაო ოთახიდან გამოსვლისთანავე, მისი ნათქვამი შევატყობინე ილია კოკაიას. ამ საუბრიდან რამდენიმე დღეში ილია კოკაიამ მითხრა, რომ ნინო კოკაიას ადვოკატს, მაია სირაძეს დაუკავშირდნენ თბილისის პროკურატურიდან და უთხრეს, რომ ნინო კოკაიასთან საპროცესო შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში და პროკურატურა ელოდა ილიასგან პასუხს აღნიშნულ წინადადებაზე. ამ საუბარში ილიამ ასევე მითხრა, რომ პროკურატურასთან ვაჭრობას მისი მხრიდან აზრი არ ჰქონდა, შეიძლება, უარესად გართულებოდა სიტუაცია და დამავალა თანხმობა გადამეცა პროკურატურისთვის. მანვე განმიცხადა, რომ სჭირდებოდა რამდენიმე დღე თანხის მობილიზაციისთვის და მანამდე გამერკვია, რა ანგარიშის ნომერზე უნდა მომხდარიყო თანხის გადარიცხვა. აღნიშნული საუბრიდან, დაახლოებით, ორ დღეში მე თბილისის პროკურატურის შენობაში მივედი ანგარიშის ნომრის ასაღებად და შევხვდი საქმის ზედამხედველ პროკურორს. მან განმიცხადა, რომ დასახელებული თანხა ჯარიმის სახით არ უნდა გადახდილიყო და მითხრა, დეტალები თვითონ გამერკვია ხელმძღვანელობასთან. მაშინვე ჩემი მობილური ტელეფონით დავუკავშირდი მთავარ პროკურორს, მურთაზ ზოდელავას მობილურ ტელეფონზე და ვუთხარი, რომ ილია კოკაია თანახმა იყო დასახელებული თანხის გადახდაზე, ვკითხე, სად უნდა გადაგვეხადა თანხა. მურთაზმა მითხრა, რომ აღნიშნული თანხიდან 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარად ილია კოკაიას ახალციხის მუნიციპალიტეტში უნდა შეეძინა გარკვეული ობიექტი, ხოლო დანარჩენი 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი უნდა გადაერიცხა კახეთის მუნიციპალური განვითარების ფონდში, რის შესახებაც მე დამიკავშირდებოდნენ როგორც ახალციხის, ასევე კახეთის გუბერნიებიდან. საუბრის დასრულების შემდეგ ტელეფონით დავუკავშირდი ილია კოკაიას (როგორც მახსოვს, მოცემულ დღეს ილია კოკაია იმყოფებოდა უცხოეთში) და შევატყობინე მურთაზ ზოდელავასთან საუბრის შინაარსი. იმავე ან მომდევნო დღეს დამიკავშირდა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე მინდია დევნოსაძე მობილური ტელეფონით და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა დემეტრაძე. დასახელებულ პირებს გავეცანი და ვუთხარი, რომ ვიყავი ბიზნესმენ ილია კოკაიას წარმომადგენელი და ალბათ, ისინი საქმის კურსში იყვნენ, რომ ილია კოკაია აპირებდა 3 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ქონების შეძენას მათ რაიონში. აღნიშნულმა პირებმა დამიდასტურეს, რომ მათთვის ცნობილი იყო ამის თაობაზე და მომცეს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლის, ვინმე თენგიზ ზედგენიძის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც გამარკვევდა შესაძენი ობიექტის აუქციონის დეტალებში. როგორც მახსოვს, მე დავუკავშირდი თენგიზ ზედგენიძეს, რომელიც საქმის კურსში იყო ბიზნესმენ ილია კოკაიას მხრიდან შესაძენ ქონებასთან დაკავშირებით, 3 000 000 დოლარის ოდენობით გადახდის შესახებ. თენგიზმა მითხრა, რომ შესაძენი ობიექტი მდებარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში და წარმოადგენდა ფერმას. ამასთანავე მითხრა, რომ მოგვევლინა წარმომადგენელი, რომელსაც გაარკვევდა დეტალებში და მიაღებინებდა მონაწილეობას აუქციონში. მე აღნიშნულის თაობაზე ვაცნობე ილია კოკაიას და ვუთხარი, რომ გამოეყო წარმომადგენელი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, თან შევატყობინე ანგარიშის რეკვიზიტები. ილიამ მთხოვა, რომ წარმომადგენლად მიმევლინა ჩემი თანამშრომელი და აქვე მითხრა, რომ რამდენიმე დღეში გადაიხდიდა თანხას და ქვითრები შემეძლო ამეღო მასთან, თბილისში მდებარე საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ოფისში. მოცემული ქონების შესაძენად, მე გამოვყავი ჩემი თანამშრომელი მირდატ ქამადაძე, რომელიც ჩემთან შეთანხმებით, დამოუკიდებლად აგვარებდა ყველა ტექნიკურ საკითხს და საბოლოოდ, 4 მილიონ 949 500 ლარად, აუქციონის წესით შეიძინა კიდევაც სოფელ აწყურში მდებარე ფერმა შპს „ჯორჯიან ინვესტმენტის“ სახელით. ახალციხის გამგეობის თანამშრომლებთან საუბრიდან რამდენიმე დღეში, ჩემი მობილურ ტელეფონზე დამიკავშირდა კახეთის რეგიონის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი და მითხრა, რომ მისი წარმომადგენლები (თუ ვინ არ მახსოვს) ელექტრონული ფოსტაზე, მომაწვდიდნენ კახეთის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის შესაბამის ანგარიშის ნომრებს, რომელზეც ილია კოკაიას უნდა შეეტანა 2 000 000 აშშ დოლარი. რამდენიმე დღეში მე მართლაც მივიღე აღნიშნული რეკვიზიტები, რომელიც შემდგომ მივაწოდე ილია კოკაიას. ილია კოკაიამ კი თავის მხრივ, რომელიღაც ფირმის სახელით შეიტანა დასახელებული თანხა. 5 000 000 აშშ დოლარის გადახდის ქვითრები მომაწოდა ილია კოკაიამ, რომლებიც როგორც მახსოვს, შემდგომ ან მე ან მაია სირაძემ მივაწოდეთ საქმის ზედამხედველ პროკურორს. მოცემული გადარიცხვებიდან რამდენიმე დღეში პროკურატურის მხრიდან გამოჩენილი იქნა მართლაც კეთილი ნება და ბრალდებულ ნინო კოკაიასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რის შედეგადაც, მას ძირითად სასჯელად დაუდგინდა პირობითი მსჯავრი და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით. მურთაზ ზოდელავამ ერთი კი მითხრა, რომ თუ პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების მიღწევა სურდა ნინო კოკაიას, ზემოხსენებული პირობა უნდა შეესრულებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე არსებითად განსახილველად წარიმართებოდა სასამართლოში და დადგენილი წესით მიესჯებოდა რეალური სასჯელი. აქვე მინდა, მოვახსენო გამოძიებას, რომ 2013 წლის იანვარში, მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით, ილია კოკაიას საჩივარი აქვს შეტანილი მთავარ პროკურატურაში, სადაც თავისი მხრიდან 5 000 000 აშშ დოლარის გადახდას ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად მიიჩნევს გამოძალვად. მას შემდეგ, რაც მირდატ ქამადაძემ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში, შპს „ჯორჯიან ინვესტმენტის“ სახელით შეიძინა ყოფილი მეცხოველეობის ფერმა, ჩემთვის და ილია კოკაიასთვის გახდა ცნობილი, რომ მოცემული ობიექტის რეალური ღირებულება შეადგენდა რამდენიმე ათას და არა 5 000 000 ლარს, თუმცა თავიდანვე ვვარაუდობდით, რომ აუქციონზე შესაძენი ქონება იქნებოდა გაცილებით დაბალფასიანი, ვიდრე ილია კოკაია იხდიდა. დამატებით მოგახსენებთ, რომ მსგავსი სცენარით, 1 000 000 (მილიონი) აშშ დოლარი გამოსძალეს ისრაელის მოქალაქეს ეფრაიმ გურს. კერძოდ, 2010 წელს ეფრაიმ გურის შვილი რონენ გური თავის მამიდაშვილთან, შიმონ შაშუაშვილთან ერთად, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ს 18-108-ე მუხლით (მკვლელობის მომზადება). მოცემულ ბრალდების საქმეზე მე ვიცავდი რონენ გურს, რომელიც იმ დროისთვის იყო მიმალვაში. მე საქმიანი ურთიერთობა მქონდა მის მამასთან, ეფრაიმ გურთან, რომელიც თვლიდა, რომ მისი შვილი იყო უდანაშაულო და სურდა მის მიმართ საქმის შეწყვეტის მიღწევა. ამ მიზნით, მეც და ეფრაიმიც რეგულარულად, სიტყვიერი თუ წერილობითი ფორმით ვშუამდგომლობდით პროკურატურაში საქმის შეწყვეტაზე. ერთხელ შეხვედრაც კი მოვუხერხე ეფრაიმ გურს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილესთან დავით საყვარელიძესთან, რომელთანაც ეფრაიმ გურმა დააფიქსირა სურვილი, რომ მზად იყო, საქმის შეწყვეტის სანაცვლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართა გარკვეული თანხა. 2010 წელს (ზუსტი თარიღი არ მახსოვს) მთავარი პროკურატურის შენობაში შეხვედრა მქონდა სოდ-ის საპროცესო ზედამხედველ პროკურორთან, რომელმაც მაცნობა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში 1 000 000 (მილიონი) აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, შესაძლებელი იყო რონენ გურის მიმართ საქმის შეწყვეტა, რაც ვაცნობე ეფრაიმს. ეფრაიმს თანხა ეძვირა, თუმცა ვაცნობე პროკურატურის პოზიცია, რომ ეს იყო საბოლოო წინადადება, რის გამოც, იგი დათანხმდა ამ წინადადებას. ამის შემდეგ სოდ-ის საპროცესო ზედამხედველი პროკურორისგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ამ თანხით ეფრაიმ გურს უნდა შეეძინა ობიექტები ახალციხისა და მცხეთის რაიონებში. პროკურორი მე დამიკავშირდა და მაცნობა ჩასატარებელი აუქციონების თაობაზე და მომცა საკონტაქტო პირების მონაცემები, რომლებიც გასული დროის გამო, არ მახსოვს. აღნიშნულის თაობაზე, ვაცნობე ეფრაიმს და ვუთხარი, რომ საჭირო იყო წარმომადგენლის გამოყოფა აუქციონზე მონაწილეობის მისაღებად. ეფრაიმ გურმა დამაკავშირა მისივე ნდობით აღჭურვილ პირს, გიორგი ჩხეიძეს და მითხრა, მისთვის გადამეცა აუქციონის მონაცემები და ყველა საჭირო რეკვიზიტი. მე მოვიქეცი ეფრაიმის დავალების შესაბამისად. ჩატარებული აუქციონების შემდეგ (თარიღი ზუსტად არ მახსოვს), პერიოდულად ვაცნობებდი პროკურატურას აუქციონების ჩატარებისა და თანხის გადახდის შესახებ, როგორც მახსოვს, სამსახურში თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებიც მივუტანე, რომელიც გადმომცა გიორგი ჩხეიძემ. აღნიშნულის შემდეგ, კერძოდ კი, 2011 წელს, მართლაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება რონენ გურის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, ხოლო შიმონ შაშუაშვილს მიუსაჯეს მაღალი რეალური სასჯელი“, — ნათქვამია ყავლაშვილის ჩვენებაში.

„პირველი“

დედოფლისწყაროში მცხოვრები აჭარელი ეკოემიგრანტები და ინგილოები მართლმადიდებლებად მოინათლნენ

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

უძღები შვილის ხსენების დღეს, აჭარიდან სამთაწყაროში ჩასახლებული ეკომიგრანტები, ინგილოები და სოფელ ფიროსმანსა და არხილოსკალოში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის 30-ზე მეტი ადამიანი ეზიარა. გაქრისტიანება საკუთარი სურვილით თაგოშვილებმა, შაინიძეებმა, ქორფაშვილებმა, ქარცივაძეებმა, ბერიძეებმა, სარდალაშვილებმა, სოზაშვილებმა, ბუჩუკურებმა და სხვებმა გადაწყვიტეს. ეპარქიამ მონათლულებს ხატები და ხის ჯვრები უსახსოვრა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში, აზერბაიჯანის საზღვართან, სოფლის სამლოცველო სახლში ნათლობის რიტუალი ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ ჩაატარა.

„მინდა, მივულოცო ყველა მონათლულს, ყველა აჭარელს და ჰერელს. ძალიან დიდი დღეა ჩვენი ეპარქიისთვის, მრევლისთვის და, საერთოდ, ქვეყნისთვის. ისტორიულად ცნობილია, აჭარლებმა რა სიძნელეები გამოიარეს და დღეს ისინი უბრუნდებიან წინაპართა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, მეუფე მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით აღესრულა ეს დიდი დღე და ნათლობა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან ბევრი მოსურნეა, რომ ამ უდიდეს საიდუმლოებას ეზიაროს“, — განუცხადა „ვერსიას“ დეკანოზმა გაბრიელ ბენიაიძემ.

ადგილობრივების განმარტებით, ამ დრომდე არ ეძლეოდათ საშუალება, რომ წირვა-ლოცვას დასწრებოდნენ. სამთაწყაროელი პედაგოგები ამბობენ, რომ აჭარელ ეკომიგრანტთა ოჯახების ნაწილი თანახმაა, მოზარდებმა ქრისტიანობა მიიღონ, თუმცა გაქრისტიანების მიუხედავად, ამ ოჯახების ზოგიერთი წევრი კვლავ ძველ რწმენაზე რჩება.

„საინგილოდან ვარ — სამთაწყაროში გავთხოვდი და მას მერე აქ ვცხოვრობ. 10 და 12 წლის შვილები მყავს და ახლა მოვნათლე. აქამდე არ მქონდა საშუალება, მომენათლა — ხან მოძღვარი არ იყო, ხან ჩემს ოჯახს ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდა, რომ დედოფლისწყაროში ავსულიყავით, ან კახის რაიონში გადავსულიყავით და იქ მოგვენათლა. თავის დროზე მე კახში მოვინათლე... თუ ეკლესია არ იქნება და წირვა-ლოცვა არ ჩატარდება, რწმენა ვერ გაღრმავდება. ამ სოფელში ნარევი ხალხი ცხოვრობს, ყველა ინგილო ქრისტიანია, აჭარელი ეკომიგრანტების უმრავლესობა კი, — არა, თუმცა ნელ-ნელა ინათლება. ქრისტიანი გოგონები საინგილოშიც თხოვდებიან და აჭარლებზეც“, — ამბობს სამთაწყაროელი როზმარ ბერიკაშვილი.

ასეთი მასშტაბური ნათლობა დედოფლისწყაროში 2010 წლის აპრილშიც ჩატარდა. მაშინ სოფელ ფიროსმანში მცხოვრები 32 მაჰმადიანი ეკომიგრანტი გაქრისტიანდა.

მამა გაბრიელ ბენიაიძის თქმით, საზღვრისპირა სოფლებში ქრისტიანული ტაძრის არარსებობის გამო, მრევლი ძალიან შეწუხებულია. ამიტომ, გაიხსნა სპეციალური ანგარიში, სადაც ნებისმიერ მსურველს ეკლესიის მშენებლობისთვის თანხის გადარიცხვა შეეძლება. ანგარიშზე პირველი სოლიდური თანხა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ შეიტანა.

ირმა ინაშვილი: „ქართული ოცნების“ მთავარი შეცდომა განურჩევლობის პრინციპის დამკვიდრებაა!“

საბა ჯანიხოთელი

„სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა ზოგმა გუშინ დაიწყო და დღეს უკვე მინისტრი ან ელჩია. მე არც მინისტრობა მინდა, არც — ელჩობა და არც — „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდი-ს წევრობა. მინდა, ის შევინარჩუნოთ, რაც მოვიპოვეთ და ყველა შეცდომაზე, რომელსაც „ოცნება“ უშვებს, გული მტკივა, ამიტომ ჩემი ყველა სიტყვა კეთილმოსურნის პოზიციიდანაა და არა — შურისმაძიებლის“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას ევროპიდან ახლახან დაბრუნებული მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი, რომელიც რამდენიმეთვიან, ასე ვთქვათ, დუმილს არღვევს და ახალი ხელისუფლების შეცდომებზე ღიად ლაპარაკობს. ირმა „ოცნების“ ერთ-ერთ მთავარ შეცდომად ე.წ. საგარეო პიარის იგნორირებას მიიჩნევს და ეს მაშინ, როცა „ნაციონალები“ ევროსტრუქტურებში რაპორტს რაპორტზე გზავნიან და ივანიშვილის მთავრობას ძირს უთხრიან.

მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი „ოცნების“ „იაღლიშებზე“ აღაპარაკდა?!

— ირმა, ბოლო დროს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატუსი „დადე“. ამასთან, განაცხადე, რომ დასავლეთში მიხეილ სააკაშვილისა და, საერთოდ, „ნაცმოძრაობის“ მიმართ განწყობა დადებითისკენაა შეცვლილი. ამის თქმის საფუძველს რა გაძლევს?

— თუკი სექტემბერში ევროსტრუქტურები იმ ძალადობას, რომელიც საქართველოში ბოლო ცხრა წელი სუფევდა, ცალსახად გმობდნენ და რამდენიმე ევროპარლამენტარმა სააკაშვილს დიქტატორიც უწოდა, დღეს ეს პოზიცია შერბილებულია, რაც, პირველ რიგში, ლობისტური კომპანიების საქმიანობითაა განპირობებული. საერთოდ, სააკაშვილი, ივანიშვილისგან განსხვავებით, აქცენტს ლობისტურ კომპანიებზე აკეთებს და მათ მრავალი მილიონით აფინანსებს...

— ისე, ყური მოვკარი, ლობისტური კომპანიები ახლახან „ოცნებამაც“ დაიქირავაო...

— კი, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, მართლები ვართ, სწორ გზაზე ვდგავართ, ჩვენთვის ლობისტურ კომპანიებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი არაა, რადგან მთავარი იარაღი სიმართლეაო. კი ბატონო, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკა ლობიზმს ეყრდნობა და დანაშაული არაა, ლობისტური კომპანია რომ დაიქიროო. სწორედ ამ ლობისტების წყალობით, სააკაშვილი ტყუილს სიმართლედ ასაღებს. ახალ ხელისუფლებას, ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების იმ შტოს, რომელიც ევროსტრუქტურებთან მუშაობს, სამწუხაროდ, უნარი არ შესწევს, დასავლეთს სიმართლე სიმართლედ მიაწოდოს.

— ირმა, მოდი, კონკრეტულად მითხარი, ახალ ხელისუფლებაზე დასავლეთში ვინ და რა გითხრა?

— დაახლოებით, ერთი თვის წინ, ევროპარლამენტში გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა მიაღწიეს, ევროპარლამენტს რეზოლუციაში ჩაეწერა, ივანიშვილი თავისუფალ მედიას ზღუდავსო.

— ეს ძველი ამბავია...

— მართალია, მაგრამ ეს, პირდაპირ ვიტყვი, ძალიან დიდი „იაღლიშია“, რადგან როცა ასეთ რეზოლუციებში პატარა თუ დიდი შენიშვნები იწერება, ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერი იქამდე მივა, სააკაშვილის მიერ ჩადებულ ნებისმიერ დანაშაულზე დასავლეთმა შეიძლება თქვას, ამას კანონიერად აკეთებდაო, ამიტომ ახალი ხელისუფლების მინუსს იმაში ვხედავ, რომ ლობისტურ კომპანიებს აქტიურად არ იყენებს. ამასთან, ის პირები თუ სტრუქტურები, ვისაც ეს ევალება, დასავლეთთან ცუდად მუშაობენ, ევროპარლამენტის სხვადასხვა ფრაქციაში მქონდა შეხვედრები და მითხრეს, „ნაცმოძრაობა“ ძალიან აქტიურად მუშაობს და სტრასბურგში „რაპორტები“ ჩამოაქვსო. მაგალითად, „ნაციონალებმა“ ევროპარლამენტში 8 თებერვლის ამსახველი ვიდეომასალა ჩაიტანეს და ეს იმ ფონზე, როცა 9 წლის განმავლობაში სააკაშვილს არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი.

— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ირმა, მოდი, მედალს მეორე მხრიდანაც შევხედოთ და, მაგალითად, თეა წულუკიანის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი გავიხსენოთ. პიარის სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ოცნება“ კარგად მოიქცა, როცა „ნაციონალების“ დემაგოგიას არ აჰყვა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ იუსტიციის მინისტრმა თავისი დიპლომების ასლები საზოგადოებრივ მაუწყებელს უსახსოვრა... მოკლედ, „ნაციონალთა“ ანალოგიური დემაგოგიისგან „ოცნებამ“ თავი როგორ უნდა დაიცვას — ევროპარლამენტში „დიპლომების გამოფენა“ მოაწყოს თუ რა ქნას?

— „ნაციონალების“ შავ პიარს შიდა და გარე დანიშნულება აქვს. ასეთი შეტევა თეა წულუკიანსა და, საერთოდ, იმ სახელმწიფო მოხელეებზე ხორციელდება, რომლებიც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ...

— სხვათა შორის, იუსტიციის მინისტრი, ამ შემთხვევაში, თეა წულუკიანი ერთადერთია, ვისაც პრეზიდენტის დაკავება შეუძლია და ზემოხსენებული შეტევა, ალბათ, ამ კონტექსტშიც საინტერესოა...

— წულუკიანს პრეზიდენტის დაკავების მხოლოდ ბერკეტი კი არ აქვს, არამედ საამისოდ სულიერად და ფსიქოლოგიურადაც მზადაა. სხვათა შორის, დიპლომზე ლაპარაკი მხოლოდ პოლიტიკური დარტყმა კი არა, პირადი შეურაცხყოფაცაა და ასეთი რაღაცები საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. იუსტიციის მინისტრმა სწორად იმოქმედა და მისი განცხადებები ზომიერი იყო. საერთოდ, იმ თეორიის მომხრე არ ვარ, რომ ამბობენ, შავ პიარს ყურადღება არ უნდა მიაქციო და გაჩუმდეო. ყველა ბრალდებას უნდა უპასუხო, ზოგჯერ — იუმორითაც... მას შემდეგ, რაც თეა წულუკიანის ვიზიტი დასრულდა, ბრიუსელში ვიყავი, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, უფლებადამცველებს შევხვდი, ნატო-ს შტაბბინაშიც ვიყავი და აბსოლუტურად ყველამ თქვა, რომ თეა წულუკიანს დასავლეთში ნდობის ძალიან მაღალი მანდატი აქვს, მის კომპეტენციაში ეჭვი არ ეპარებათ და ენდობიან, ანუ შიდა შავი პიარით დასავლეთის თვალში წულუკიანის დისკრედიტაცია ვერ მოახდინეს, თუმცა „ქართული ოცნება“ დასავლეთთან სწორ პოლიტიკას ვერ ატარებს. ბოლოს და ბოლოს, ევროინტეგრაციის სამინისტრო ხომ არსებობს?.. ბრიუსელში პირდაპირ გვეუბნებიან, ძველი ხელისუფლება, თურმე, არცთუ ცუდი ყოფილაო... ვფიქრობ, ამის გამოსწორება დღეს კი არა, გუშინ იყო საჭირო!

სხვათა შორის, ძალიან ბევრი ჯალათი და წინა ხელისუფლების მეხოტბე დღეს დაწინაურებულია! ისეთი ადამიანებიც არიან დაწინაურებულნი, რომლებიც შინ ისხდნენ, ჩაის სვამდნენ და ტელევიზორში რომ გვხედავდნენ, შიშისგან ძაგძაგებდნენ!

— და ამ ხალხს რატომ აწინაურებენ?

— იმიტომ, რომ ახალმა ხელისუფლებამ, ამ რაღაც იდიოტური კოჰაბიტაციის ფარგლებში, ასეთი მახინჯი გეზი აიღო. ისინი კი, რომლებიც წლების განმავლობაში რეჟიმთან იყვნენ დატაკებულნი და თავი ლომის ხახაში ჰქონდათ, ქვეყნის ცხოვრებაში ჩართულნი არ არიან. დღეს პოლიტიკური სივრცე, ერთი მხრივ, „ქართული ოცნების“, მეორე მხრივ კი, ნაციონალური მოძრაობის მიერაა პრივატიზებული.

— „ოცნების“ შეცდომა ეგებ ისაა, რომ ოპოზიციად მხოლოდ „ნაცმოძრაობას“ აღიარებს და ისეთ პარტიებს, მაგალითად, როგორიც პატრიოტთა ალიანსია, „აიგნორებს“?

— „ქართული ოცნების“ მთავარი შეცდომა განურჩევლობის პრინციპის დამკვიდრებაა!

— ირმა, სიმართლე გითხრა, ვერ ვხვდები, „განურჩევლობის პრინციპს“ რას ეძახი?

— რას და, ადამიანი, რომელიც 9 წლის განმავლობაში შინ იჯდა, რეჟიმს არ უპირისპირდებოდა, გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიცია არ ჰქონდა, როცა ქუჩაში გირგვლიანს კლავდნენ, ფანჯარას ხურავდა და იმალებოდა, სოროდან ახლა გამოძვრა და მინისტრი ან ელჩი გახდა.

— ვისზე მიანიშნებ?

— ძალიან ბევრი ელჩი და ელჩის თანაშემწე აბსოლუტურად გაუგებარი პრინციპითაა დანიშნული. დღეს დაწინაურება, ჩემი აზრით, ორი მოტივით — პროფესიონალიზმითა და ბოლო 9 წლის განმავლობაში გამოჩენილი აქტიურობით უნდა ხდებოდეს. ამ კრიტერიუმებზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემს ქვეყანას ასეთი დიქტატურის პირობებში არასოდეს უცხოვრია. კი ბატონო, ძალადობა შევარდნაძის დროსაც იყო და ისიც რეჟიმი იყო, მაგრამ 9 წლის განმავლობაში სხვა ტიპის რეჟიმთან გვქონდა საქმე — ეს ადამიანები ხელისუფლებაში თეთრი ხელთათმანებით მოვიდნენ, აი, ჩვენ დემოკრატები ვართო და ამ დროს ქვეყანა გვამებით აავსეს. სააკაშვილმა სრულიად ახალი ტიპის დიქტატურა შექმნა და მაშინ, როცა ეს დიქტატურა ნაწილობრივ გავაუვნებელვყვეთ, ადამიანებს, რომლებიც მას ებრძოდნენ, რაღაც სტიმული უნდა მისცენ!

— ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, 27 აპრილისთვის დანიშნულ შუალედურ არჩევნებში „ოცნებამ“ საკუთარი კანდიდატები უნდა წარადგინოს თუ სამივე ოლქში — ნაძალადევში, ბაღდადსა და სამტრედიაში ასპარეზი სხვა, ანუ „ნაცმოძრაობასთან“ მებრძოლ ისეთ პარტიებს დაუთმოს, რომლებიც თავის დროზე, კოალიციისმიღმა დარჩნენ?

— თუკი ამ სამ ოლქში კანდიდატურებს დააყენებს, ეს, ჩემი აზრით, „ოცნების“ ძალიან დიდი შეცდომა იქნება! „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური დიდსულოვნება და სიბრძნე უნდა გამოიჩინოს, რადგან მისთვის ეს სამი ოლქი მნიშვნელოვანი არაა — პარლამენტში უმრავლესობა ისეც აქვს. მოკლედ, ამ ნაბიჯით უნდა თქვას, ღია პოლიტიკურ სივრცეს გთავაზობთ და სხვა პოლიტიკურ ძალებს სტიმულს ვაძლევო. მაგალითად, საქართველოს პატრიოტთა ალიანსს ნებისმიერ არჩევნებში მონაწილეობა თავისუფლად შეუძლია, სხვათა შორის, ამის შესახებ ივანიშვილმა ჩემთან ინტერვიუშიც აღნიშნა და სოსო მანჯავიძე ნაძალადევში კანდიდატურას აყენებს.

დასასრული მე-6 გვერდზე

პროკურატურამ გიორგი დგებუაძეს („მასტერა“) ბრალი წაუყენა

მთავარმა პროკურატურამ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროს გიორგი დგებუაძეს („მასტერა“) ბრალი წაუყენა.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დგებუაძეს ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ორგანიზება ედება.

„გიორგი დგებუაძე 2010 წლის 15 სექტემბრიდან იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსი. 2011 წლის 4 იანვარს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალების ოპერატიულმა მორიგემ თ. ა-მ თავისივე ხელმძღვანელს, ჯემალ ძლიერიშვილს განუცხადა, რომ სოციალური ქსელის საშუალებით კავშირი ჰქონდა რუს სამხედრო მაღალჩინოსნებთან, რომლებთან ერთადაც, საბჭოთა კავშირის დროს უკრაინაში იხდიდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს. აღნიშნული გარემოება საეჭვოდ იქნა მიჩნეული და საკითხში გარკვევის მიზნით, იმავე დღეს იგი მიიყვანეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის, უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარ სამმართველოში. სადაც ამავე სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსმა, გიორგი დგებუაძემ მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს, ლაშა მინდაძესა და პლატონ სხულუხიას დაავალა, ნებისმიერი საშუალებით, თემურ ამირანაშვილისგან მიეღოთ ინფორმაცია რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ. მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსმა ლაშა მინდაძემ, თემურ ამირანაშვილი ხელბორკილით მიაბა გათბობის მილზე ისე, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში არ ჰქონდა დაჯდომის და გადაადგილების საშუალება, დაემუქრა, რომ ძილის დროს თითქოს მოახდინეს მისი გაუპატიურება და თუ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას არ აღიარებდა, გაუპატიურების ამსახველ ფოტოსურათებს გაავრცელებდა მის ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან. მანვე თ.ა. აიძულა, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, მდგარიყო ბრძანება „სმენა“-ზე და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად, მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო სამმართველოს ოპერატიულ მუშაკებს, ბესარიონ ჯაჭვლიანსა და დავით ფიფიას დაავალა, არ მიეცათ თ. ა-სთვის დაჯდომისა და ძილის საშუალება. თ. ა-ს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, პატივისა და ღირსების შელახვა და წამება გაგრძელდა 2011 წლის 4 იანვრიდან ამავე წლის 8 იანვრის საღამომდე.

გიორგი დგებუაძეს კანონით დადგენილი წესით წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით; 25-ე, 143-ე მუხლის პირველი ნაწილით; 25-ე, 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

ვინ უნდა მიიღოს სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობაზე გადაწყვეტილება — პრემიერმა თუ ოლიმპიურმა კომიტეტმა

რუსუდან შელია
557-100-768

„საქართველო სოჭის ოლიმპიადაზე გაემგზავრება. აბა, როგორ უნდა დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა?!“ — აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, თუმცა მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით, მაინც გაურკვეველია, ქართველი სპორტსმენები ოკუპირებული სოხუმიდან 120 კილომეტრში, ამჟამად რუსეთისა და თავის დროზე საქართველოს, ასე ვთქვათ, კუთვნილ სოჭში 2014 წლისთვის დაგეგმილ ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ თუ არა. შეიძლება, ზოგმა თქვას, რადგან პრემიერმა თქვა, ესე იგი, საქართველო სოჭის ოლიმპიადას ესტუმრებაო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოლიმპიადაზე გამგზავრება-არგამგზავრებას პრემიერი კი არა, ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი წყვეტს. „ოლიმპიადებზე გამგზავრება პოლიტიკოსების პრეროგატივა არაა. რაც შეეხება სოჭის ოლიმპიადაში ქართული დელეგაციის მონაწილეობას, ამაზე კომიტეტში ფარული კენჭისყრა ჯერ არ დაგეგმილა... აქედან გამომდინარე, იმ პოლიტიკოსების, რომლებიც დარწმუნებით ამბობენ, ქართველი სპორტსმენები სოჭში აუცილებლად გაემგზავრებიანო, არ მესმის. სჯობს, კომიტეტის საბოლოო გადაწყვეტილებას დაველოდოთ“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი.

სოსო ცისკარიშვილი: „ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ დავრწმუნდი, რომ სოჭში ქართულ სპორტს სრულიად მკაფიო ფუნქცია დაუბრუნდება“

„სოჭი 2014“-ის პოლიტიკური ასპექტები და ორი სოსოს პოზიცია

სოსო ცინცაძე: „სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრებით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში მნიშვნელოვან კომპრომისზე მიდის“

სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა უნდა მიგვეღო თუ არა, თუმცა ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ დავრწმუნდი, რომ სოჭში ქართულ სპორტს სრულიად მკაფიო ფუნქცია დაუბრუნდება. საერთოდ, სპორტსა და ხელოვნებას ქართულ-რუსული ურთიერთობის დალაგების პროცესში, გარკვეულწილად, ელჩის ფუნქცია აკისრია. სწორედ ამ კუთხით დანახული სოჭის ოლიმპიადა კი, შესაძლოა, იმაზე შედეგიანი აღმოჩნდეს, ვიდრე წარმოგვიდგენია, მით უმეტეს, ცოტა ხნის წინ, სოჭში ქართველი რაგბისტების ვიზიტს, სადაც რუსი მოწინააღმდეგე დაამარცხეს, პროტესტი არ მოჰყოლია. ისე, საინტერესოა, როგორ მოიქცევიან ქართველი პოლიტიკოსები და მაღალჩინოსნები — ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიას დაესწრებიან თუ არა“.

ექსპერტი სოსო ცინცაძე კი, კოლეგისგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ თუკი სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა გადაწყდება, ეს საქართველოს მხრიდან მნიშვნელოვანი კომპრომისი იქნება:

„სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრებით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში მნიშვნელოვან კომპრომისზე მიდის, რასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გავამართლებ, თუ რუსეთი ამ კომპრომისს დაგვიფასებს. სხვათა შორის, ეჭვიც არ მეპარება, ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის მოლაპარაკებებისას ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სწორედ სოჭის ოლიმპიადა იყო. თუ ქართული მხარე წინა ხელისუფლების პოზიციას გააგრძელებდა და სოჭის ოლიმპიადის მიმართ კონფრონტაციულ რეჟიმს შეინარჩუნებდა, ბოიკოტის გამოცხადებას ვერავინ უსაყვედურებდა, მით უმეტეს, ასეთი მაგალითები მსოფლიოს ახსოვს. მაგალითად, 1980 წელს ცივილიზებულმა მსოფლიომ მოსკოვის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადა, რადგან მაშინ საბჭოთა არმიამ ავღანეთის ოკუპაცია მოახდინა. ვფიქრობ, ამ პრეცედენტის გამოყენება ქართულ მხარეს სათავისოდ შეეძლო. სამწუხაროდ, ცალმხრივად გამოხატულ კეთილ ნებას მეორე მხარე, მით უმეტეს, ისეთი ქვეყანა, როგორიც რუსეთია, არასოდეს აფასებს, თუმცა ღმერთმა ქნას, ვცდებოდე...“

აღსანიშნავია, რომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებაც გეგმავს. ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, რეგიონში ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის შექმნა უკვე დამუშავების პროცესშია და უახლოეს მომავალში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპორტსმენები, პრობლემების მიუხედავად, 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას შეძლებენ. სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, სოჭის ოლიმპიადაში დე ფაქტო რესპუბლიკის სპორტსმენების მონაწილეობა საქართველოს დელეგაციას მნიშვნელოვან უხერხულობას შეუქმნის:

„ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადება ხელისუფლებამ დეტალურად უნდა გამოიკვლიოს. ამ ფაქტის წინააღმდეგ, ვფიქრობ, ბოიკოტის სწორი ფორმა უნდა შეირჩეს და ახალმა მმართველმა გუნდმა, წინა ხელისუფლების მსგავსად, დაუგეგმავი და იმპულსური ნაბიჯები არ უნდა გადადგას“.

„სოჭი 2014“-ში დე ფაქტო რესპუბლიკის მონაწილეობას სოსო ცინცაძეც კრიტიკულად აფასებს და ამ კუთხით, გარკვეულ საფრთხესაც ხედავს:

„თუ სამხრეთ ოსეთის დელეგაცია სოჭის ოლიმპიადაზე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით მოგვევლინებიან, ამ შემთხვევაში, სოჭში გამგზავრებაზე საქართველო სერიოზულად უნდა დაფიქრდეს. ვთქვათ, ქართველ მოჭიდავეს ოსი მოწინააღმდეგე, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენელი შეხვდა, გეკითხებით, ქართული დელეგაცია როგორ მოიქცევა? ამიტომ, იქ, სადაც ცხინვალი ან სოხუმი ისე მონაწილეობს, როგორც დამოუკიდებელი მხარე, ჩვენი ადგილი აღარაა“.

საერთოდ, დიდი ხანია, სოჭის ოლიმპიადა სპორტს გასცდა და პოლიტიკური სპეკულაციის თემად იქცა. გარდა იმისა, რომ რუსულმა მედიამ ნაციონალური მოძრაობა ოლიმპიადის ბოიკოტირებასა და ანტიპროპაგანდისტული კამპანიის გაჩაღებაში დაადანაშაულა, სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი აზრი საქართველოშიც ორად გაიყო და ნაწილი პარალელს „მოსკოვი-80“-ის პრეცედენტთან ავლებს, როცა უძლეველი, დაუმარცხებელი, ხელშეუხებელი და ყოვლისშემძლე საბჭოთა კავშირის მითის რღვევა მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტირებით დაიწყო.

ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ სოჭის ოლიმპიადამ საქართველოს ისტორიაში უარყოფითი როლი ერთხელ უკვე შეასრულა და 2008 წელს, ჩვენი ქვეყნის ნატო-სკენ სწრაფვისა და კოსოვოს საკითხის პარალელურად, კრემლის აგრესიის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ამ მოსაზრებით, რუსეთს სურდა, ოლიმპიადის წინ კოდორის ხეობა ქართველებისგან „გაეთავისუფლებინა“ და გრანდიოზული ღონისძიების უსაფრთხოება უზრუნველეყო.

საზოგადოების მეორე ნაწილი კი, რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად, ოლიმპიადაში მონაწილეობის აუცილებლობაზე საუბრობს და პოლიტიკისა და სპორტის ერთმანეთისგან გამიჯვნას ითხოვს.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური განცხადებები კეთდება რუსეთის მხრიდანაც და მოსკოვი მიხეილ სააკაშვილის გუნდს სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის „ასაფეთქებლად“ ტერორისტების ხელშეწყობაში ადანაშაულებს. ყოველ შემთხვევაში, თავის დროზე, კრემლმა განაცხადა, რომ დოკუ უმაროვის მებრძოლებს აფხაზეთიდან სოჭში იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების გადაზიდვაში ქართული სპეცსამსახურები უნდა დახმარებოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, პრემიერ ივანიშვილის განცხადებას, საქართველო სოჭის ოლიმპიადაზე გაემგზავრებაო, ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი სწორ პოლიტიკურ ნაბიჯად აფასებს და მიიჩნევს, რომ ამით ქართული სპორტი საკუთარ მკაფიო ფუნქციას დაიბრუნებს:

„სიმართლე გითხრათ, დიდი ხნის განმავლობაში ბოლომდე ვერ ჩამოვყალიბდი,

რა სიურპრიზს უმზადებს ირმა ინაშვილი ახალ ხელისუფლებას

მე-5 გვერდიდან

პარლამენტართა 99 პროცენტი იქ ბიძინა ივანიშვილის ზურგით ზის — პირველ ოქტომბერს არჩევნები ბიძინა ივანიშვილმა მოიგო, თორემ მათ, ვისაც დღეს პარლამენტარები ჰქვია, ხმას ორი ამომრჩეველიც არ მისცემდა, ამიტომ თუ ამ სამ ოლქში „ოცნება“ კანდიდატურებს დააყენებს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ისევ ბიძინა ივანიშვილი გაიმარჯვებს, მაგრამ ივანიშვილმა სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს საშუალება უნდა მისცეს, მის გარეშე გაიმარჯვონ.

— და ეს სხვა პოლიტიკური სუბიექტები ვინ არიან?

— მაგალითად, სოციალ-დემოკრატები, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი — ჩემი მეგობრების მიერ შექმნილი პოლიტიკური ძალა... სოსო მანჯავიძეს დიდი მხარდაჭერა და შანსიც აქვს, ნაძალადევში გაიმარჯვოს, მაგრამ თუკი „ოცნება“ ამ ოლქში ვინმე ფაფაკერაშვილს დაასახელებს და მას ივანიშვილის მხარდაჭერა ექნება, სავარაუდოდ, ივანიშვილი მოიგებს, მაგრამ ვიცი, პრემიერიც ზუსტად ასე ფიქრობს, როგორც მე, თუმცა კოალიციის შიგნით ოპონენტები ჰყავს.

— მაგალითად?

— მაგალითად, „რესპუბლიკელები“, ალასანიას „დემოკრატები“... „ოცნება“ მრავალპარტიული კოალიციაა და საკუთარი კანდიდატურის დაყენება ყველას უნდა, ანუ ბიძინა ივანიშვილის განწყობა, შუალედურ არჩევნებში გამარჯვების საშუალება სხვა, გარეპოლიტიკურ ძალებს მისცეს, იმას არ ნიშნავს, რომ მთელი კოალიცია ასე ფიქრობს.

— „ოცნებამ“ შუალედურ არჩევნებში საკუთარი კანდიდატები რომ წარადგინოს, ირმა ინაშვილი რას გააკეთებს? სხვათა შორის, ამას წინათ, „ფეისბუქზე“ „დაპოსტე“, თუკი ახალი ხელისუფლება ხალხს არ მიხედავს და სამართლიანობას არ აღადგენს, ქუჩაში გამოვალთო...

— ჩემთვის არაფერი შეცვლილა...

— მგონი, ის შეიცვალა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ხმის მიწვდენა გაგიადვილდა...

— კი, ნამდვილად ასეა. განსაკუთრებით თეა წულუკიანისა და არჩილ კბილაშვილის მადლიერი ვარ, რომლებთანაც მჭიდრო ურთიერთობა მაქვს — პროკურატურასა თუ იუსტიციის სამინისტროში არაერთი მოწმე მიმყავს. საერთოდ კი, ჩემთვის და ჩემნაირებისთვის არაფერი შეცვლილა და თუ პატიმარს დღესაც აწამებენ, ისევ გავაპროტესტებთ!

— ისე, ირმა, შენ ადგილას რომ ვიყო, ერთ ავანტიურაზე წავიდოდი — საზოგადოებრივი მაუწყებლის თავმჯდომარეობაზე ისევ კონკურსია გამოცხადებული. ჰოდა, საბუთებს შევიტანდი...

— გამორიცხულია.

— რატომ?

— უმრავლესობა მხარს არ დამიჭერს, რადგან კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიებისა თუ პიროვნებების 90 პროცენტისთვის მიუღებელი ვიყავი და დღესაც ასეა.

— შეიძლება, მაგრამ ამ კონკურსში რომ მიიღო მონაწილეობა, მხარს ბიძინა ივანიშვილი დაგიჭერს...

— გეთანხმები, მაგრამ ივანიშვილი ერთია, კოალიცია კი, დიდია...

— ირმა, ერთგვარი რეზიუმე რომ გავაკეთოთ, ევროპიდან ახლახან დაბრუნდი და იმ ფონზე, რაზეც ვისაუბრეთ, პრემიერს რას ურჩევ?

— პირველ რიგში, ევროსტრუქტურებთან კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა იმუშაონ. ძალიან ბევრი ადამიანი, რომელსაც კოალიციაში დასავლეთთან ურთიერთობა ჰქონდა დავალებული, ამბიციებითაა გაჟღენთილი და რეალურად, არაფრისმაქნისია!

— ეს ადამიანები ვინ არიან?

— დასახელებისგან თავს შევიკავებ.

— მერე, ივანიშვილი ვერ ხვდება, რომ ეს ხალხი საქმეს აფუჭებს?

— მგონი, ხვდება, მაგრამ ამ ადამიანებს, ალბათ, შანსს აძლევს.

— სხვათა შორის, არჩევნებამდე ეს მიმართულება, როგორც ვიცი, თინა ხიდაშელს ჰქონდა ჩაბარებული...

— ახლაც აქვს...

ხალხი ვერ ხედავს, რომ ის ადამიანები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში სისხლის გუბეში იდგნენ და ქუჩაში გვხოცავდნენ, დასჯილები არიან. ერთადერთი ბაჩო ახალაიაა დაკავებული. რატომ არაა დაკავებული ვანო მერაბიშვილი და იგივე მიხეილ სააკაშვილი? რა, მათ იმუნიტეტი აქვთ? ისე, თუკი ბაჩო ახალაია ციხიდან გამოვა, ეს ჩემთვის ზღვარი იქნება, თუმცა, როგორც ვიცი, მას ბრალი უმძიმდება და ამაში სერიოზული წვლილი მეც მაქვს შეტანილი...

— ირმა, ამბობ, ახალ ხელისუფლებას დროს ვაძლევო, ეს რას ნიშნავს ან ამ დროის ამოწურვის შემდეგ, რას იზამ?

— ყველამ იცის, რომ ძალიან დიდი ფანტაზიის უნარი მაქვს. ასე რომ, სამოქალაქო სექტორისგან ბევრ სიურპრიზს ახალი ხელისუფლებაც უნდა ელოდეს, თუკი ის ამ გეზს გადაუხვევს.

— ეს მუქარაა?

— არა, მუქარა რატომაა?!

— ის განწყობა, რომელიც ევროპაში დაგხვდა, იმის წინაპირობა ხომ არაა, რომ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან?

— „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნება გამორიცხულია, თუმცა მათ შეუძლიათ, ქვეყანას მომაკვდინებელი ზიანი მიაყენონ!

„ქართული ფოლადი“ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აქტივების დაბრუნებას ითხოვს

სქემა, რომლითაც ვანო მერაბიშვილის წარმომადგენლებმა საწარმო მიითვისეს და გააკოტრეს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სააქციო საზოგადოება „ქართული ფოლადის“ მენეჯმენტმა პროკურატურას მიმართა. ჯოზეფ კეის წარმომადგენლები, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსან მოხელეებს, მათი ქონების უკანონო დატაცებაში ამხელენ და ქარხნის დაბრუნებას ითხოვენ. საქართველოში მოქმედი, ერთ-ერთი წარმატებული და მომგებიანი კომპანიის ქონება უკანონოდ 2011 წლის ივლისში მიიტაცეს, რამაც ს/ს „ქართული ფოლადი“, რომელიც ორიოდე წლის წინ ქართული მეტალურგიის ფლაგმანი იყო, უმოქმედო და უაქტივო კომპანიად აქცია.

ს/ს „ქართული ფოლადის“ დირექტორი ნათია ჯაყელი, სასამართლოში საზოგადოებისთვის ქარხნის აქტივების დაბრუნებასა და პროკურატურაში რამდენიმე ადამიანის წინააღმდეგ, რომლებმაც ამ ქმედებას ხელი შეუწყვეს, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. ნათია ჯაყელმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სარჩელი ეხება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქონებას, ანუ „ქართული ფოლადისა“ და „თუჯი XXI“-ის აქტივებს. მისი თქმით, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა, ნაცადი ხერხით, რასაც ქარხნის გაკოტრება-რეაბილიტაციის პროცესი უწოდეს, „ქართული ფოლადის“ აქტივები დაინტერესებული პირების საკუთრებაში ისე გადაიტანეს, რომ სინამდვილეში, ერთი ლარიც კი არ დაუხარჯავთ.

ნათია ჯაყელმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ დღეს, შპს „რუსთავის ფოლადის“ საკუთრებაში არსებული აქტივების 100%, ს/ს „ქართული ფოლადისა“ და ს/ს „თუჯი XXI“-ის საკუთრება იყო. 2011 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ორივე საწარმო ერთი და იგივე ბიზნეს-ჯგუფის მფლობელობასა და მართვაში იყო. მისი თქმით, 2011 წლის 1 იანვრიდან — 31 ივნისამდე, ქარხნის შემოსავალი 28 000 000 ლარს, ხოლო სახელფასო ფონდი — 9 000 000 ლარს აღემატებოდა.

„2011 წლის 6 ივლისს, საქართველოს მთავრობასა და ინა გუდავაძეს შორის შეთანხმება შედგა და მემორანდუმი გაფორმდა. უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმებას დღესაც გრიფი — საიდუმლო ადევს. გადმოცემით ვიცით, რომ ს/ს „ქართული ფოლადის“ აქტივებზე, ამ გასაიდუმლოებულ დოკუმენტში ნამდვილად არის საუბარი. „შეთანხმების“ შესახებ პირველი სიუჟეტი 2011 წლის 6 ივლისს, 15:00 საათზე გავიდა ეთერში, ხოლო 17:30 საათზე, ს/ს „ქართული ფოლადის“ ტერიტორიაზე, ჯარი (დაცვის პოლიციისა და შსს გასამხედროებული შენაერთები) შემოვიდა. მენეჯმენტს გამოუცხადეს, 15 წუთში დაეტოვებინათ შენობა და დაეცალათ სამუშაო კაბინეტები. სპეცოპერაციას დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი კახა ლეგაშვილი მეთაურობდა, რომელმაც პირადად განმიცხადა, რომ არანაირი საბუთი — ნებართვა, ბრძანება, ხელშეკრულება არ გააჩნდა და შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის სიტყვიერი ბრძანებით მოქმედებდა“, — გვიამბობს ნათია ჯაყელი.

მისი თქმით, საწარმოს კანონიერმა მფლობელმა და მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, არ გაეწიათ წინააღმდეგობა საწარმოში შეჭრილი მოძალადეებისათვის. ნათია ჯაყელი აცხადებს, რომ ამ ტიპის ქმედება, საკუთრებისა და ბიზნესის ხელში ჩასაგდებად განხორციელდა. ამის შემდეგ ამუშავდა წინა ხელისუფლების მიერ, ათასჯერ ნაცადი ხერხი, რასაც მომგებიანი საწარმოების გაკოტრება-რეაბილიტაციის პროცესი ჰქვია:

„ს/ს „ქართული ფოლადის“ აქტივების უკანონო რეალიზაცია, ვინმე კონსტანტინე ყიფიანის მიერ, მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის გადაყენებით დაიწყო. დღემდე არავინ იცის, როგორც აღმოჩნდა მის ხელში ს/ს „ქართული ფოლადის“ აქციონერის მინდობილობა, თუმცა განხორციელებული გადაწყვეტილებები აქციონერის საუკეთესო ინტერესებს არ შეესაბამებოდა, პირიქით — მისი საკუთრების წინააღმდეგ მუშაობდა. მოკლედ, 2011 წლის 7 ივლისს, ს/ს „ქართული ფოლადის“ მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი გაიწვიეს და ახალი წევრები — დავით ვეფხვაძე, გიორგი კილასონია და გიორგი ბახტაძე დანიშნეს. იმავე დღეს, ახალი წევრების შემადგენლობით, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შედგა, საწარმოს მოქმედი დირექტორი გაათავისუფლეს და „ქართული ფოლადის“ დირექტორად დავით ვეფხვაძე დანიშნეს. 2011 წლის 26 სექტემბერს, ს/ს „ქართული ფოლადის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, დავით ვეფხვაძე, ირაკლი მეძმარიშვილით ჩაანაცვლეს. 2011 წლის 30 სექტემბერს, „ქართული ფოლადის“ დირექტორმა ირაკლი მეძმარიშვილმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და საწარმოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა მოითხოვა. 2011 წლის 6 დეკემბერს, მიიღეს გადაწყვეტილება და რეაბილიტაციის პროცესიც დაიწყო. 2011 წლის 9 დეკემბერს, **კრედიტორთა კრებამ, რეაბილიტაციის მმართველად მალხაზ ალბორაშვილი დანიშნა“.**

რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით, კრედიტორთა მოთხოვნების ჯამი, დაახლოებით, 82 000 000 ლარით განისაზღვრა. ნათია ჯაყელმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს, ს/ს „ქართულ ფოლადსა“ და შპს „რუსთავის ფოლადს“ შორის, აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ხელშეკრულებაში, „ქართული ფოლადი“ წარმოდგენილია მისი დირექტორის, ირაკლი მეძმარიშვილისა და რეაბილიტაციის მმართველის, მალხაზ ალბორაშვილის სახით. ხელშეკრულებით, „ქართული ფოლადის“ აქტივები, შპს „რუსთავის ფოლადს“ გადაეცა, ამ აქტივებს ღირებულება 77 846 000 ლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ „რუსთავის ფოლადმა“ ეს თანხა 7 წლის შემდეგ უნდა დაფაროს, მაგრამ ამ აქტივების რეალური ღირებულება, ჯართად შეფასების შემთხვევაშიც კი 350 000 000 მილიონ ლარზე მეტია!

ნათია ჯაყელი „ვერსიასთან“ საუბრისას იმასაც აცხადებს, რომ „ქართული ფოლადის“ ყოფილი დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილი, რეაბილიტაციის მმართველი მალხაზ ალბორაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები — დავით ვეფხვაძე, გიორგი კილასონია, გიორგი ბახტაძე, კოტე ყიფიანი და შპს „რუსთავის ფოლადის“ უკან მდგომი სხვა პირები, სახელმწიფოსთან ერთად, ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებდნენ. მათი მიზანი კი „ქართული ფოლადის“ აქტივების მითვისება იყო. დღეს, „ქართული ფოლადის“ დირექტორი ნათია ჯაყელი, ყველა იმ გარიგების, ხელშეკრულებისა თუ გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს, რომლის საშუალებითაც, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ერთ თვეში შექმნილმა შპს „რუსთავის ფოლადმა“ ხელში ჩაიგდო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: 2011 წლამდე, ვიდრე წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანი წარმომადგენლები, ჯოზეფ კეის კუთვნილი ქარხნის ხელში ჩაგდებას გადაწყვეტდნენ, ორი წლის მანძილზე, ეს საწარმო ისე მუშაობდა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში, ოფიციალურად არ ფიქსირდებოდა.

„გასაოცარია, ადამიანების მოკლე მეხსიერება. დღეს, როგორც საქართველოს მოქალაქემ და ამომრჩეველმა, დემოკრატიის დამცველ „ნაციონალებს“ რომ დავუსვა კითხვა, რა ხდებოდა იუსტიციის სამინისტროში რამდენიმე თვის წინ, ეს პოლიტიკური დევნა იქნება? როგორ და ვისი ბრძანებით გააქრეს ს/ს „ქართული ფოლადი“ სამეწარმეო რეესტრიდან? ამ კითხვაზე პასუხს არა მარტო როგორც ამ საწარმოს დირექტორი, არამედ, როგორც მოქალაქე, ისეც ვითხოვ! სამაგიეროდ, სამეწარმეო რეესტრი 2011 წლის 7 ივლისის მდგომარეობით განახლდა. თქვენს მკითხველს სამართლებრივი და ფინანსური სიღრმეებით თავი რომ არ შევაწყინოთ, ეს ყველაფერი ასე შეგვიძლია შევაჯამოთ: სახელმწიფო დაეხმარა ზემოაღნიშნულ ჯგუფს, რათა ჩვენს საკუთრებაში არსებული, რამდენიმე ასეული მილიონი ლარის ქონება, უსასყიდლოდ, ხელში ჩაეგდო. სახელმწიფო თვალს ხუჭავდა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილ სხვა, სავარაუდო ფინანსურ დანაშაულებზე და დიდ შეღავათებსაც ანიჭებდა მათ!“, — აცხადებს ნათია ჯაყელი.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საქართველოს ციხეების, განათლებისა და თავდაცვის ექსმინისტრი დიმიტრი შაშკინი, რომელიც პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სიტუაციას, ოჯახთან ერთად, ერთ-ერთი პირველი გაერიდა და გეზი აშშ-სკენ აიღო, 6 მარტს საქართველოში დაბრუნდა და განაცხადა: „ყველამ იცოდა, სადაც ვიყავი. თუ გამოძიებას ჩემთან შეკითხვები ექნება, მზად ვარ პასუხების გასაცემად! საქართველოს მოქალაქე ვარ და გადავწყვიტე, სამშობლოში დავბრუნდე!“ ისე, შაშკინთან კითხვები მხოლოდ კბილაშვილის უწყებას კი არა, თავად მიხეილ სააკაშვილსაც აქვს და აინტერესებს, რატომ გაიქცნენ ქვეყნიდან შაშკინი და ადეიშვილი. ჩვენთვის რომ ვთქვათ, გაქცევაზე მეტად ისაა საინტერესო, რატომ დაბრუნდა შაშკინი, თუმცა ვიდრე ამ თემაზე არსებულ სხვადასხვა ვერსიას განვიხილავთ, პირველი ოქტომბრის შემდეგ განვითარებული მოვლენები ქრონოლოგიურად გავიხსენოთ.

ისე, თუკი ვირწმუნებთ, რომ შაშკინი „ამერიკის აგენტია“, მაშინ მისი სამშობლოში დაბრუნება, სადაც გამორიცხული არაა, ბრალი წაუყენონ, ივანიშვილის მთავრობისთვის, შესაძლოა, ერთგვარი გამოწვევა იყოს. მართალია, ამას წინათ, პრემიერმა განაცხადა, არ ვიკადრებ და პროკურატურას არ დავურეკავ, რომ ვინმეს დაჭერა-არდაჭერაზე უარი თქვასო, მაგრამ მიუხედავად ამისა, საინტერესოა, პრემიერი „ამერიკის კაცის“ დაჭერას მწვანე შუქს მისცემს თუ არა?!

რატომ დაბრუნდა საქართველოში და დაიჭერენ თუ არა დიმიტრი შაშკინს

დიმიტრი შაშკინმა, რომელიც ვიდრე ჩინოვნიკი გახდებოდა, არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობდა, ქვეყანა 2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში დატოვა. 22 ოქტომბერს კი, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ვრცელი მიმართვა „ატვირთა“ და განმარტა, რომ ოჯახი დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციას გაარიდა: **„მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო საქართველო იმ იმედით, რომ დავბრუნდები და კვლავ მექნება საშუალება, ვემსახურო ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს. არ გამიკვირდება, თუ უახლოეს მომავალში, ბევრ „გაუგონარ ამბავს“ გაიგებთ ჩემს შესახებ. ვინც მიცნობს, არ დაიჯერებს. თუმცა ვინც არ მიცნობს, მინდა, დავარწმუნო, რომ ყოველთვის ვიცავდი კანონს და პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს. არ ვნანობ არც ერთ გადაწყვეტილებას, რაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მივიღე და მზად ვარ, ვუპასუხო ნებისმიერ შეკითხვას. თქვენი დიმა!“**

აშშ იურისტთა ასოციაციასა და აშშ საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში (IRI) წლების განმავლობაში ნამუშევარი ექსმინისტრის ამერიკაში წასვლა არავის გაკვირვებია. სხვათა შორის, თავის დროზე ანუ მაშინ, როცა პოლიტიკური კულუარებიდან ავანსცენაზე გამოვიდა, შაშკინი იმჟამინდელმა ოპოზიციამ „შტატების აგენტობაში“ დაადანაშაულა.

და მაინც, რატომ დატოვა შაშკინმა საქართველო? — ამ თემაზე „ვერსიამ“ 2012 წლის ოქტომბერში, კულუარებზე დაყრდნობით, ვრცელი წერილი გამოაქვეყნა.

პირველი ვერსიით, უფრო სწორად, თავად ყოფილი მინისტრის თქმით, ის და მისი ოჯახი ქვეყანაში შექმნილ მძიმე პოსტსაარჩევნო ფონს გაერიდნენ. არჩევნებიდან ზუსტად ორ დღეში, ერთი უსიამოვნო შემთხვევა, მართლაც, მოხდა — როგორც შაშკინის მეზობლებმა განაცხადეს, 3 ოქტომბერს, ექსმინისტრის სახლის წინ „ოცნებისლოგოიან“ მაისურებში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა აქცია გამართეს. შაშკინის უმცროს შვილს კი, სადარბაზოში შესვლისას აქციის ერთ-ერთმა აქტივისტმა გაარტყა, რის გამოც, შაშკინის დაცვამ იარაღი „დააძრო“, თუმცა სისხლისღვრა თავიდან, როგორც მაშინ მეზობლები ამბობდნენ, თავად ექსმინისტრმა აირიდა და დაცვას უყვირა, რას აკეთებო! მან, ოჯახთან ერთად, საქართველო სწორედ ამ ინციდენტის ღამეს დატოვა. ყოველ შემთხვევაში, შაშკინის დაცვის მანქანას აეროპორტში თვალი სწორედ იმ ღამეს მოჰკრეს...

მეორე ვერსიის მიხედვით, იუსტიციის ექსმინისტრმა, ზურაბ ადეიშვილმა, რომელიც დიმიტრი შაშკინთან მეგობრობდა, საქართველოდან წასვლამდე დიმას საიდუმლო ინფორმაცია და კომპრომატები გადასცა. ადეიშვილის ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, ორმაგი დარტყმისა და განსაკუთრებული ინტერესის სამიზნე რომ არ გამხდარიყო, შაშკინი საქართველოდან სწორედ ამიტომ წავიდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შაშკინს არც ვანო მერაბიშვილთან ჰქონდა ცუდი ურთიერთობა (სხვა თუ არაფერი, მისი მხარდაჭერის გარეშე, მანდატურის ინსტიტუტს ვერ შექმნიდა), სავსებით რეალურია ვერსია, რომ სწორედ შაშკინს მიანდეს კოპრომატების შენახვა და ქვეყნიდან გატანა...

რაც შეეხება მესამე ვერსიას, დიმიტრი შაშკინი საქართველოს მთავრობაში ყოველთვის ამერიკელების კადრად და აშშ-ს გავლენის წყაროდ მოიაზრებოდა. ამიტომ ამერიკელებმა, როგორც თავიანთი კაცი, ქვეყნიდან სასწრაფოდ გაიყვანეს, რადგან რუსების ხელში არ აღმოჩენილიყო. შაშკინი სამ სამინისტროს ქვეყნისთვის ყველაზე რთულ პერიოდში ხელმძღვანელობდა, ცხადია, წვდომა სახელმწიფო საიდუმლოებებზეც ჰქონდა და, შესაბამისად, ძალიან ბევრი რამ იცის. ლოგიკურია ვერსია, შაშკინის საქართველოდან გაყვანით ანუ მისი დაცვით აშშ-მ საკუთარი ინტერესები დაიცვა.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გახმაურებული ვერსიით, შაშკინმა ქვეყანა ბაჩო ახალაიასთან დაპირისპირების გამო დატოვა. როცა ქვეყნის სათავეში იყვნენ, შაშკინსა და ახალაიას მინიშნებაც არასოდეს გაუკეთებიათ, რომ ერთმანეთს ვერ იტანდნენ, თუმცა თავდაცვის მინისტრი გახდა თუ არა, შაშკინმა ახალაიას მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი მეგის ქარდავა, რომელსაც მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა, მოხსნა!

დღეს შაშკინის მოგზაურობა ისევ აქტუალურია. უბრალოდ, შეკითხვა შეიცვალა — თუკი რამდენიმე თვის წინ, ყველას აინტერესებდა, რატომ წავიდა, ახლა საინტერესოა, რატომ დაბრუნდა საქართველოში ამერიკიდან, სადაც შეეძლო, მთელი ცხოვრება, ოჯახთან ერთად, მშვიდად და ბედნიერად ეცხოვრა?

სააკაშვილის მიერ „იდეების გენერატორად“ მონათლულმა ექსმინისტრმა, შესაძლოა, საკუთარი პრეზიდენტისთვის თვალებში ჩახედვა გადაწყვიტა, მაგრამ საქმე ასე პათეტიკურად არ უნდა იყოს. ზემოხსენებული ვერსიების გათვალისწინებით, უფრო დამაჯერებელია, რომ შაშკინის დაბრუნება ყოფილმა მმართველმა გუნდა მიიღო, რათა საქართველოში „ადეიშვილის კომპრომატები“ დაებრუნებინა.

ამ შეკითხვაზე, პირდაპირ თუ ირიბად, პასუხი 6 მარტს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა გასცა, რომელმაც განაცხადა: **„2012 წლის 3-11 ოქტომბრის პერიოდში, 10 დღეში, ფაქტობრივად, ხელისუფლების გადაბარების რეჟიმში, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, დარიცხული იქნა 538 534 ლარის ოდენობის, ხოლო გაერთიანებული შტაბის უფროსის ბრძანებით, 200 000 ლარის ოდენობის პრემია. აღნიშნულ პერიოდში თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დიმიტრი შაშკინის მიერ გამოცემული, ოქტომბრის თვის გრიფით „საიდუმლო“ ბრძანებებით, პრემიები დაერიცხათ, ძირითადად, სამინისტროს სამოქალაქო ოფისის იმ თანამშრომლებს, რომლებიც უწყებაში შაშკინის მინისტრად დანიშვნის შემდეგ მივიდნენ“.**

ამავე სხდომაზე, სესიაშვილმა განაცხადა, რომ ექსმინისტრი საჩუქრად იარაღსაც არიგებდა. სხვათა შორის, „სასწრაფო წესით პრემიების ჩამორიგებაში“ შაშკინი ირაკლი ალასანიამ თავდაცვის მინისტრად დანიშვნისთანავე ამხილა. ალასანიას ამ ბრალდებას შაშკინმა პასუხი 2012 წლის 24 ოქტომბერს ანუ ქვეყნიდან წასვლიდან ორ დღეში, სოციალური ქსელით გასცა: **„გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურმე, მე წასვლამდე, საკუთარი თავს 700 000-ლარიანი პრემია გამოვუწერე. ეს არის სრული ტყუილი. მე პრემიებით ვახალისებდი წარჩინებულ თანამშრომლებს. თავდაცვის მინისტრსა და გაერთიანებული შტაბის უფროსს აქვთ უფლება, გარდა ფულადი ჯილდოსი, ასევე, პირადი იარაღით დაასაჩუქრონ ოფიცრები. მე ეს უფლება გამოვიყენე და არა ავტომატური, არამედ სანადირო თოფი და პისტოლეტი 45 წარჩინებულ ოფიცერს გადავეცი“.**

მოკლედ, რა ბრალდებით შეიძლება აღიძრას საქმე დიმიტრი შაშკინის წინააღმდეგ? — „ვერსია“ პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელ ირაკლი სესიაშვილს დაუკავშირდა:

— ექსმინისტრის ჩამოსვლის შესახებ მედიით შევიტყვე და პარლამენტში ჩემი გამოსვლა, რა თქმა უნდა, შაშკინის დაბრუნებას არ უკავშირდებოდა. პროკურორი არ ვარ, ყოფილ მინისტრებს ბრალი წავუყენო. უბრალოდ, ამ დღეებში, მაგალითად, მარნეულის საჯარისო ნაწილში ვიყავი. იმას, რაც იქ ვნახე, ენით ვერ აღვწერ და ჩემი გულისტკივილი დეპუტატებს გავუზიარე. ყველაფერი კი მხოლოდ გასაკრიტიკებლად კი არა, საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებისთვისაც ვთქვი. ექსკლუზიურად, ერთ დეტალსაც გაგიმხელთ: წინასაარჩევნოდ, ყოფილი ხელისუფლება სატელიტურ ანტენებს ებრძოდა, რაზეც რამდენიმე დღის წინ თავდაცვის სამინისტრომაც ისაუბრა — 141 616 ლარის ღირებულების სატელიტური ანტენებია ამოღებული, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ „ლილოში“ შეიძინა ანუ შაშკინმა ეს ანტენები იმიტომ შეისყიდა, რომ „გაექრო“ და „მაესტროსა“ და „მეცხრე არხის“ მაუწყებლობისთვის ხელი შეეშალა. საქმე 2 719 ე.წ. თეფშს, 1019 მიმღებსა და სხვა ტექნიკური საშუალებას ეხება, რომელიც საწყობებში დაყარეს. ჯერ ერთი, ეს შესყიდვა დარღვევით განხორციელდა — დასადგენია შესყიდვის მიზნობრიობა, გადახდილი თანხა არსებულ მონაცემებს არ ემთხვევა. მეორეც, სამინისტროს დანაკლისი აქვს — 520 თეფში და 175 ე.წ. რესივერი, ანუ მიმღები დაკარგულია. ამიტომ, დიმიტრი შაშკინის პოლიტიკურ პასუხისმგებლობის საკითხს ვაყენებ. როგორ შეიძლება, 41 მილიონი ლარის პრემია დაირიგო, როცა ზოგიერთი საჯარისო ნაწილში ჯარისკაცებს ჭერი თავზე ენგრევათ?

რაც შეეხება იარაღის ჩუქებას, დიდი ბოდიში და, იარაღი კანონიერად არავისთვის უჩუქებიათ. კანონით, პრეზიდენტის ბრძანებულებით, იარაღის ჯილდოდ გადაცემის უფლება თავდაცვის მინისტრს ნამდვილად აქვს, ოღონდ საკუთარი უწყების ყოფილი ან მოქმედი მოსამსახურისთვის და არა — შოუების წამყვანებისა და თუნდაც, პარლამენტის წევრებისთვის. ეს კანონდარღვევაა!

რაც შეეხება შაშკინის მიმართ აშშ-ს ინტერესს, ჩვენი ხელისუფლების, მით უმეტეს, ჩემს დასავლურ ორიენტაციასა და ნატო-სა და შტატების მიმართ დამოკიდებულებაში, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს! ყველას კარგად მოეხსენება, რომ წინა ხელისუფლება დანაშაულს სჩადიოდა. ჩვენი პარტნიორების ინტერესი კი კონკრეტულ გვარებზე კი არა, ნამდვილად დემოკრატიულ საქართველოზე გადის, სადაც კანონი უზენაესია! აშშ-სთვისაც ასეთი პარტნიორია მისაღები, შესაბამისად, თუ ყოფილ ჩინოვნიკებს დანაშაულში ვამხელთ, კანონის უზენაესობაც სწორედ ეს იქნება. შაშკინს ხელშეუხებლობის გარანტია, რა თქმა უნდა, არ აქვს!სიმართლე გითხრათ, დიმიტრი შაშკინის დაბრუნება გამიკვირდა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, მისთვის ცნობილია მიმდინარე გამოძიების შესახებ. ალბათ, მის გუნდს შეეშინდა, რომ თუ გამოძიება შაშკინის წინააღმდეგ მასალებს დადებს, მასზე დევნა გამოცხადდება... მოკლედ, შაშკინს შეეშინდა, რადგან იმუნიტეტი არ იცავს და აშშ-დან ექსტრადირებას, თავის ფეხით ჩამოსვლა არჩია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ვადასტურებ, რომ მისი დაპატიმრება დაგეგმილია... გამოძიება პროკურატურის პრეროგატივაა...“

ვერსიანიუსი

რუსლან პოღოსიანი პრეზიდენტს სომეხი და ქართველი ხალხის წინააღმდეგ საბოტაჟში აღანაშაულებს

პრეზიდენტის მრავალჯერადი განცხადება, სამცხე-ჯავახეთის საქართველოდან შესაძლო მოწყვეტის შესახებ, არის საბოტაჟი სომეხი და ქართველი ხალხის წინააღმდეგ, — განაცხადა პარლამენტის სხდომაზე დეპუტატმა რუსლან პოღოსიანმა.

„სააკაშვილს სურს, თავისი წარუმატებელი პოლიტიკა ორი ერის წაკიდებით დაასრულოს. ამ კუთხის სახელით ვაცხადებ, რომ ეს არ მოხდება. სამცხე-ჯავახეთი ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე, ულამაზესი არა მხოლოდ ბუნებით, არამედ თავისი ხალხით, რომელიც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდა ამ მიწაზე. მოვუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს, ნუ განაწყობს ქართველ ხალხს სომეხი ხალხისადმი სიძულვილით. ქვეყნის პრეზიდენტი ამას არ უნდა აკეთებდეს. მისი უპირველესი მოვალეობაა არა სიძულვილისა და მტრობის დათესვა მოქალაქეებს შორის, არამედ სიყვარულისა და სიკეთის დანერგვა“, — განაცხადა პოღოსიანმა და დასძინა, რომ თუ პრეზიდენტი ამ თემაზე საუბარს გააგრძელებს, მას მკაცრი პასუხი გაეცემა.

„ინტერპრესნიუსი“

სამართალდამცველებმა მაკედონიის მოქალაქისგან დიდი ოდენობით „მარიხუანა“ ამოიღეს

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისთვის მაკედონიის რესპუბლიკის მოქალაქე 1985 წელს დაბადებული ივან ს. დაიკავეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მაკედონიის მოქალაქე ცხელ კვალზე, ორთაჭალის ავტოსადგურის ტერიტორიაზე აიყვანეს.

პირადი ჩხრეკისას, მას დიდი ოდენობით 150,05 გრ გამომშრალი „მარიხუანა“ აღმოაჩნდა.

ნარკოტიკული საშუალება დაკავებულმა საქართველოში მაკედონიიდან, სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით, უკანონოდ შემოიტანა.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 7-დან 14 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

„ინტერპრესნიუსი“

„თუ კბილაშვილი 26 მაისის სრულყოფილ გამოძიებას ვერ მოახერხებს, მთავარი პროკურორი ვეღარ იქნება!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

მართალია, დემოკრატიულმა მოძრაობამ პირველი ოქტომბრის შემდეგ გამოცხადებული პოლიტიკური მორატორიუმი დაასრულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ისევ დუმს, ახალი ხელისუფლების ღია კრიტიკისგან თავს პარტიის სხვა წევრებიც იკავებენ. რა გეგმები აქვს და რას ფიქრობს ბურჯანაძის გუნდი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე? — ამ შეკითხვებით „ვერსიამ“ დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრს, გიორგი კობახიძეს მიმართა, რომელიც აცხადებს, რომ „დემოკრატების“ მორატორიუმი ტექნიკურად დასრულდა.

დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრი გია კობახიძე სააკაშვილს „პოლიტიკურ გვამს“ უწოდებს და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას არ გამორიცხავს

— ბატონო გია, მორატორიუმის „ტექნიკურად დასრულება“ რას ნიშნავს?

— ჩვენს მიერ გამოცხადებულ 100-დღიან მორატორიუმში ის ეტაპი იგულისხმებოდა, რაც ახალ ხელისუფლებას ფეხზე დასადგომად სჭირდებოდა, მაგრამ არჩევნებიდან 100 დღეზე მეტი გავიდა და პრემიერი და პრეზიდენტადწოდებული ჯერ კიდევ ერთმანეთთან ურთიერთობას არკვევენ. ივანიშვილის მთავრობას ეს დრო, როგორც ჩანს, არ ეყო, ქვეყანაში დესტაბილიზაციის საფრთხე მთლიანად გაენეიტრალებინა.

— ამ საფრთხის განეიტრალება „პრეზიდენტადწოდებულთან“ დიალოგის გარეშე შეუძლებელია?

— ივანიშვილმა ეს გზა აირჩია, თუმცა, ვფიქრობ, სააკაშვილს ძლიერი სვლები არ აქვს დარჩენილი და ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სიტუაციის გამწვავებისკენ იქნება მიმართული, მის მოღვაწეობას უფრო მძიმე დასასრულს უქადის, ამიტომ ჭკუით იქნება და სიტუაციის დაძაბვას, რა თქმა უნდა, არ შეეცდება. სააკაშვილს ბიოლოგიური ინსტიქტები მძაფრად აქვს განვითარებული — მშიშარაა და საფრთხეს ტანით გრძნობს, ამიტომ არ გარისკავს. მართალია, კონსტიტუციური ჩანაწერის სახით, თეორიული შანსი არსებობს, რომ მთავრობა დაითხოვოს და მთავრობაც ამ დისკომფორტს ვერ იშორებს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ასეთ საფრთხეს ვერ ვხედავ... ხალხი კი, ახალ ხელისუფლებას ფეხზე დასადგომად დროს აძლევს.

— თუ სააკაშვილის უმცირესობა საკონსტიტუციო ცვლილებას ხელს არ მოაწერს, ივანიშვილის ხელისუფლება ფეხზე ვერ დადგება?

— სააკაშვილი ცდილობს, ისეთი განწყობა შექმნას, თითქოს რაღაცას კიდევ წარმოადგენს და სურს, მოსიარულე ბომბის შთაბეჭდილება დატოვოს, სადაცაა, ავფეთქდებიო, მაგრამ ყველაფერი ძალიან სასაცილოა... იმ პარალელსაც ვიზიარებ, მაოხრებელ გზირს რომ ადარებენ — მიშა სააკაშვილი, მართლაც, პოლიტიკური გვამია!

— თუმცა ამ „პოლიტიკურ გვამს“ პრემიერი ხვდება და კოჰაბიტაციაც, ასე თუ ისე, გრძელდება. ბატონო გია, როგორ ფიქრობთ, პროცესი პოლიტიკური აფეთქებისკენ მიდის თუ „აყროლებისკენ“?

— პრემიერთან შეხვედრის შემდეგ, სააკაშვილის საუბრიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ დედას იფიცება, მკვეთრ ნაბიჯებს არ გადავდგამო, თან სიტყვების ისეთი კორიანტელი დააყენა, აშკარად, ისევ საკუთარი მნიშვნელობის ხაზგასმას ცდილობდა, თუმცა დიდი ხანია, მისი პოლიტიკური ღირებულება ნულის ტოლია!

— ჰოდა, ამართლებთ თუ არა ივანიშვილს, რომ ამ „ნულსა“ და „გვამს“ შეხვდა?

— საკუთარ ტაქტიკაზე პასუხისმგებელი თავად ივანიშვილია — მისი არჩევანია, პროცესს ოქტომბრამდე გაწელავს თუ სააკაშვილს ბოლოს ახლავე მოუღებს. ცხადია, მართვის სადავე მთლიანად ივანიშვილის ხელშია, თუმცა პოლიტიკურ დიპლომატიაში ფორმალობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

სხვათა შორის, ჩვენ მორატორიუმი „ქართული ოცნების“ კრიტიკაზე გამოვაცხადეთ და არა — სამართლიანობის აღდგენაზე, ამიტომ ყოველგვარი საუბარი რაღაც პოლიტიკურ ამნისტიაზე, ვიღაცებისთვის — დამნაშავეთა რაღაც „წრეებსა“ თუ „რგოლებზე“ თავზე ხელის გადასმა ჩვენთვის მიუღებელია! ეს არც ქვეყნის შენებას შეუწყობს ხელს, არც სამართლიანობის აღდგენას და ისევ შერჩევითი სამართლის მდგომარეობაში დაგვაბრუნებს.

— ისე, თავად „ოცნების“ წევრებიც ამბობენ, რომ პროკურატურის სამართალი „ურმით დადის“...

— პროცესი ნამდვილად ნელა მიდის, თუმცა ჩემთვის და, საერთოდ, საზოგადოებისთვის ამის რეალური მიზეზები უცნობია. სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებზე კი ბევრი საუბრობს. მაგალითად, ივანიშვილმაც აღნიშნა, პროკურატურაში უამრავი საქმეა შესულიო. პირადად მე, ობიექტურ მიზეზად ის ძველი კადრები მიმაჩნია, რომელიც აქამდე სააკაშვილის ხელისუფლებას ემსახურებოდა და დღესაც ისევ სახელისუფლო სტრუქტურებშია. საქმე ეხება პროკურატურის, შს სამინისტროს კადრებს, სასამართლოზე აღარაფერს ვამბობ, რომელიც „ნაციონალებისთვის“ ახლა უფრო სერიოზული და საჭირო ბერკეტია.

— ამ ფონზე, 26 მაისის მოვლენების გამოძიებას აზრი აქვს. ისე, ბადრი ბიწაძე პოლიტდევნილად რომ გამოცხადდეს და მისი რეაბილიტაცია მოხდეს, 26 მაისის გამოძიებას მაინც მოითხოვთ?

— ჯერ ერთი, ვითხოვ, ამ საქმეზე მეც დამკითხონ, მეორეც, რატომ უნდა გავჩუმდეთ? ჩვენს პოლიტიკურ ამბიციას უკან არ დავწევთ, პირიქით, ასპარეზი ახლა გაგვეხსნა, თან სიტუაციაც მომწიფდა, რომ ხელახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს და პარლამენტში შესვლის იმაზე მეტი შანსი გვაქვს, ვიდრე — „ოცნების“ შემადგენლობაში მყოფ ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას. ასე რომ, პოლიტიკური აქტიურობის გაჩერებას არ ვაპირებთ!

სხვათა შორის, ყველა ის ადამიანი, ვინც 26 მაისს დაზარალდა, კვლავ სახალხო კრებისა და ჩვენი პარტიის წევრია და საქართველოში ასეთ დივიდენდს, „ოცნების“ გარდა, სხვა პარტია არ ფლობს, მათ შორის, არც — ნაციონალური მოძრაობა, რომელიც დაუმარხავი

მკვდრის მდგომარეობაშია. 26 მაისი ჩვენი პოლიტიკური კაპიტალია და ამ თარიღმა ხელი ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას შეუწყო.

რაც შეეხება გამოძიებას, საქმეები შესაძლოა, ცალ-ცალკე დაიწყოს — მკვლელობები, უკანონო დაპატიმრებები, ციხეებში მოპყრობა — ასე კმაყოფილი მეტი ხალხი დარჩება და კონკრეტული შედეგიც დადგება, მაგრამ ეს საქმეები, ცალ-ცალკე ვერ განიხილება, რადგან მთავარი დამნაშავე პირამიდის თავშია, სადაც ცალკე საფეხურების გავლით ვერ მივალთ.

— მთავარი დამნაშავე ვინაა, ვის დასჯას ითხოვთ?

— ბევრი რამ ვიცით ცხედრების შესახებ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ჯერ გამოსაძიებელია — ვინ მიიღო ამ სადამსჯელო ოპერაციის მოწყობის პოლიტიკური გადაწყვეტილება! დიდი ეჭვი მაქვს, ეს სააკაშვილ-მერაბიშვილისა და ადეიშვილის ტრიოა, მაგრამ თუ ამაში ბოკერიაუგულავას ხელიც ურევია, რატომ უნდა იყვნენ ისინი ამ დანაშაულისგან დისტანცირებულნი?!

— გგონიათ, რომ 26 მაისის საქმის გამოძიებით, პროკურატურა ამ გვარებზე გავა?

— ჰოდა, თუ ამ გვარებზე ვერ გავა, მაშინ პროკურატურა ლეგიტიმაციას დაკარგავს! თუ კბილაშვილი 26 მაისის სრულყოფილ გამოძიებას ვერ მოახერხებს, მთავარი პროკურორი ვეღარ იქნება!

— ბატონო გია, რა ამის პასუხია და, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც წეღან ახსენეთ, მართლა რომ დაინიშნოს, დემოკრატიული მოძრაობა ისევ ბოიკოტს გამოუცხადებს თუ მონაწილეობას მიიღებს?

— პოლიტიკურად, ძალიან კარგი იქნება, თუკი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტოსთან, უარეს შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად ჩატარდება, თუმცა საკონსტიტუციო პროცესი ქვეყანაში წინ არ მიდის. ახლა ორი კონსტიტუცია გვაქვს: ერთი მოქმედი და ანტიდემოკრატიული, მეორე კი — ასამოქმედებელი და, ასევე, ანტიდემოკრატიული. საერთოდ, ისიც გაუგებარია, ახალი კონსტიტუცია ქვეყნის მოწყობის რომელ მოდელს გულისხმობს. ყველაფერი ეს ორივე პოლიტიკური ძალის მხრიდან ჯერჯერობით სპეკულაციის დონეზეა. „ოცნების“ წევრები, რომლებიც წინა ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსში მოკრძალებული ცვლილებების შეტანას სთხოვდნენ, ახლა სდუმან და მინიმუმსაც აღარ ითხოვენ. ასეა თუ ისე, თუკი დაინიშნება, ვადამდელ არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთ. აქამდე არჩევნებში მონაწილეობას აზრი სააკაშვილის გამო არ ჰქონდა — ჩვენი ინტერესი ერთი, ორი, ან ერთი ფრაქციისთვის საკმარისი საპარლამენტო მანდატის შეგროვება არ იყო. გვინდოდა, პარლამენტში სერიოზული შემადგენლობით შევსულიყავით და ამის შანსი სწორედ ახლაა. ვფიქრობ, ვადამდელი არჩევნები აუცილებლად დაინიშნება, რადგან არც 2012 წლის არჩევნები იყო სამართლიანი და არც პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობაა სახალხო.

ვერსიანიუსი

შსს-ს ავტომობილებს აუქციონზე ხელმეორედ გაიტანენ

„ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს პრესსამსახურში განუცხადეს, რომ აუქციონის ვადა 6 მარტს, 12:00 საათზე დასრულდა, მონაწილეობა არავის მიუღია და ავტომობილის შეძენის სურვილი არავის გამოუთქვამს.

„დაახლოებით ათი დღის ვადაში გამოცხადდება ხელახალი აუქციონი. მანამდე გაანალიზდება, იგივე ფასში უნდა გავიდეს მანქანები აუქციონზე, თუ უნდა მოხდეს ფასდაკლება“, — განაცხადა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ქეთი კიკნაძემ.

ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე არსებული 50-მდე ძვირადღირებული ავტომობილის აუქციონზე გატანის შესახებ განცხადება შარშან, 24 დეკემბერს გააკეთა. აუქციონის ვადა 6 მარტს ამოიწურა, ავტომობილების ფასები 18 000 – 55 000 დოლარის ფარგლებშია.

ამასთან, სანამ ავტომობილებს აუქციონზე გაიტანდნენ, რამდენიმე მოქალაქემ მანქანებში საკუთარი ავტომობილი ამოიცნო. მათი თქმით, მანქანები ძველი ხელისუფლების დროს უკანონოდ გადააფორმებინეს. ისინი ავტომობილების დაბრუნებას ითხოვენ. შსს-ს წარმომადგენელთა განცხადებით, პრობლემური ავტომობილები აუქციონზე არ გასულა. როგორც ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში განმარტავენ, აუქციონის მიმდინარეობისას, რომელიმე ავტომობილის მიმართ მოქალაქეთა მხრიდან პრეტენზია არავის გამოუთქვამს.

„ინტერპრესნიუსი“

ნოდარ ხადური დავით კირკიტაძეს ურჩევს, საბიუჯეტო კანონმდებლობაში გაერკვეს

ხადური მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კირკიტაძის განცხადებას გამოეხმაურა:

„გავიგე, ქვემო ქართლის გუბერნატორს უთქვამს, რომ ბიუჯეტში 800 მილიონი ლარია თავისუფალი სახსრები და დაარიგონ ვაუჩერებიო. კარგი იქნება, თუ გუბერნატორი გაერკვევა კანონმდებლობაში და ერთმანეთისგან გაარჩევს ბიუჯეტში ხარჯებსა და თანხას, რომელიც ამ ხარჯებშია გათვალისწინებული“, — განაცხადა ხადურმა.

მისივე ინფორმაციით, სასოფლო-სამეურნეო ბარათებს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი არიგებს და ის საბიუჯეტო სახსრებიდან არ ფინანსდება, შესაბამისად, სოფლის მოსახლეობას ურიგდება.

„პირველი“

H1N1 ვირუსით კიდევ სამი ადამიანი გარდაიცვალა

H1N1 ვირუსით კიდევ სამი ადამიანი გარდაიცვალა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების რიცხვი კიდევ 15 ერთეულით გაიზარდა და 284 შეადგინა. 22 პაციენტი გარდაიცვალა.

გარდაცვლილთა შორის ყველაზე მეტი, 30-დან 64 წლამდე ასაკის პირია. ამ ასაკობრივ ჯგუფზე გარდაცვალების 16 შემთხვევა მოდის. ამასთან, გარდაცვლილთა შორის ოთხ წლამდე ასაკის ორი ბავშვია, ერთი კი — 5-დან 14 წლამდე ასაკის. გარდაცვალების ერთი შემთხვევა 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც დაფიქსირდა.

ცენტრში განმარტავენ, რომ გრიპის ვირუსით ინფიცირებულთა სამედიცინო დაწესებულებების მიმართ მიმართვიანობა მარტის ბოლოსთვის მკვეთრად იკლებს, აპრილში კი, ინფიცირების ერთეული შემთხვევები დაფიქსირდება.

„ინტერპრესნიუსი“

თორნიკე შურღულაია ხელისუფლებას დაზვერვის ეროვნული აკადემიის შექმნას სთავაზობს

ისტორიის დოქტორი თორნიკე შურღულაია ხელისუფლებას ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, საქართველოს დაზვერვის ეროვნული აკადემიის შექმნას სთავაზობს.

როგორც „პირველს“ შურღულიამ განუცხადა, ყველა განვითარებულ სახელმწიფოს, მით უმეტეს, კონფლიქტურ ვითარებაში მყოფს, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის კვალიფიციური ოფიცრები სჭირდება, რომლებიც დაზვერვის აკადემიადამთავრებული პროფესიონალები იქნებიან.

„ისინი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პრევენციულ სპეცაქციებს გაატარებენ. თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნების დაზვერვის სტრუქტურებს, მათ ბიუჯეტსა და აკადემიაში მომზადების დონეს, დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული იდეის განხორციელება ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა“, — აცხადებს შურღულაია.

„პირველი“

სილვიო ბერლუსკონის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

იტალიის სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრ, სილვიო ბერლუსკონის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა უკანონო მოსმენებისთვის. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება.

ბერლუსკონის ბრალად ედება კონფიდენციალური სატელეფონო საუბრების მოპოვება და მათი საჯაროდ გამოქვეყნება. ინფორმაცია იტალიური სადაზღვევო ჯგუფის „უნიპოლ ბანკის“ საქმეს უკავშირდება.

სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, რომელიც ბერლუსკონისთვის თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა.

მილანის სასამართლომ ასევე გაასამართლა სილვიო ბერლუსკონის უმცროსი ძმა პაოლო, რომელსაც იმავე საქმეში თანამონაწილეობის ბრალდებით, 2 წლითა და 3 თვით პატიმრობა მიუსაჯა. სწორედ პაოლო ბერლუსკონი იყო გაზეთ Il Giornale-ს გამომცემელი, რომელშიც იტალიის ყოფილი პრემიერის მიერ მოპოვებული უკანონო მასალები გამოქვეყნდა.

„ინტერპრესნიუსი“

8 მარტს დაბადებულთა შორის მამაკაცებს ქალბატონები სჭარბობენ

როგორც „პირველს“ სერვისების განვითარების სააგენტოდან აცნობეს, საქართველოში 8 მარტს დაბადებული 17 158 ადამიანი ცხოვრობს, აქედან 10 507 (61%) ქალბატონია, ხოლო 6 651 (39%) მამაკაცი.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კვლევა, სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ხარისხის მართვის სამსახურმა ჩაატარა.

2012 წლის 8 მარტს 150 ბავშვი დაიბადა, მათგან 95 გოგონა და 55 ვაჟი. 8 მარტს ყველაზე მეტი ბავშვი 1960 წელს დაიბადა. ამ წელს ქალთა საერთაშორისო დღეს დაბადებული 283 ბავშვია დარეგისტრირებული.

რაც შეეხება რეგიონებს, 8 მარტს დაბადებულთა უმეტესობა იმერეთში (2191), ქვემო ქართლსა (2050) და კახეთში (1507) ცხოვრობს.

„პირველი“

ქალებისგან დაჩაგრული ქართველი კაცები დახმარებას ითხოვენ

„ცოლი მობიღურზე შემავად და გამავად ზარებს მიმოწმებს, მესიჯებს კითხულობს და თუ სადმე ქალის კვალი აღმოაჩინა, სკანდალს მიწყობს. ასევე, მთხოვს, რომ მუშაობა ჩემს სამსახურში დავაწყებინო, რადგან მისი თვალთახედვის არედან არ გავიდე. ცოლის თვალთვალის გამო, ღამისაა, გავგიჟდე...“

ნელი თორდია
593-61-07-72

3 და 8 მარტის ფონზე, შეიძლება, ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, რა დროს მამაკაცთა პრობლემებზე ლაპარაკიაო, მაგრამ ფაქტები, რომლებიც „ვერსიას“ მოაწოდეს, გულგრილს ვერავის დატოვებს, მით უმეტეს, რომ საქმე ისეთ ტაბუდადებულ თემას ეხება, როგორიც მამაკაცის უფლებებია. მართალია, სტატისტიკით მოძალადე მამაკაცები ქალებს სჭარბობენ, მაგრამ როგორც ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, ქვეყანაში ქალებისგან დაჩაგრული კაცებიც მრავლად არიან, თუმცა მსხვერპლი მამრები მოძალადე ქალებისგან თავის დასაცავად, ცხადია, არც პატრულს იძახებენ და არც უფლებადამცველებს მიმართავენ. მაშ ასე, „ვერსია“ მოძალადე დიაცებისგან დაჩაგრულ ვაჟკაცებზე გიამბობთ.

მანანა ფურცხვანიძე, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტი: — მამაკაცს, ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, იმის აღიარება, რომ ქალის ძალადობის მსხვერპლი გახდა, უჭირს. ამიტომ უმეტესად, შვილის ან რძლის მხრიდან გამოვლენილი ძალადობის მსხვერპლნი მოგვმართავენ, თუმცა ისეთი შემთხვევებიცაა, როცა უფლებების დაცვას ცოლის ან საყვარლისგან დაჩაგრულიც გვთხოვს. მაგალითად, ამ პრობლემით არცთუ დიდი ხნის წინ, ახალგაზრდა მამაკაცმა მოგვმართა. მართალია, მას ფიზიკურ ძალადობაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ გვიმტკიცებდა, მეუღლე ჩემზე ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებს. მობილურზე შემავალ და გამავალ ზარებს მიმოწმებს, მესიჯებს კითხულობს და თუ სადმე ქალის კვალი აღმოაჩინა, სკანდალს მიწყობს. ასევე, მთხოვს, რომ მუშაობა ჩემს სამსახურში დავაწყებინო, რადგან მისი თვალთახედვის არედან არ გავიდე. ცოლის თვალთვალის გამო ღამისაა, გავგიჟდეო. მოკლედ, ეს ახალგაზრდა მამაკაცი, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, ითხოვდა, რომ განქორწინებაში ანუ სასამართლოში სარჩელის შეტანაში დავხმარებოდით...

მამაკაცზე ძალადობის კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება, რომელიც ძალიან ცუდად დამთავრდა: ცოლ-ქმარი, რომელსაც ერთი შვილი ჰყავდა, განქორწინდნენ და ქალი უცხოელ მამაკაცზე გათხოვდა. მამა ბავშვს ყურადღებას არ აკლებდა — ყოველ შაბათ-კვირას თავისთან მიჰყავდა. ბავშვს მამა ისე უყვარდა, რომ დედასა და უცხოელ მამინაცვალთან დაბრუნებას აპროტესტებდა. ამასობაში, უცხოელ მამინაცვალს საქართველოში მუშაობის კონტრაქტი ამოეწურა და ქართველ მამას ეჭვი გაუჩნდა, რომ მისი შვილი ყოფილ ცოლს, შეიძლება, საზღვარგარეთ წაეყვანა და დახმარება გვთხოვა, სასამართლოში დედისთვის ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის უფლების შეზღუდვაზე სარჩელი შეგვეტანა. აღმოჩნდა, რომ კანონში შეტანილი იყო ცვლილება, რომლის თანახმადაც, თუ ბავშვს პასპორტი აქვს, საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ ერთი მშობლის თანხმობითაც შეუძლია... სასამართლომ სარჩელი არ დაგვიკმაყოფილა... ქართველი მამის შიში კი გამართლდა, მისი შვილი ამერიკაში წაიყვანეს და ორი წელია, მისი ასავალ-დასავალი არ იცის.

— შვილის სამართლებრივი გზით დაბრუნების შანსი არ არსებობს?

— ეს იმდენად რთული სიტუაციაა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად მამამ საკითხი ორი სახელმწიფოს დონეზე უნდა დააყენოს.

— ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როცა ქალი მამაკაცზე ფსიქოლოგიურ ძალადობას შვილის მეშვეობით ახორციელებს. ზოგჯერ კაცს არდაბადებული შვილითაც აშანტაჟებენ...

— ძალადობა, შეიძლება, იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიური და იძულება. ადამიანი ძალადობის მსხვერპლად რომ ჩაითვალოს, ჩამოთვლილთაგან რომელიმე ფორმა უნდა ეხებოდეს. რაც შეეხება შანტაჟს, გასარკვევია, რა ფორმითა და დოზით ხორციელდებოდა, რადგან შანტაჟი შეიძლება, ძალადობაზე უფრო მძიმე დანაშაულშიც. სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, მამაკაცისთვის, რომელიც შვილს არ აღიარებს, დნმ-ის ანალიზი სავალდებულოა. ითქვა, ეს ცვლილება ქალებმა შეიძლება, მამაკაცის საწინააღმდეგოდ გამოიყენონო, მაგრამ ბავშვი, დაბადების შემდეგ, ქალის ან მამაკაცის ინტერესებზე საუბარი მეორეხარისხოვანია. ამ დროს მთავარი, ბავშვის ინტერესებია.

მამაკაცზე განხორციელებული ძალადობის სტატისტიკური მონაცემებისთვის, „ვერსია“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს დაუკავშირდა, რომლის მონაცემებითაც: 2011 წელს ცხელ ხაზს დაუკავშირდა და კონსულტაცია გაეწია 92 მამაკაცს. აქედან, მათი განმარტებით: მეუღლისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდის — 7 (დეტალებს არ აკონკრეტებს), მამისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას აფიქსირებს — 3, ძმისა და რძლისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდის — 3, დედა და და-ძმისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას — 6, შვილისა და რძლისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას — 18. დანარჩენი მამაკაცები კი, ცხელ ხაზს შვილების, მეგობრებისა და ნაცნობების პრობლემების გამო დაუკავშირდნენ.

2012 წელს ცხელ ხაზს დაუკავშირდა და კონსულტაცია გაეწია 38 მამაკაცს. აქედან მეუღლისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიური ძალადობას აფიქსირებს — 4 (დეტალები არ კონკრეტდება), მამისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას — 3, ძმისა და რძლისგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას — 4, შვილისგან ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას — 7.

ცოლებისგან მამაკაცებზე ფსიქოლოგიური ძალადობა, ძირითადად, გამოიხატება საერთო შვილების ნახვისა და მათთან ურთიერთობის აკრძალვაში.

„ახალგაზრდა იურისტები“ არ გამორიცხავენ, რომ გიორგი ბარათაშვილის გათავისუფლება დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ გიორგი ბარათაშვილის გათავისუფლებას უკანონოდ მიიჩნევს.

როგორც ჟურნალისტებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინიციატივო ჯგუფთან შეხვედრის დაწყებამდე კოჟორიძემ განუცხადა, გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ან უნდობლობის გამოცხადებისთვის საჭიროა საბჭოს წევრთა რაოდენობის ორი მესამედი.

„გადაწყვეტილება მიიღო ცხრა წევრმა, ორი მესამედი კი არის ათი წევრი. აქედან გამომდინარე, მათ არ ჰქონდათ ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება. აქ არა მხოლოდ ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევაზე შეიძლება საუბარი, არამედ, შესაძლოა, ეს დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს“, — აღნიშნა საია-ს თავმჯდომარემ.

შეხვედრის დაწყებამდე, საინიციატივო ჯგუფის წევრმა ნინო ზაუტაშვილმა განაცხადა, რომ ჯგუფი ორ სარჩელს ამზადებს. კიდევ ერთ სარჩელს ამზადებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი.

საინიციატივო ჯგუფის ერთი სარჩელია სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, მეორე კი, როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრი გიორგი ჩართოლანი აცხადებს, შეეხება მის მიმართ სამეურვეო საბჭოს წევრის შეურაცხყოფას.

რაც შეეხება გიორგი ბარათაშვილს, ის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლის მიხედვითაც, თანამდებობიდან გათავისუფლდა.

„ინტერპრესნიუსი“

„სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ კანონში ცვლილება შედის

იურიდიული საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი, რომელიც „სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტიდან იმ დებულების ამოღებას ითვალისწინებს, რომლის თანახმადაც, სასაზღვრო პოლიციის უფროსი, ამავე დროს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განიხილა. კანონპროექტის მიხედვით, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს საშუალება მიეცემათ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად გარდაიქმნან.

კომიტეტმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი „საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმიც განიხილა. ოქმის მიხედვით, ესტონეთის რესპუბლიკის მხრიდან ხელშეკრულების განხორციელებისთვის კომპეტენტურ ორგანოდ ეროვნული უშიშროების სამსახური განისაზღვრა. დოკუმენტის თანახმად, დაიხვეწა ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხებს ეხება.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განხილული საკითხების პლენარულ სხდომაზე გატანა მიზანშეწონილად მიიჩნია.

„პირველი“

ახალი საკანონმდებლო პაკეტი

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა სასჯელის შეკრებითობის პრინციპის გაუქმებაზე მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტზე იმსჯელა და ინიციატივას მხარი დაუჭირა.

კანონპროექტის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსსა" და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" ცვლილებები შევა, რომლის მიხედვითაც, ჩადენილი დანაშაულის ერთობლიობისას განაჩენის გამოტანისას უფრო მკაცრი სასჯელი ნაკლებად მკაცრს შთანთქავს. ხოლო განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი ნაკლებად მკაცრს შთანთქავს. განაჩენთა ერთობლიობისას შესაძლებელი იქნება სასჯელთა ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრება, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. გადაწყვეტილებას მოსამართლე კონკრეტული საქმის, კონკრეტული გარემოებებისა და განსასჯელის პიროვნებიდან გამომდინარე გააკეთებს. ცვლილებების თანახმად, დადგინდება სასჯელის მაქსიმუმი, რომელიც 30 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

კანონში შესატან ცვლილებებს ექნებათ უკუძალა იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომელთაც დანაშაულთა-განაჩენთა ერთობლიობისას საბოლოო სასჯელი დაენიშნათ აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებამდე.

კანონპროექტის ინიციატორის აზრით, ცვლილებები დადებით გავლენას იქონიებს როგორც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირებზე, ასევე მოსამართლეებზე. კერძოდ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირებს ექნებათ სამართლიანობის განცდა, რადგან ადეკვატურ სასჯელს იხდიან, რაც თავის მხრივ მათ რესოციალიზაციას გააადვილებს. მოსამართლეები კი გათავისუფლდებიან სავალდებულოდ გამოსაყენებელი წესისგან, რომელიც მათ სასჯელის დამოუკიდებლად დანიშვნის შესაძლებლობას ართმევს.

იურიდიულმა კომიტეტმა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტს მხარი დაუჭირა და მის განხილვას პარლამენტი პლენარულ სხდომაზე გააგრძელებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი კიდევ ერთი ცვლილების, იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო პაკეტის დამტკიცების შემთხვევაში, გაიზრდება ადვოკატის უფლებამოსილება.

ადვოკატს უფლება ექნება თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სახელით გაასაჩივროს განაჩენები სააპელაციო და საკასაციო, მათ შორის აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება, რისი უფლებაც აქამდე ადვოკატს თვითონ არ ჰქონდა. აგრეთვე ადვოკატს ექნება უფლება მოითხოვოს სასამართლოსგან ისეთი საგამოძიებო ქმედებების ჩატარება, როგორიცაა ჩხრეკა და ამოღება. რა თქმა უნდა, ადვოკატი ამას თვითონ ვერ გააკეთებს, ამისათვის მას უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს სასამართლოს, რომ სასამართლომ განახორციელებინოს საგამოძიებო ორგანოს ამოღების თუ ჩხრეკის ქმედება.

გარდა ამისა, ცვლილებების პაკეტის მიხედვით, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა შეეძლება არა მარტო სახელმწიფო, არამედ ნებისმიერ კვალიფიციურ ექსპერტს:

"ჩვენ ვთავაზობთ პარლამენტს, რომ როდესაც საქმე ეხება პატიმარს და მის ჯანმრთელობის მდგომარეობას ყველა სერიოზულ, ლიცენზირებულ ექსპერტს მიეცეს საშუალება, რომ დადოს კომპეტენტური დასკვნა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ," - განაცხადა კანონპროექტის ავტორი უწყების მინისტრმა თეა წულუკიანმა.

ცვლილებები შეეხება კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებსაც, მათ ექნებათ ვალდებულება საჭიროების შემთხვევაში გასცენ ინფორმაცია. როგორც თეა წულუკიანმა განაცხადა, მანამდე ეს ვალდებულება არ არსებობდა და ხშირად, როდესაც მაგალითად, მობილური ოპერატორები უარს აცხადებდნენ ინფორმაციის გაცემაზე, უსპობდნენ ადამიანს შესაძლებლობას ჰქონოდა ალიბი, თუკი ის დანაშაულის ჩადენის მომენტში სრულიად სხვაგან იმყოფებოდა.

წულუკიანის თქმით, ასევე, დაიწევს ჯარიმის ზედა ზღვარი სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევისას და თუკი აქამდე მოსამართლეს შეეძლო 50-დან 5 000-მდე ლარით დაეჯარიმებინა პირი, ცვლილებების შესვლის შემთხვევაში ზედა ზღვარი 500 ლარი იქნება.

სასამართლო პროცესების გაშუქების წესები და ვალდებულებები

2013 წლის 1 მარტიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად დადგინდა ახალი წესები, რომლითაც მედიამ სასამართლო პროცესების გაშუქების დროს უნდა იხელმძღვანელოს.

მართალია, ჯერ კანონი ძალაში არ შესულა და მის ამოქმედებას იგივე ცვლილების საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში შეტანაც სჭირდება, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ტექნიკური დეტალია, რომელსაც როგორც კანონმდებლები გვპირდებიან უახლოეს დღეებში განახორციელებენ.

როგორი რეგულაციები დააწესა კანონმა და ვის რა ვალდებულება ეკისრება პროცესების გაშუქების დროს, ამ თემებზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი მედიის წარმომადგენლებს ესაუბრა.

სასამართლო პროცესებზე კამერების დაშვება 2007 წლიდან აიკრძალა, თუმცა ეს ეხებოდა მხოლოდ სხდომებზე ტელეკამერების აკრძალვას. მედიის წარმომადგენლები ჩვეულებრივად ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს. მათ ასევე შეეძლოთ განცხადებით მიემართათ სასამართლოსთვის და მოსამართლისთვის ეთხოვათ, სხდომის გადაღების ნებართვა. სასამართლოს თავისი ინიციატივითაც შეეძლო დაეშვა კამერა სასამართლო დარბაზში. ასეთი დაშვება ხშირი არა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა მოსამართლის გადაწყვეტილებით რამდენიმე გახმაურებულ საქმეზე ვიდეო კამერები დაუშვეს.

ამჯერად, კი შეიძლება ითქვას სასამართლო სხდომები შესაძლოა ტოტალური" გადაღებების ობიექტად იქცეს. კანონმდებელმა დაადგინა თუ ვის რა ვალდებულება ეკისრება ამ პროცესში.

ინფორმაციისთვის: სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების შესახებ ჩანაწერი სისხლის სამართლის პროცესის 182 პრიმ მუხლშია შეტანილი.

გაშუქების წესი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. ერთი ნაწილი სასამართლოს ვალდებულებას ეხება, ხოლო მეორე ნაწილი თავად ტელევიზიების, პირველ რიგში საზოგადოებრივი მაუწყებლობის უფლებამოსილებას.

განხორციელებული ცვლილების მიხედვით, სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეოჩაწერა. სასამართლომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერის მხარეებისთვის ან სხვა პირებისთვის მისი ხელმისაწვდომობა. თუმცა გასათვალისწინებელია შემთხვევები, როცა სასამართლოს მიერ სხდომა მთლაინად ან ნანილობრივ დახურულად ცხადდება. ამ შემთხვევაში ჩანაწერის ასლი შესაძლებელია გადაეცეს მხოლოდ მხარეებს. ხოლო ისინი ვალდებულები არიან ხელი მოაწერონ ვალდებულებას რომ არ გაამჟღავნებენ ამ ჩანაწერის შინაარს და მას საჯაროდ ხელმისაწვდომს არ გახდიან.

თუმცა აქვე კანონბმდებელმა ერთი დათქმაც გააკეთა: სასამართლოს დავალდებუელბა გააკეთოს სხდომის ჩანაწერი არ ამოქმედდება მანამ სანამ ბიუჯეტიდან არ გამოიყოფა თანხა და სასამართლოები არ აღიჭურვებიან შესაბამისი აპარატურით. ამისთვის კი კანონმდბეელმა სასამართლოს განუსაზღვრა ვადა არაუგვიანეს 2013 წლის ი ივნისი.

რაც შეეხება ტელევიზიებს. უპირველად კანონმდებელმა გამოყო საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი ამ პროცესში.

ჩანაწერში ვკითხულობთ: საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდოე, აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა. მასვე ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს ჩანაწერის მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის გადაცემა მათი მოთხოვნისთანავე."

თუმცა აქაც არის შეზღუდვა, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებით სხდომა მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულად გამოცხადდება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია და არა ვალდებული. მას შეუძლია არ ჩათვალოს საჭიროდ და არ გადაიღოს კონკრეტული სხდომა. ამ დროს მოქმედებს 182 პრიმა მუხლის მესამე ნაწილი:

თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს გადაღების უფლებით, ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია სხვა ტელეკომპანიებს და სასამართლო რამდნეიმე ტელეკომპანიიდან ამოარჩევს ერთ-ერთს. ამორჩევა კი წილისყრის რეჟიმში მოხდება.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ გადაღების უფლება შეუძლია მხოლოდ საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ ტელეკომპანიას.

ტელევიზიის წარმომადგენლებმა სასამართლოს სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მაინც უნდა მიმართონ,რომ სურთ აწარმოონ გადაღება და თუკი ამ მიმართვის ავტორი არ არის საზოგადოებრივი მაუწყებელი, მხოლოს ამის შემდეგ ჩაატარებს სასამართლო წილისყრას სხდომის გასაშუქებლად სხვა ტელეკომპანიის ამოსარჩევად.

სასამართლო დარბაზში კამერები კი სედის, მაგრამ მათ თავისუფლად გადაადგილება ხმაური და სასამართლოს მუშაობსითვის ხელის შეშლა ეკრძალებათ. ვიდეო და ფოტო გადაღება უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ მონიშნული ერთი ადგილიდან.

ვიდეო გადაღების მსგავსად უკვე ნებართვა აგარ სჭირდება პროცესის აუდიოჩაწერასაც. ნებისმიერ პირს უფელბა აქვს განახორციელოს პროცესის აუდიოჩაწერა და შემდეგ სხდომის დარბაზიდანვე გაავრცელოს იგი ინტერნეტით, თუკი პროცესზე საამისოდ ტექნიკურად აღჭურვილი მოვა. ანუ პროცესზე უკვე შესაძლებელია მობილური ტელეფონების, ლეპტოპების შეტანაც.

განსაკუთრებული წესი მოქმედებს როცა საკიტხი ნაფიც მსაჯულტა სასმაართლო პროცესებს ეხება. ამ დროს სხდომის გადაღება ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობს, მაგრამ ტელეკომპანიებმა უნდა უზრუნველყონ ეთერში გაუშვან მასალა, ნაფიც მსაჯულთა მაიდინფიცირებელი ნიშნების გარეშე.

კანონმდებელმა კურადღება გაამახვილა ასევე სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფნებზე. აქაც დასაშვებია გადაღება ყოველგვარი შეზღუყდვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა როცა შეზღუდვას უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს.

ასეთი გახლავთ ის წესები რომელიც მალე ამოქმედდება სასამართლოებში. სასამართლო ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად, თუმცა იქვე აფრთხილებენ პროეცსის მონაწილე მხარეებსა და მედიის წარმომადგენლებს, რომ საჯარო ინტერესების პარალელურად გაითვალისწინონ მართლმსაჯულების ინტერესიც: პროცესები მშვიდ გარემოში ჩატარდეს და დაცული იყოს პროცესის მონაწილე პირთა უსაფრთხოება.

სასამართლომ ბრალდებულის მიმართ დევნა შეწყვიტა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ოქროს ნაკეთობის ძარცვის ფაქტზე, ბრალდებულ დავით ასკურავას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა. სასამართლოს განჩინებით, გაუქმდა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა და დავით ასკურავა დარბაზიდან გაათავისუფლა.

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულ დ. ასკურავას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე. სასამართლომ მხარეთა ახსნა განმარტებებისა და წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობის შეფასებისას მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებანი არ არის საკმარისი და ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული დ. ასკურავამ ჩაიდინა. შესაბამისად, სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისად მიიჩნია საქმის არსებითად განსახილველად გადაცემისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ ნ. ა-ს კი აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით. საქმე ისაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფლა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ ნ. ა-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს - 2000 ლარის შეფარდების თაობაზე და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო - 1000 ლარის ოდენობით.

საქმის მასალების მიხედვით, ნ. ა-ს ბრალად ედება ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისიდმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სს კოდექსის 239-ე მუხლის

პირველი ნაწილით).

აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას, დაცვის მხარემ იშუამდგომლა ბრალდებულისათვის 1000-ლარიანი გირაოს შეფარდების თაობაზე. სასამართლომ განიხილა და დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა

შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით; ბრალდებული წარსულში არ არის ნასამართლევი, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არის დაოჯახებული, კმაყოფაზე ჰყავს სამი არასრულწლოვანი შვილი, აღიარა და მოინანია

ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა და მიიჩნია, რომ არ არსებობს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე.

პროექტს ახორციელებს
"საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

„ნატახტარის“ ლიმონათი ახალი შეფუთვით კვირის ბოლოს გამოვა

სასტუმრო „რედისონში“ „ნატახტარის ლიმონათის“ ახალი ლოგოსა და შეფუთვის პრეზენტაცია გაიმართა. ლიმონათის რებრენდინგთან დაკავშირებული სიახლეები მედიის წარმომადგენლებს კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა გააცნო. ლოგოსა და შეფუთვის პრეზენტაციის შემდეგ კი, ლიმონათის ახალი სარეკლამო რგოლის პრეზენტაცია გაიმართა, რამაც დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

თორნიკე ნიკოლაიშვილის განმარტებით, ახალ შეფუთვაზე, კომპანიაში 10 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. ჩაატარეს კვლევები და ლიმონათის შეფუთვის ახალი დიზაინი, მომხმარებლების დაკვეთის შესაბამისად შექმნეს. მისი თქმით, „ნატახტარის“ ლიმონათი, რომელიც ყველასთვის, დიდებისა და განსაკუთრებით პატარებისთვის, საყვარელი ბრენდია, სახეს იცვლის. კომპანიის მენეჯმენტის საქმიანობაში კი ეს ეტაპი ერთ-ერთი საუკეთესოა.

„მხოლოდ შეფუთვა შევცვალეთ, ლიმონათის ხარისხი უმაღლესია და იგივე დარჩა. ზოგადად, როდესაც ბრენდი წარმატებულია და ყველაფერი კარგად მიდის, მენეჯმენტი ცვლილებებს ნაკლებად ახორციელებს. ჩვენს შემთხვევაში კი, რებრენდინგი სხვა ფაქტორის გამო გახდა აუცილებელი. გარკვეულწილად, ეს ცვლილება მომხმარებლების მოთხოვნამ განაპირობა, ეს მათი სურვილი იყო. ბოთლი ექსკლუზიურია და ფაქტობრივად, ინდუსტრიაში ახალ სტანდარტს ვამკვიდრებთ. შუშის ბოთლიდან დაწყებული დღემდე, ყველა ეტაპი შესაბამისი კვლევის შედეგად იყო გავლილი. ამ პროცესში ჩვენი მომხმარებლების შეხედულებები მაქსიმალურად გავითვალისწინეთ. შეიძლება ითქვას, საბოლოო სათქმელი სწორედ მათ თქვეს. თავის მხრივ, განხორციელებული ცვლილება ბაზარზე კონკურენციის ზრდასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ეს პროცესი ქართული სასმელების ბაზრისთვის ისედაც ჯანსაღია, შესაბამისად, კონკურენციის მატებას, ოღონდ ბიზნესეთიკის ფარგლებში, მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით. ეს მთავარი მუხტია, რომელიც კმაყოფილების უფლებას არ

თორნიკე ნიკოლაიშვილი: „სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ აზერბაიჯანში „ნატახტარის“ ლიმონათის გარეშე, სუფრაც კი არ იშლება“

თორნიკე ნიკოლაიშვილი

იძლევა და მუდმივად ფორმაში გვამყოფებს“, — განმარტა თორნიკე ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, „ნატახტარის“ ლიმონათი, სულ უფრო მეტი მოწონებით სარგებლობს 20 სხვადასხვა ქვეყანაში და ეს ექსპორტის ზრდის მაჩვენებელზეც აისახება. კომპანიის მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ „ნატახტარის“ ლიმონათი ნებისმიერი ქვეყნის სუფრას დაამშვენებს, არა აქვს მნიშვნელობა, საქართველო იქნება ეს თუ დსთ-სა და ევროკავშირის.

როგორც თორნიკე ნიკოლაიშვილმა განმარტა, ბოლო დროს, „ნატახტარის“ გაყიდვების მოცულობა გაიზარდა. მეტიც, კომპანიის პროდუქცია წარმატებით გადის როგორც შიდა, ასევე — უცხოურ ბაზრებზე, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

2012 წლის მონაცემებით, „ნატახტარის“ ლიმონათის ექსპორტი 33%-ით გაიზარდა, რაც არსებულ ბაზრებზე პოზიციების გამყარებამ და ახალ ბაზრებზე შესვლამ განაპირობა. 2010 წელთან შედარებით, „ნატახტარის“ საექსპორტო მონაცემები, 2011 წელსაც იგივე მაჩვენებლით გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიმონათის ექსპორტი სტაბილურად მზარდია.

კვლევები ადასტურებს, რომ საექსპორტო ქვეყნებში ისევე, როგორც საქართველოში, „ნატახტარის“ ლიმონათი სუფრის განუყოფელი ატრიბუტია. შეგახსენებთ, რომ „ნატახტარის“ ლიმონათი საზღვარგარეთ 2006 წლიდან გადის. 2012 წლიდან კი ამ პროდუქტის ექსპორტი, მსოფლიოს 20 ქვეყანაში ხორციელდება.

„ჩვენი პროდუქციის საერთო გაყიდვების 40%, ექსპორტზე მოდის. 2011 წლის სექტემბრიდან, „ნატახტარი“ რუსეთის ბაზარზე გადის, რაც კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ექსპორტისთვის ყველაზე მომგებიანად კვლავ პოსტსაბჭოთა სივრცე რჩება, განსაკუთრებით — აზერბაიჯანი, სომხეთი და უკრაინა, სადაც „ნატახტარის“ ცნობადობა მაღალია. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ აზერბაიჯანში „ნატახტარის“ ლიმონათის გარეშე, სუფრაც კი არ იშლება, რადგან მეზობელ ქვეყანაში ჩვენი ბრენდი მოწინავე პოზიციაზეა“, — დასძინა თორნიკე ნიკოლაიშვილმა.

მისივე თქმით, ახლებურად შეფუთული და ახალ ლოგოიანი „ნატახტარის“ ლიმონათი, თაროებზე კვირის ბოლოდან გამოჩნდება. კომპანიის მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ ამით მათი პოზიციები გამყარდება როგორც ადგილობრივ, ასევე პოტენციურ ბაზრებზეც. და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი — „ნატახტარის“ საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ქველმოქმედებაა, რომლის საშუალებასაც სწორედ ლიმონათის პროდუქცია იძლევა. თორნიკე ნიკოლაიშვილის განმარტებით, „ნატახტარის საქველმოქმედო ფონდის“ საშუალებით, კომპანია მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს ეხმარება.

მაია მიშელაძე

საკანონმდებლო ცვლილება

დენისა და ნაგვის ტარიფის განცალკევება და საბავშვო ბაღებში ყველანაირი გადასახადის გაუქმება გადაწყდა!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

6 მარტის პლენარული სხდომა ქუთაისის პარლამენტში კენჭისყრით დაიწყო და დეპუტატებმა 67 კანონპროექტის განხილვას მთელი დღე მოანდომეს. ამდენი ინიციატივა კანონმდებლებმა „ნაციონალების“ წყალობით დააგროვეს — წინა სხდომა უმცირესობამ გიგი უგულავას მხარდასაჭერი აქციის გამო დატოვა...

ისე, როგორც ჩანს, ივანიშვილის უმრავლესობამ ჭკუა ისწავლა, ზემოხსენებულ სხდომაზე სადეპუტატო განცხადებებისთვის განკუთვნილი დრო მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას აღარ დაუთმო და ერთსაათიანი „მამაპაპური“ დებატები გამოაცხო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბარამიძე-ნიკლაურმა „ოცნების“ მიერ უმცირესობის დევნა-შევიწროებასა თუ სასამართლოს საქმიანობაში ჩარევაზე მკვახე განცხადებები გააკეთეს და უმრავლესობისგან ინიცირებულ სამართლიანობის აღდგენის პროცესს სულ პოლიტიკური ზეწოლა ეძახეს, „წამებულ ნაციონალებს“ „სიმკვახეში“ ტოლი არც ეკა ბესელიამ დაუდო:

„საჩივრებმა, განცხადებებმა და პრეტენზიებმა უკვე 17 ათასს გადააჭარბა. დიახ, სამართლიანობის აღდგენის პროცესი სწორედ იმ ხაზზე გაივლის, რომელიც პოლიტიკური დევნის ნიშნებს არ შეიცავს. მეტიც, თუ იქნება დასკვნა, რომ მოსამართლეები უკანონოდ დაინიშნენ, ამის მერე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტზე მსჯელობაც შესაძლებელი გახდება!“

დეპუტატებმა საკაშვილ-ივანიშვილის შეხვედრაზე, საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებსა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის საქართველოში დაბრუნებაზეც იმსჯელეს. ამ კონტექსტში ყველაზე ექსპრესიული გამოსვლა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს ჰქონდა, რომელმაც შაშკინს საპარლამენტო ტრიბუნიდან ბრალდება ბრალდებაზე წაუყენა და მის მიერ გაფლანგულ ათიათასობით ლარსა და საჩუქრად ჩამორიგებულ იარაღზეც ისაუბრა.

ამასთან, საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი რამდენიმე განცხადებაც მოვისმინეთ. ასე, მაგალითად, გიგლა აგულაშვილმა სარწყავი მილსადენების რეაბილიტაციაზე ისაუბრა და აგრარულ პრობლემებთან დაკავშირებით, ცხელი ხაზის ამოქმედება გვამცნო. ონის მაჟორიტარმა გია ჯაფარიძემ ყურადღება რაიონისა და, საერთოდ, რაჭის ტყის ფონდის მართვაზე გაამახვილა. დეპუტატმა დავით ლორთქიფანიძემ კი, რომელსაც თავის დროზე, ძალიან უნდოდა ვანის მაჟორიტარობა, იმის გასარკვევად, საიდან დაფინანსდა ვანის რაიონში „ნაციონალების“ ოფისის რემონტი და რატომ ხდება მისი განათება ქალაქის გარეგანათების ხარჯზე, გამოძიების ჩატარება მოითხოვა.

განცხადებების დასრულების შემდეგ, დავით უსუფაშვილი სიტყვიდან საქმეზე გადავიდა და პირველი, რასაც კენჭი უყარა, მესამე მოსმენით განხილული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი იყო. ამ ინიციატივის მიხედვით, თუ პირს სამუშაოს დატოვებას აიძულებენ, ეს ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლება.

6 მარტის სხდომაზე განსაკუთრებით საყურადღებო თინა ხიდაშელის ის ორი, ყველასთვის სასურველი ინიციატივა იყო, რომელიც პარლამენტის აპარატში ლამის დაობდა. საუბარია ბაგა-ბაღებში სწავლის გადასახადის გაუქმებასა და დენისა და ნაგვის გადასახადის ერთმანეთისგან გაყოფაზე. ორივე კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა და „ნაციონალების“ წინააღმდეგობის გარეშე დაამტკიცა.

მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში ნებისმიერი ტიპის გადასახადის შემოღების ამკრძალავი ინიციატივა, 89 ხმით ერთის წინააღმდეგ, გავიდა. კანონში პირდაპირ ჩაიწერება, რომ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ძირითადი სასწავლო-აღმზრდელობითი და კვებითი მომსახურებისთვის რამე ტარიფის დაწესება აკრძალულია. ამავე კანონის მიხედვით, დგინდება ბაღების მუშაობის რეჟიმიც, რომელიც, მოგვიანებით, საკრებულომ უნდა დაამტკიცოს. კერძოდ, სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის სასწავლო დღე სხვადასხვა ხანგრძლივობისა იქნება. კანონითვე განისაზღვრება, რომ ბაგა-ბაღების მაღალხარისხიანი სასმელი წყლით, ცხელი წყლით, გათბობა-ვენტილაციის სისტემებითა და ექიმის მომსახურებით უზრუნველყოფა აუცილებელია. თუკი ამ ინიციატივებმა მესამე მოსმენასაც „გაუძლო“ ანუ დამტკიცდა, კანონი ძალაში 2013 წლის პირველი სექტემბრიდან შევა.

მიუხედავად იმისა, რომ ხიდაშელისთვის „ნაციონალებს“ ამჯერად ხელი არაფერში შეუშლიათ, ყველას ახსოვს მათი არგუმენტი, თბილისის ბაღების ფუნქციონირებისთვის, დაახლოებით, 50 მლნ ლარია საჭირო და ეს თანხა, გადასახადის გაუქმების შემთხვევაში, მთლიანად ბიუჯეტს დაანვებაო. „ნაციონალები“ იმასაც ამბობდნენ, რომ ამ ფინანსური ტვირთის აწევას ბაღები განსაკუთრებით რეგიონებში ვერ შეძლებენ, თუმცა ეს არგუმენტები სხდომაზე აღარ გაჟღერებულა.

მოსახლეობა უფრო დიდი ინტერესით „რეპუბლიკელი“ ქალბატონის მიერ მომზადებულ იმ მეორე კანონპროექტის განხილვას ელოდა, რომლის მიხედვითაც, დედაქალაქში ნაგვისა და ელექტროენერგიის გადასახადი ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.

ხიდაშელის მეორე ინიციატივა 88 ხმით ისე გავიდა, რომ მის წინააღმდეგ ხმა ერთ დეპუტატსაც არ მიუცია. ამ კანონით, თბილისელები ნაგვის ნარჩენების გადასახადს მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით აღარ გადაიხდიან. ასევე, დადგინდა დაგვა-დასუფთავების ზღვრული მოსაკრებელი, რომლის ოდენობა ფიზიკურ პირზე თვეში 3 ლარს, იურიდიული პირზე კი, ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, შემოდის სულადობრივი ზღვარი და კანონში ჩაიწერება, რომ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ოდენობა 4 კაცით განისაზღვრება. ხიდაშელმა სოციალურად დაუცველთა ინტერესებიც გაითვალისწინა და კანონში ჩაწერა, რომ გადასახადი ფიზიკურ პირსა და სოციალურად დაუცველს შორის დიფერენცირებული უნდა იყოს.

ერთხმად, მესამე ანუ საბოლოო მოსმენით, დამტკიცდა კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, სასამართლო პროცესების ვიდეო-აუდიო გადაღება „სასამართლოების შესახებ კანონით“ დასაშვები ხდება. მეტიც, „ნაციონალები“ ინიციატივით გამოვიდნენ, პროცესების გადაღება კანონში სავალდებულო ნორმად ჩავდოთო და „ოცნებისგან“ მხარდაჭერაც მიიღეს. ასე შეხმატკბილებულად გავიდა „ოცნებელი“ ხმალაძისა და „ნაციონალი“ ბეჟაშვილის ერთობლივი კანონპროექტი სასამართლო პროცესზე აუდიო-ვიდეო გადაღებების დაშვების შესახებ. სამაგიეროდ, „ოცნებისთვის“ დაუშვებელი აღმოჩნდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ პარლამენტისთვის განსახილველად გაგზავნილი ინიციატივა ამნისტიის შესახებ. ინიციატივაში, რომელსაც „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაცია“ ჰქვია, იმ პირების სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტასა და მათი სასჯელისგან გათავისუფლებაზეა საუბარი, რომლებმაც 2013 წლის 1 იანვრამდე ეკონომიკური დანაშაული ჩაიდინეს. სააკაშვილის ამ ინიციატივის განხილვა გვიანობამდე გაგრძელდა. „ნაციონალი“ დეპუტატები „ოცნების“ გააფთრებულმა წინააღმდეგობამ განსაკუთრებით მას შემდეგ გამოაცოცხლა, რაც საუბარი სხვადასხვა მოხელის მიერ მითვისებული არადეკლარირებული ქონების ლეგალიზაციაზე დაიწყო. განხილვა ისეთ დებატებში გადაიზარდა და „ოცნებამ“ „ნაციონალ“ გამომსვლელს შეკითხვების ისეთი სეტყვა დააყარეს, რომ სხდომის წამყვანმა მანანა კობახიძემ საკითხის განხილვა მომავალი სხდომისთვის გადადო.

ბიძინა ივანიშვილი — პოპულარული მხოლოდ სახლში

აქვს თუ არა ბიძინა ივანიშვილს საერთაშორისო კომუნიკაციის პრობლემა? მაღალი რეიტინგები და მმართველი უმრავლესობა პარლამენტში იმის ვარაუდს აჩენს, რომ მის პოზიციას შინ, საქართველოში, არაფერი ემუქრება, თუმცა საერთაშორისო პრესაში არსებობს ტენდენცია, რომ მილიარდერი პრემიერი ისეთ ფიგურად წარმოადგინონ, რომელსაც დემოკრატიაზე წარმოდგენა არ აქვს და საკუთარი მტრების განადგურება უნდა. რადგან პოლიტიკური კოჰაბიტაცია „ქართულ ოცნებასა“ და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (ენმ) შორის არ მუშაობს, ქვეყნის იმიჯი უცხოეთში ზიანდება.

„ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრი ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილი ხელიდან არ უშვებს ახალი მთავრობის გაკრიტიკების შესაძლებლობას უცხოელებთან. იანვარში, მან დაგმო ახალი კაბინეტი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე. გასულ კვირაში, მან განაცხადა, რომ რუსეთი აზერბაიჯანის არჩევნებშიც იმავე ტაქტიკას გამოიყენებს, რაც საქართველოში გამოიყენა: **„ოლიგარქებს, რუსულ ფულს, შანტაჟსა და პროვოკაციებს“**. 4 მარტს ივანიშვილმა საჯარო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ბოდიში მოუხადა საქართველოს მოკავშირეებს პრეზიდენტის საქციელისთვის.

თუმცა სააკაშვილის სპექტაკლები ივანიშვილს სამსახურს ვერ უწევს. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მისმა მთავრობამ რამდენიმე მცდარი ნაბიჯი გადადგა, როგორც ამას საქართველოს წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ. „პოლიტიკური პატიმრების“ იდენტიფიკაციის პროცესი პარლამენტში, ძალიან ნაჩქარევი იყო, რადგან არ მოხდა თითოეული საქმის ყურადღებით შესწავლა. კიდევ ერთი შავი ლაქაა ის, რომ მან ვერ მოახერხა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაშინების პრევენცია. ეს უმოქმედობა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების სამართლებრივ დევნასთან ერთად თბილისში, შერჩევით სამართალთან დაკავშირებით შეშფოთების განცდას ზრდის.

პოლიტიკური მიზნებისთვის კანონის ბოროტად გამოყენება საქართველოში ახალი პრაქტიკა არ არის. ივანიშვილი თავად იყო ამის მსხვერპლი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც „ქართული ოცნება“ დაახლოებით 100 მილიონი დოლარით დაჯარიმდა. ამ თეზისს ადასტურებს ირაკლი ოქრუაშვილის, ყოფილი თავდაცვის მინისტრის საქმე, რომელიც ახლახან გაამართლეს, ის ანგელოზი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ორ კვირაში, მას შემდეგ, რაც 2006 წელს მთავრობა დატოვა და ოპოზიციური პარტია ჩამოაყალიბა, მის წინააღმდეგ გამოძალვის ბრალდებით საქმე აღძრეს.

მეტიც, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ არსებული ზოგიერთი ბრალდება მაღალი დონის კორუფციასა და ადამიანის უფლებების დარღვევაზე, უდავოდ გამოსაძიებელია. აქ მთავრობის მიდგომა უფრო ფრთხილი გახდა. გასულ კვირაში, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, შეერთებულ შტატებს და ნატოს შტაბბინას სტუმრობდა იუსტიციის დარგში დაგეგმილი რეფორმების განხილვისათვის. პარლამენტი განიხილავს ამნისტიის კანონპროექტს, რომელიც შეამსუბუქებს სასჯელს წარსულში ჩადენილი დანაშაულებისთვის შედარებით დაბალი ინსტანციის ჩინოვნიკებისთვის.

დებატებმა ამ ამნისტიის ირგვლივ ცხადყო სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობაზე. როგორც სააკაშვილმა განაცხადა 4 მარტს, ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ, დაბალი რანგის ჩინოვნიკებმა დანაშაული ჩაიდინეს, თუ ააშენეს „თანამედროვე ქართული სახელმწიფო?“ ივანიშვილი მიდრეკილია იმისკენ, რომ გააუფასუროს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიღწევები. არადა, საქართველომ უზარმაზარი პროგრესი განიცადა წარსულ ათწლეულში, განსაკუთრებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში. ეკონომიკა გაიზარდა, ხდებოდა გადასახადების გადახდა და ამოღება, აღდგა საბაზისო სერვისები. ძველი პრობლემების გადაწყვეტის გზაზე, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, რა თქმა უნდა, შექმნა ახალი პრობლემები. ახალი მთავრობა ცდილობს მოერიოს „ვარდების რევოლუციის“ ბნელ მხარეს, მაგრამ ის ვერ შეძლებდა ამის გაკეთებას, იმ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების გარეშე, რომელიც დატოვა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“.

საბოლოო ჯამში, უარის თქმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობის პოზიტიურ მხარეზე, მარცხისთვისაა განწირული. ეს უკვდავყოფს მწვავე განხეთქილებებს ქართული პოლიტიკის გულში, რომელიც თავის მხრივ, ჩრდილავს იმ პოზიტიურ საქმეებსაც, რომელსაც ახალი მთავრობა აკეთებს. არასამთავრობო ორგანიზაციები იუწყებიან, რომ სამთავრობო ინსტიტუტების ღიაობა მნიშვნელოვნად გაზრდილია წარსულთან შედარებით. განიხილება უფრო ძლიერი კანონმდებლობის ჩამოყალიბება, რომელმაც უნდა დაძლიოს მონოპოლიებისა და კარტელების პრობლემა, რაც დომინირებს ეკონომიკის საკვანძო სექტორებში, როგორც ეს ჩანს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ბოლოდროინდელი ანგარიშიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმები ზღუდავს ამ უწყების აღმასრულებელ ძალაუფლებას. დიალოგი რუსეთთან დაწყებულია, და იმის შანსი, რომ რუსულ ბაზარზე აღდგება მოთხოვნა ქართულ პროდუქციაზე, ძლიერია. განსხვავებული შეხედულებები სამთავრობო კოალიციის შიგნით, პოლიტიკური პლურალიზმის უფრო მაღალ ხარისხზე მიუთითებს, ვიდრე ეს დაშვებული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავრობის პირობებში.

გაურკვეველია, არსებობს თუ არა, თუკი საერთოდ არსებობს, ამ ცვლილებების მამოძრავებელი საბაზისო ხედვა. კარნეგის მშვიდობის ფონდის ახალი ანგარიშის თანახმად, ქართველების 45% პოზიტიურად არის განწყობილი სტალინის მიმართ, მისი დანაშაულების მიუხედავად. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უპირატესობას ავტოკრატიას ანიჭებენ; არამედ, როგორც ჩანს, ავტორების თქმით, ეს ასახავს გაურკვევლობას მომავალზე. მმართველი კოალიციის ტლანქი ბუნება, რომელიც მოიცავს წვდომას ძალაუფლებასა და რესურსებზე და ზიზღს სააკაშვილისადმი, კიდევ უფრო ზრდის გაურკვევლობის განცდას. დამაჯერებელი ხედვა იმისა, თუ როგორ გეგმავს ბატონი ივანიშვილი არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის კანონდარღვევების გამოსწორებას, არამედ შენებას იმ საძირკველზე, რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობის საუკეთესო ნაწილისგან შედგება, ძალიან მისასალმებელი იქნებოდა, როგორც შინ, ასევე უცხოეთში.

„როსპოტრებნადზორი“ იმ კომპანიების ჩამონათვალს აქვეყნებს, რომელთაც რუსულ ბაზარზე მოხვედრის შესაძლებლობა ეძლევათ

„როსპოტრებნადზორი“ იმ ქართული კომპანიების ჩამონათვალს აქვეყნებს, რომელთაც რუსულ ბაზარზე მოხვედრის შესაძლებლობა ეძლევათ და ამისთვის დოკუმენტაცია და პროდუქციის ნიმუშები უნდა წარადგინონ.

როგორც უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტები საქართველოში ინსპექტირებას 25 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით ახორციელებდნენ. სულ შემოწმდა ღვინის 37 საწარმო და მინერალური წყლის 4 კომპანია. ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელ 36 საწარმოსა და მინერალური წყლების მწარმოებელ 4 კომპანიას „როსპოტრებნადზორი“ აძლევს უფლებას, წარადგინონ დოკუმენტები მინერალური წყლების, ბოთლის ღვინის პროდუქციისა და კონიაკის სახელმწიფო რეგისტრაციისთვის.

კომპანიების ჩამონათვალი ასე გამოიყურება — მინერალური წყლები: „ბორჯომი“; „ნელსი“, „საირმე“, „აქვა გეო“. ბოთლის ღვინის ან კონიაკის მწარმოებელი კომპანიები: „ახალშენი 2005“; „ბაგრატიონი 1882“; „ბადაგონი“; „ბატონო“; „ძმები ასკანელები“; „ვაზი პლუსი“; „ღვინის მწარმოებელი ხარება“, „ვინვერია“, „ღვინის კომპანია დუგლაძე“; „შუმი“; „გრუზვინპრომი“; „ქართული ღვინის სახლი“; „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“; „კახური ღვინის მარანი“; „კახური“; „ქიმერიონი“; „ქინძმარაულის მარანი“; „ალავერდი“; GWS; კორპორაცია „ქინძმარაული“; კორპორაცია „ქართული ღვინო“; „მანავის მარანი“; „მარნისკარი“; „ოჟიოს მარანი (ალავერდის მონასტერი)“; „სარაჯიშვილი“; „გომი“; „თბილღვინო“; „თელავის ღვინის მარანი“; „თელიანი ველი“; „თბილისის მარანი“; „თბილისის ღვინის მარანი“; „წინანდლის ძველი ღვინის მარანი“; „გიორგი მირიანაშვილის ჩელტი“; „შატო მუხრანი“; „შუხმან ვაინს ჯორჯია“; „ენისელი-ბაგრატიონი“.

ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი აცხადებს, რომ ქართული ღვინისა და მინერალური წყლების პირველი ნაკადი რუსეთისკენ, სავარაუდოდ, მაისის ბოლოსკენ გაიგზავნება. მისი თქმით, გენადი ონიშჩენკოს უწყების ექსპერტებისა და სპეციალისტების შემოწმების პირველმა ეტაპმა საქართველოში ობიექტურად და პროფესიულად ჩაიარა და, ფაქტობრივად, ყველა სანარმომ გამოცდა ჩააბარა. იყო გამონაკლისებიც, ეს არის შავნაბადას მონასტერი, სადაც თვითონ ბერებმა განაცხადეს უარი შემოწმებაზე. ხოლო კიდევ ერთი კომპანია „ვაინემენის“ შემოწმება ფიზიკურად ვერ მოესწრო, ერთმა კომპანიამ კი ვერ გადალახა შემოწმება. როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი აცხადებს, ამ ეტაპზე, დაიწყება 36 ღვინის კომპანიისა და 4 მინერალური წყლის რეგისტრაცია.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხდება ქართული პროდუქციის რუსეთში მიწოდება, დავითაშვილის განცხადებით, ამაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს. მისი თქმით, ლარსი ყველაზე მისაღებია, თუმცა განიხილება სხვა მარშრუტებიც, რადგანაც სასურველი იქნება, კომპანიებს საშუალება მიეცეთ, სარკინიგზო გადაზიდვებითაც განახორციელონ პროდუქციის რუსეთში შეტანა და ამ მხრივ, სავარაუდოდ, ეს მოხდება აზერბაიჯანის მეშვეობით. მესამე ვერსია არის საბორნო მიმოსვლა, კერძოდ, საუბარია ნოვოროსიისკზე, თუმცა დღეს ბორანი ამ მიმართულებით არ მოძრაობს, მაგრამ თუ იქნება მოთხოვნა, შეიძლება გაჩნდეს ეს საშუალებაც.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

დავით კეზერაშვილსა და დავით იაკობაშვილს კაზინო „აჭარის“ მითვისებაში ადანაშაულებენ

ფიზიკური პირი, რომლის სარჩელის საფუძველზეც კაზინო „აჭარის“ მოძრავი ქონება დაყადაღდა, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ივა ჩიღვინაძე აღმოჩნდა.

„ინტერპრესნიუსი“ ჩიღვინაძეს დაუკავშირდა, რომელიც ამბობს, რომ კაზინოში წილი უკანონო გზით მას შემდეგ ჩამოართვეს, რაც პოლიტიკური აქტივობა დაიწყო.

მისივე თქმით, 2009 წელს „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ შევიდა, რის შემდეგაც ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა და დავით კეზერაშვილმა მისი წილები შეისყიდეს:

„2009 წელს კაზინო „აჭარასთან“ სესხის ხელშეკრულება გავაფორმე, რის საფუძველზეც კაზინოს მეწილე გავხდი. ამავე წელს „გაერთიანებული ოპოზიციის“ რიგებში შევედი, რასაც ჩემზე და ჩემს გარემოცვაზე დარტყმები მოჰყვა. „აჭარის“ მაშინდელი მფლობელი თემურ უგულავა აცხადებს, რომ კეზერაშვილმა და კოდუამ აიძულეს, რომ ჩემთან კონტრაქტი დაერღვია და „თიბისი ბანკში" არარსებულ, ვითომ ჩემს ანგარიშზე გადაერიცხა ჩემს მიერ კაზინოში შეტანილი ფული. ის ასევე ამბობს, რომ აიძულეს, კაზინო მიეყიდა დავით იაკობაშვილისთვის. ჩემი მოსარჩელე მხარე გამოდის დავით იაკობაშვილი. შესაბამისად, კაზინოზე ყადაღის დადება ჩემმა მხარემ მოითხოვა“.

მისივე თქმით, თანხა, რომელიც კაზინოში ჰქონდა ჩადებული, მილიონობით დოლარს შეადგენს. ამასთან, ჩიღვინაძე ზარალის ანაზღაურებასაც ითხოვს.

ჰყავდა პარტნიორები, რომელთაგან ერთ-ერთს საპატიმროში, ყოველგვარი სოციალური მუშაკის გარეშე, უკანონოდ მოაწერინეს ხელი კონტრაქტზე უარის თქმის საბუთზე:

„აქედან გამომდინარე, საქმეში იკვეთება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რასაც ალბათ გამოძიება დაადგენს“. ივა ჩიღვინაძის თქმით, უკანონოდ მისთვის წილების ჩამორთმევა სხვა ბიზნესებსაც შეეხოთ, მათ შორის — სუპერმარკეტების ქსელს „იბისი“.

სასამართლო პროცესი კაზინო „აჭარასთან“ დაკავშირებულ სამოქალაქო დავაზე 21 მარტისთვისაა ჩანიშნული.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილმა და რიჩარდ ნორლანდმა იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი გახსნეს

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ს ელჩსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, შსს-ს აკადემიაში იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი გახსნა. ობიექტის მშენებლობა და აღჭურვა აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიურომ დააფინანსა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აშშ-ს საელჩოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, შს სამინისტროში ბოლო პერიოდში გატარებული რეფორმების ერთ-ერთ მთავარ მიღწევას, სტრუქტურული ცვლილებების გარდა, წარმოადგენს 2013 წლის მოკლევადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

„ეს სტრატეგია მოიცავს სხვადასხვა სფეროებს — ადამიანის უფლებების დაცვის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზღვრის დაცვის ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზღვრის დაცვისა და მიგრაციის საკითხებს, რადგან სასაზღვრო ზოლში უკანონო ქმედებების პრევენცია, დადგენა და აღკვეთა ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრის თქმით, იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, სასწავლო შენობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო სამსახურის თანამშრომლებიც ისარგებლებენ.

იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გახსნა აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიურომ მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა.

როგორც აშშ-ს ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა აღნიშნა, გლობალიზაციის ხანაში საზღვრებს ორმაგი დანიშნულება აქვს:

„პირველ რიგში, მათი დანიშნულებაა, უზრუნველყონ ტურისტებისა და მეწარმეების სწრაფი გატარება, თუმცა საზღვარი არის ბარიერიც, რომელიც შეიძლება, წინ აღუდგეს ნარკოტიკების გატარებას, ტრეფიკინგს, ტერორიზმსა და სხვა საფრთხეებს. მსოფლიო სტანდარტების ეს შენობა საშუალებას მისცემს, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს, გაიარონ უკეთესი წვრთნა, რათა განახორციელონ თავიანთი საპასუხისმგებლო საქმიანობა“.

იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გახსნასთან ერთად, დაიწყო აშშ-ს საელჩოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე — „საზღვრის კონტროლის მართვა“, რომელსაც ამერიკელი ექსპერტები უძღვებიან. ტრენინგი, რომელშიც შსს-ს სასაზღვრო პოლიციის, საპტრულო პოლიციის, სპეციალური ოპერაციების ცენტრისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობენ, 15 მარტს დასრულდება.

„ვერსიანიუსი“

სტუდენტები და პროფესორები ალექსანდრე კვიტაშვილის გადაყენებას ითხოვენ

დაინტერესდება თუ არა პროკურატურა თსუ-ს რექტორის საქმიანობით და რას პასუხობს სასწავლებლის ადმინისტრაცია მომჩივნებს

მერაბ ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორების ნაწილი რექტორის, ალექსანდრე კვიტაშვილის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვს. „პროტესტანტები“ სასწავლებელში გამოვლენილ დარღვევებზე საუბრობენ და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ, თუმცა თსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს ამ მოთხოვნებზე მარტივი პასუხი აქვს: „ყველაფერს სასამართლოში გავარკვევთ“.

თავისუფალ სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარის, ნიკოლოზ მეტრეველის თქმით, სახელმწიფო უნივერსიტეტში უმძიმესი ვითარებაა და ალექსანდრე კვიტაშვილი სასწავლო პროცესს ვერ მართავს:

„თითოეული ჩვენგანისთვის შოკისმომგვრელი იყო, როცა შევიტყვეთ, რომ ცნობილი ზონდერი ბექა ახლოური, რომელიც სტუდენტებს, წლების განმავლობაში, ფიზიკურად უსწორდებოდა, უნივერსიტეტში დაბრუნდა და ადმინისტრაციაში დაასაქმეს და ეს მაშინ, როცა თსუ-დან არაერთი ლექტორი, ძალიან დამსახურებული ადამიანი პოლიტიკური ნიშნით განდევნეს. მართალია, მათ სასამართლოები მოიგეს, მაგრამ უნივერსიტეტში მაინც არ აბრუნებენ. ჩვენი მოთხოვნაა, ბატონმა კვიტაშვილმა თანამდებობა უახლოეს დღეებში დატოვოს. მას, ელემენტარულად, აკადემიური ხარისხიც არ აქვს. ამასთან, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კრიტიკას რომ ვერ უძლებს და აუდიტორიები გადაჭედილია, პირველ რიგში, რექტორის პასუხისმგებლობამდე მივყავართ“.

სტუდენტთა პროტესტს თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილი პროფესორებიც უერთდებიან. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი თამაზ ზუბიაშვილი ამ ზაფხულს ჩატარებულ კონკურსში „ჩაიჭრა“ და ამტკიცებს, რომ უნივერსიტეტში კონკურსები მიკერძოებით ტარდება:

„წინასწარ ამბობენ, ვინ უნდა გავიდეს. კონკურსი ზაფხულში ჩატარდა, განმეორებით — დეკემბერში. საბუთები ტურიზმის ხაზით შევიტანე, რადგან თავს ღირსეულ კანდიდატად მივიჩნევ: საბაზო განათლება მაქვს — გეოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობის სპეციალისტი ვარ. სტუდენტობისას, საერთაშორისო კონკურსში გავიმარჯვე და სტაჟირება დამასკოს უნივერსიტეტში გავიარე. ამის შემდეგ, საერთაშორისო კონკურსებში კიდევ რვაჯერ გავიმარჯვე. სხვადასხვა პროგრამაში ვმონაწილეობდი, ხუთი წელი კი ამერიკულ უნივერსიტეტებში გავატარე. ყველაფერ ამის დამადასტურებელი სერტიფიკატებიც მაქვს, მაგრამ ამით არავინ ინტერესდება. კონკურსში მონაწილეობისას, ამერიკიდან შუამდგომლობის წერილებიც მომივიდა, მაგრამ ყურადღება არც ამას მიაქციეს, რადგან კვალიფიკაციას არაფრად აგდებენ... უნივერსიტეტში წესრიგი უნდა დამყარდეს და სამართლიანობა აღდგეს, რადგან დღეს სასწავლებელში ანარქია და ქაოსია. თსუ-ს სათავეში ის უნდა მოვიდეს, ვინც საქმეს კარგად და პროფესიულად გაუძღვება. კონკურსებიც თავიდან უნდა ჩატარდეს“.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ლალი ხიხაძე კონკურსში საერთაშორისო ბიზნესის მიმართულებით მონაწილეობდა. ქალბატონი ლალიც ამბობს, რომ კონკურსს ფორმალური სახე ჰქონდა:

„კონკურსი 9-დან 22 თებერვლამდე მიმდინარეობდა, მაგრამ წინასწარ იყო გადაწყვეტილი, ვის უნდა გაემარჯვა. ვთქვათ, ტურიზმის ხაზით ნანა კაციტაძე უნდა გასულიყო, საერთაშორისო ბიზნესის მიმართულებით — ლარისა ყორღანაშვილი... კომისიის ერთ-ერთი წევრი, იაშა მესხია კანონდარღვევაში ვამხილე — თუ პროფესორი უნივერსიტეტში კონტრაქტით მუშაობს და ორმაგი დატვირთვა აქვს, სხვა დაწესებულებაში მუშაობა არ შეუძლია. ამ დროს, მესხია ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორია, თან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მთავარ სპეციალისტად მუშაობს. ჩემზე შური რომ ეძია, კონკურსის კომისიაში შევიდა. ამის შესახებ რექტორს წერილობით ვაცნობე, იაშა მესხიასა და ჩემს შორის ინტერესთა კონფლიქტი არსებობს-მეთქი. რექტორმა მიპასუხა, იაშა მესხიას ხომ უჩივლეთ და ახლა ნახეთ, რა მოგივათო. ოთხი საათი ველოდებოდი რექტორთან შეხვედრას, მაგრამ ჩემი პოზიციის დაფიქსირება, კომისიიდან მესხია გამოეყვანათ, მხოლოდ მისაღებში მოვახერხე... ბოლოს, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდოდათ — ჩემს პოზიციაზე პროფესიით ინჟინერი ლარისა ყორღანაშვილი გაიყვანეს, რომელიც ჯერ კომერციის ფაკულტეტზე იყო, შემდეგ — საერთაშორისო ეკონომიკის, მერე — ტურიზმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. მას აკადემიურ საბჭოში დაქალი, ქეთევან მარშავა ჰყავს და კონკურსშიც სწორედ ამ ხელშეწყობით გაიმარჯვა... თუ რექტორის საახლობლო-სამეგობროდან არ ხარ, კონკურსში ვერც გაიმარჯვებ. ამის გამო, უნივერსიტეტში დარღვეულია სტუდენტების ინტერესები, იგნორირებულია წარმატებული პროფესურა. სტუდენტებისა და პროფესურის უმრავლესობის პოზიციაა, რომ კვიტაშვილი პოსტიდან უნდა წავიდეს. 21-ე საუკუნეში უნივერსიტეტს არ ჰყავს მეცნიერი, მკვლევარი რექტორი — მას ლექციების წაკითხვაც არ შეუძლია და უნივერსიტეტს ასეთი შემთხვევითი პიროვნება მართავს“.

ლამარა ბერიძე თბილისის ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის (თეუსუ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოწვეულ პროფესორად მუშაობდა. მას შემდეგ, რაც ამ სასწავლებლის რეორგანიზაცია მოხდა და თსუ-ს შეუერთდა, დაპირდნენ, რომ სტატუსსაც შეუნარჩუნებდნენ და ხელფასსაც, ამასთან, პრობლემები არც სტუდენტებს შეექმნებოდათ, მაგრამ აბსოლუტურად საპირისპირო რეალობის წინაშე აღმოჩნდა:

„ყველაფერში მოგვატყუეს, ახლა კი, კვიტაშვილი ჩვენთან შეხვედრასაც გაურბის. იმედი გვქონდა, სამართლიანი კონკურსი ჩატარდებოდა, მაგრამ ერთი ადგილიც არ დაამატეს — გამონაკლისი ჩვენი ყოფილი რექტორი, თუთნაშვილი იყო, რომელიც ახლა კვიტაშვილის მოადგილეა. მეორეც, კონკურსში გამარჯვებულთა სია წინასწარ იყო ცნობილი. ყველაფერ ამას ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა. ტოტალური გაყალბების გამო, საქმე პროკურატურაში მაქვს შეტანილი — კონკურსის ოქმს ხელს მხოლოდ ორი ადამიანი აწერს. აქედან, მდივნის ხელმოწერა გაყალბებულია — მის მაგივრად, ხელს ჩვენი დეკანი, აკაკი ხელაძე აწერს.

სხვათა შორის, დევნილი პროფესორი ვარ და როდესაც თეუსუ ჯავახიშვილის უნივერსიტეტს უერთდებოდა, პროტესტი ღიად გამოვთქვი, ხელმოწერებიც შევაგროვე. დღემდე ამას მახსენებენ და კონკურსში ჩაჭრით ჩემზე, თავიანთი ჭკუით, შური იძიეს. კომისიის წევრებისგან ვიცი, ჩემი დოკუმენტები სხვებზე უკეთესი იყო... კათედრის გამგის, ელგუჯა მექვაბიშვილისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის — საათები დამიტოვა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან აკადემიური პერსონალის სიაში არ ვირიცხები და ლექციებს მესამედი და მეოთხედი ანაზღაურებით ხომ არ ჩავატარებდი?.. ალექსანდრე კვიტაშვილის რექტორობა არ შეიძლება, რადგან ყოველი კონკურსის ჩატარების მერე გვაშაყირებს — ჩვენს დეკანთან ერთად, საზღვარგარეთ მიდის ხოლმე. მაინტერესებს, სადაა ამდენი თანხა? ჯავახიშვილის უნივერსიტეტს რომ შემოვუერთდით, თეუსუ-ს სტუდენტებისგან 5 მილიონი შემოსავალი ჰქონდა და აქედან, 2 მილიონის ეკონომიას ვაკეთებდით. ეს თანხა სად წავიდა, ვისზე განაწილდა? ვინც ამათთან გარიგებაში შევიდა, ახლა კარგადაა, მათ შორის, ჩვენი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი გიორგი ღაღანიძე, რომელიც აგვისტოს არჩევნების შემდეგ, სრული პროფესორია. იმის გამო, რომ მოთხოვნები დავაყენე, ვიდევნები. რექტორი კი არც მელაპარაკება, რაღაცებს წერ და არ შეგხვდებიო. „მეილზეც“ მივწერე და სოციალურ ქსელშიც, როგორი დარღვევებით ჩატარდა კონკურსი, მაგრამ პასუხი არ გაუცია... აუდიტი შემოვიდეს და დაადგინოს, სად წავიდა ჩვენი თანხა“.

თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი არჩილ კუკულავა პრეტენზიების მქონე სტუდენტებს სასამართლოსკენ ანუ პრობლემების ცივილიზებული გზით გადაწყვეტისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში დასაქმებული, შეიძლება, ნებისმიერი პარტიის მხარდამჭერი იყოს. კუკულავას განმარტებით, თსუ-ს გარეთ დარჩენილ პროფესორებთან დაკავშირებით გარკვეული დავები სასამართლოში უკვე მიმდინარეობს:

„უსამართლო და უკანონო ნამდვილად არაფერი მომხდარა. თუ ვიღაცას მიაჩნია, რომ ადგილი დარღვევას ჰქონდა — კონკურსი არასწორად ჩატარდა ან გადაცდომა იყო, უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს და ყველაფერი ცივილიზებული გზით გავარკვიოთ. სხვათა შორის, დავები უკვე მიმდინარეობს — ნაწილს საჩივარი შეტანილი აქვს... მიკვირს, როცა პროკურატურაზე საუბრობენ — რაში დაინახეს კონკურსთან დაკავშირებით დანაშაული? ყველა ზოგადი ფრაზებითა და ლოზუნგური მოთხოვნებით შემოიფარგლება... რექტორის გადადგომის მოთხოვნაზე კი კომენტარს ვერ გავაკეთებ“.

ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო. ჰოდა, ფაქტია, რომ ქვეყნის უპირველეს უმაღლეს სასწავლებელშიც პრობლემებია. პროფესორებთან კონსტრუქციულ დიალოგზე უარის თქმა და მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა დადებითად არავის ახასიათებს. სასამართლოს გარდა, ალბათ, უნივერსიტეტის შიგნითაც უნდა არსებობდეს სივრცე, სადაც მხარეები იმსჯელებენ და მისაღებ გადაწყვეტილებას მოძებნიან.

რატომ გაიზარდა არჩევნების მერე „ელიავას ბირჟაზე“ მუშების რაოდენობა

„ბევრი ახალი მუშა შემოგვემატა, ძირითადად, რაიონებიდან არიან. კახეთიდან არის ძალიან ბევრი, ლტოლვილებმა, საერთოდ, თავი გადაგვჭამეს. კახელები გაზარმაცდნენ — ხვნა-თესვა აღარ უნდათ, ამბობენ, არაფერი გამოგვდისო და ნაწილმა „ელიავას ბირჟას“ მოაშურა. ნაწილმა კი, ივანიშვილის დარიგებული ფულებით, მანქანები შეიძინა და ტაქსაობს. ქალაქში ბოლო დროს ტაქსებიც ამიტომ მომრავლდა...“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქვეყანა თავზე ჩამოგვექცა და ყველა საწარმო ლამის ერთდროულად გაჩერდა, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, თავის გადასარჩენად, ე.წ. ელიავას მუშათა ბირჟას მიაშურა. სხვათა შორის, „ელიავას მუშებმა“ „ვარდების რევოლუციაში“, როგორც მაშინ ამბობდნენ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს — იმჟამად მოარული ხმით, რევოლუციონერები მუშებს გარკვეულ თანხას აძლევდნენ, პარლამენტის წინ მიმდინარე მიტინგს რომ შეერთებოდნენ. ძნელი სათქმელია, ეს ინფორმაცია მართალია თუ არა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის მმართველობის მიწურულს, „ელიავას მუშათა ბაზარი“ შეთხელდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ „ელიავას სასტავს“ სხვადასხვა სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული კომპანია ქირაობდა, თუმცა დაუდასტურებელი ინფორმაციით, ხშირად ატყუებდა და ხელფასს არ უხდიდა... პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია ისევ გაივსო. მეტიც, თუ ადრე „ელიავას მუშები“, ძირითადად, დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, საჩხერე-ჭიათურიდან იყვნენ ჩამოსულები, ახლა აქ მთელ საქართველოს ნახავთ... კლიენტის მოლოდინში სიცივისგან გათოშილი და სახეაწითლებული მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად დგანან და პოტენციურ კლიენტს თვალს მოჰკრავენ თუ არა, ერთხმად ეკითხებიან, რა გაქვს გასაკეთებელიო. „ელიავას მუშების“ უმეტესობას, როგორც წესი, „საყველაფრო აქვს დამთავრებული“ — ოღონდ კლიენტი იშოვოს და არ დაეძებს, საქმეს პროფესიონალურად შეასრულებს თუ არა.

— უმუშევარი ვარ და აქ მაგიტომ ვდგავარ. ჭიათურიდან ვარ. მაღაროში სამუშაო ვერ ვიშოვე და აქეთ წამოვედი, დილიდან საღამომდე ველოდები, როდის გაჩერდება მანქანა, რომ ვინმემ სამუშაოდ წამიყვანოს, მაგრამ შეიძლება თვე ისე გავიდეს, ლარიც ვერ ვიშოვო. შეიძლება, გამიმართლოს და 3 000 ლარი ავიღო. სამუშაო ზაფხულში მეტი მაქვს, — მეუბნება ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც სიტყვას ღიპიანი „თანაბირჟელი“ აწყვეტინებს:

— ჯარში „პილოტად“ ვმუშაობ, ხელფასი 1 500 ლარი მაქვს, მაგრამ ფული ვის მორჩენია, რომ მე მომრჩეს? ამიტომ, ხანდახან აქ, „ბირჟაზეც“ გამოვდივარ და თუ სამუშაო გამოჩნდა, მშენებლობებზე ვმუშაობ ხოლმე. თვეში აქაც 1500-მდე ვშოულობ.

— ამბობენ, ბოლო დროს, „ელიავაზე“ მუშების რიცხვმა ისევ საგრძნობლად მოიმატაო. მართლა ასეა? — ისე მიამიტურად ვკითხულობ, თითქოს ვერ ვამჩნევ, რომ იქაურობა სამუშაოს მაძიებლებითაა გატენილი.

— კი, ეგრეა. ჯერ არჩევნები იყო, არჩევნების მერე კი, ქვეყანაში კრიზისული მდგომარეობაა, ხალხმა სამუშაო დაკარგა და ლუკმა-პურის საშოვნელად, ბევრი აქეთ წამოვიდა. ადრე, ძირითადად, დასავლეთიდან — საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონიდან — ვიყავით. ახლა კახელებიც შემოგვეპარნენ და ბათუმიდანაც ბევრია ჩამოსული.

— აბა, ბათუმი აყვავდა და სამუშაოც ბევრიაო?

— მარტო სააკაშვილისთვის ყვავის და ბრდღვიალებს ბათუმიცა და მთელი საქართველოც, მაგრამ რეალობა ბევრად მწარეა.

ადრე ჩვენი მხრის ხალხი სამუშაოდ თურქეთში დავდიოდით და ლუკმა-პურის ფულს ვშოულობდით, ახლა თურქები ძალიან გაფუჭდნენ და ზოგჯერ, მათხოვრულ გროშებსაც აღარ გვიხდიან, ამიტომ აქეთ ვარჩიეთ წამოსვლა, იქნებ, სამუშაო ვიშოვოთ — ქართველი კაცი იმას მაინც გადაგვიხდის, რაზეც გავურიგდებით. თუ ვინმემ ნამუსზე ხელი აიღო და ნამუშევარი არ მოგვცა, ან უჩივლებ ან წამოხვალ და სხვა სამსახურს იშოვი. უცხო ქვეყანაში კი, ხელ-ფეხი გაქვს შეკრული და დამქირავებლის კეთილსინდისიერებაზე ხარ დამოკიდებული — იცის რომ ვერ უჩივლებ და ამით სარგებლობს, — მეუბნება ბათუმელი მუშა.

— ახლა ზამთარია და სხვაგან სამუშაო არაა, — საუბარში მელოტი საჩხერელი მამაკაცი ერთვება, — სოფელში ჯერ არც მინაა დასამუშავებელი და „ელიავას ბირჟაზე“ მუშების რაოდენობა ამიტომაც გაიზარდა, თან ხელისუფლება რომ შეიცვალა, არ არის დალაგებული მდგომარეობა, ბევრი უმუშევარია — სააკაშვილმა ივანიშვილს მხარი ვერ აუწყო და ყველაფერი გააჩერა. პირადად მე, ათობით წელია, აქ ვდგავარ და ოჯახს ასე ვარჩენ. ხან 2 კვირაც გადის ისე, რომ სამუშაოს ვერ ვნახულობ. ხან კი, თვეში 7 000 ლარამდეც მიშოვია. ბოლო დროს განსაკუთრებით ბევრი ახალი მუშა შემოგვემატა, ძირითადად, რაიონებიდან არიან. კახეთიდან არის ძალიან ბევრი, ლტოლვილებმა, საერთოდ, თავი გადაგვჭამეს. კახელები გაზარმაცდნენ — ხვნა-თესვა აღარ უნდათ. ამბობენ, არაფერი გამოგვდისო და ნაწილმა „ელიავას ბირჟას“ მოაშურა. ნაწილმა კი, ივანიშვილის დარიგებული ფულით მანქანები შეიძინა და ტაქსაობს. ქალაქში ბოლო დროს ტაქსებიც ამიტომ მომრავლდა. საერთოდ, „ელიავას ბირჟა“ უმუშევარი კაცისთვის ბოლო გაჩერებაა — ვისაც უჭირს, ყველა აქ მოდის. ახლა მშენებლობის სეზონი არაა — ცივა, გაჩერებულია ყველაფერი და იძულებულნი ვართ, „ბირჟაზე“ დავდგეთ, იქნებ აქ მაინც გამოჩნდეს კლიენტი. სეზონი რომ დაიწყება, ხალხი სამუშაოდ გავა ობიექტებზე, ზოგიც სოფელში წავა მიწის დასამუშავებლად... აჭარიდან ჩამოსულები, კაპიკებად მუშაობენ და საქმეს გვიფუჭებენ. ამბობენ, ჩვენთვის ეს გროშებიც ბევრს ნიშნავსო...

ვერსიანიუსი

საპარლამენტო ფრაქციას „ქართული ოცნება — ეროვნული ფორუმი“ სოსო ვახტანგაშვილი უხელმძღვანელებს

საპარლამენტო ფრაქციას „ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი“ სოსო ვახტანგაშვილი უხელმძღვანელებს. როგორც „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გუბაზ სანიკიძემ „ინტერპრესნიუსს“ აცნობა, ფრაქციის თავმჯდომარედ სოსო ვახტანგაშვილის კანდიდატურა შეირჩა, მისი მოადგილე იქნება თემურ მაისურაძე, ხოლო ფრაქციის მდივნად შერჩეულია დეპუტატ გიორგი ხეჩინაშვილის კანდიდატურა.

„იმის გათვალისწინებით, რომ საუბარი იყო „ეროვნული ფორუმისა“ და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გაერთიანებების შერწყმაზე, გადავწყვიტეთ ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ შესვლა, რადგან ამ ეტაპზე, ორი პოლიტიკური ძალის გაერთიანება არ შედგა, ფრაქცია „ეროვნული ფორუმი“ უმრავლესობის შემადგენლობაში ცალკე ფრაქციად ყალიბდება. ამ გადაწყვეტილებაში კი ახალი და რაიმე სიურპრიზის შემცველი არაფერია“, — აღნიშნა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას გუბაზ სანიკიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

facebook NEWS

ნანა გაგუა

დიდი ამბებია ქვეყანაში: წულუკიანმა დააადიპლომა პირდაპირი ეთერი! კვესიტაძეს თაგვმა „ბანკიდან“ ყველი ამოუჭამა (გასკდა მაგისი მუცელი)! უგულავამ ჩუკენობა აკრძალა, პარლამენტმა — ულვაშა პრეზერვატივი! მიშამ ბობოყვათი ჩადო გირაოში! შაშკინი მოსწყდა ცას და ჩამობრწყინდა! ხაჩიძეს „უდიპლომო სარძლოსთან“ აქვს გაჩაღებული ჯვაროსნული ომი! „პირველი არხის“ ბორდ-ელებმა გააკულაკეს ბარათაშვილი! „ერისიონი“ კრემლშია, სტალინთან და სამშობლოს „ღალატობს“! წითელა და „ღორის გრიპი“ ერთობლივად გვიტევენ! პატიმარი ისევ გალახეს ციხეში! ტელევიზიები ქაქანებენ, გაზეთები კრიტიკოსობენ! და ამასობაში, არავის ახსოვს, რომ ხალხს ცივა, ხალხს შია და ხალხს სწყურია!

facebook NEWS

სანდრო ბარამიძე

ჯერ თქვეს, იურისტის დიპლომი არ აქვსო, მაგრამ მიუგეს, რომ აქვს დიპლომი, ოღონდ — უცხოური. ამის შემდეგ თქვეს, უცხოური დიპლომი კი აქვს, მაგრამ იურისტის არ არისო, მაგრამ მიუგეს, იმ უცხოური დიპლომით საფრანგეთში მოსამართლეებად ინიშნებიანო. ბოლოს თქვეს, ეგ დიპლომი იურისტის კი არის, მაგრამ სისხლის სამართლის იურისტის არ არისო, მაგრამ პასუხს ქართული კანონი იძლევა: საჭიროა უმაღლესი იურიდიული განათლება, თუმცა კანონის თანახმად, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი სფეროს იურისტი ხარ — სისხლის სამართლის, სამოქალაქოსი თუ ადმინისტრაციული სამართლის. დამთავრდა ეს ცირკი, მეგობრებო! შეეგუეთ მარცხს, არც — პირველს და არც — უკანასკნელს!

facebook NEWS

შორენა მარსაგიშვილი

თქვე დალოცვილებო, ის დაიჯერეთ, რომ 2008 წელს რუსეთს ომი მოუგეთ და წულუკიანის იურისტობა რა გახდა?

facebook NEWS

დავიდ ზურაბიშვილი

ესენი იმდენს იზამენ, საფრანგეთი წულუკიანის დიპლომის გამო ომს გამოგვიცხადებს. ჰოდა, ჩვენც დავნებდებით და დავისვენებთ! მე მგონი, არაა მთლად ცუდი ვარიანტი...

facebook NEWS

მანანა იაშვილი

23 წელია. ერთი და იგივე მესმის „1 არხიდან“, რომ „ჩვენ დამოუკიდებელი ვიყოთ პოლიტიკური გავლენისგან“, სამი ხელისუფლება გამოიცვალა, რით ვერ გათავისუფლდნენ? კიდევ საოცარია, რომ ერთი და იგივე სახეები ლაპარაკობენ. თავისუფლება კი ისეთი მოვლენაა, რომ თვითონ უნდა გახდე თავისუფალი, მერე მოდის თავისუფლება.

ჰოროსკოპი
8 მარტი

ვერძი — ვერძები დღეს ეურადღებით უნდა იყვნენ წვრილმანების მიმართ, რამდენად გლობალურიც უნდა იყოს ის საკითხები, რითიც ახლა ხართ დაკავებული.

კურო — დღეს ვიღაცას სასწრაფოდ დასჭირდება თქვენი დახმარება, ამან შესაძლოა, მთელი დღე წაიღოს, თუმცა ამის გამო, უარს ნუ იტყვით, რადგან დახმარება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

ტყუპები — ნუ გამოცდით ბედს და საახლეების არარსებობა კარგ ამბად მიიჩნიეთ. დაფიქრდით, ცვლილებები ნამდვილად გჭირდებათ თუ არა.

კირჩხიბი — დღე მდიდარია სტრესით, ამიტომ სჯობს, არ ჩაერთოთ კამათში და უარი თქვით შორეულ მივლინებაზე, თუ ამის საშუალება იქნება. ერთიცა და მეორეც კარგს არაფერს მოგიტანთ.

ლომი — ლომებისთვის დიდი რაოდენობით ინფორმაციის მიღებისა და კვლევების დღეა. მთავარია, ემოციებს ნაკლებად აუგეთ და ეველაფერი თავისთავად მოგვარდება.

ქალწული — ჯერჯერობით, შორს ხართ სწორი გადაწყვეტილების მიღებისგან, მაგრამ შეგიძლიათ თავი იმით დაიმშვიდოთ, რომ სწორ გზაზე დგახართ.

სასწორი — ენერგიას ტეუილუბრალოდ ემოციებზე ნუ დახარჯავთ, ამით მაინც ვერაფერს შეცვლით. დღეს სჯობს, ოჯახის საქმეებით დაკავდეთ და მეუღლო კარემო შეუქმნათ გარშემომყოფებს.

ღრიანკალი — დღეს თქვენ დიდი ძალისხმევის გაღება არ გჭირდებათ, ისე გადაეერებით უსიამოვნებას, თუმცა გულს ნუ გაიტეხთ, თქვენი მოხერხებულობის წყალობით, ამ პრობლემას ადვილად გაუმკლავდებით.

მშვილდოსანი — დღეს მშვილდოსნებისთვის აქტიური მოქმედების პერიოდი არ არის, სამაგიეროდ იდეალურია განსჯისთვის. სადამოს, შესაძლოა, სასიამოვნო სიურპრიზი მიიღოთ.

თხის რქა — დღეს თქვენი პრინციპულობა ბევრ ადამიანთან გაგიფუჭებთ ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ მორალური მხარდაჭერისა და რჩევისთვის მოსულ ადამიანებს ზურგს არ შეაქცევთ.

მერწყული — დღეს იმ საქმეს დაუბრუნდებით, რომლის მიმართ ინტერესი ადრე დაკარგეთ. ახლა ამ საკითხში წარმატება უდავოდ გელით, მთავარია, მოთმინება გამოიჩნოთ.

თევზები — დღეს თქვენი მომხიბვლელობა არ გაჭრის და ვერც იმ უხერხულ სიტუაციებს აარიდებთ თავს, რომელთა წარმოშობის ალბათობაც ძალიან დიდია, ამიტომ მოგიწევთ, მკაცრი იყოთ საკუთარი თავისა და გარშემომყოფების მიმართაც.

ყველაზე პატარა მასწავლებელი მსოფლიოში

იშვიათი გენეტიკური დაავადების გამო, ბიჭის ზრდა მაშინ შეჩერდა, როცა იგი ხუთი წლის იყო. ყველაფერს მივაღწიე, რაც მინდოდა და ოცნება ავისრულე, — აცხადებს 22 წლის პედაგოგი აზად სინგხი, რომელიც ინდოეთის ქალაქ ხარიანის ქალთა სკოლაში ასწავლის. აზადი მსოფლიოში ყველაზე პატარა მასწავლებელია. მისი სიმაღლე სულ 90 სანტიმეტრია, წონა კი 15 კილოგრამს შეადგენს და იძულებულია, ტანსაცმელი საბავშვო მაღაზიაში შეიძინოს. მოსწავლეები „ჩოტუს“ — „პატარა სერს“ უწოდებენ, თუმცა ეს სულაც არ სწყინს აზადს. დაფაზე რომ რამე დაწეროს, ამისთვის მაგიდაზე ასვლა უხდება. პედაგოგს 6 წლის ბავშვის გარეგნობა აქვს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, გოგონებს ინფორმატიკის საწყისები ასწავლოს. ახალგაზრდა ყმაწვილის დედა კი ძალიან ამაყობს შვილით, მით უმეტეს, რომ ის ახლა ფულს თავად შოულობს. აზადის ხელფასი თვეში 140 ევროს შეადგენს, რაც ინდოეთისთვის საშუალო ხელფასის რაოდენობას აჭარბებს.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



წინა ნომერში გასული სკანვორდის და სუდოკუს პასუხები



ადვილი

9	2	8	7	4	1	3	6	5
5	7	6	9	3	8	4	1	2
4	3	1	2	6	5	8	9	7
7	8	5	6	2	9	1	4	3
6	1	4	8	7	3	2	5	9
2	9	3	5	1	4	7	8	6
8	6	2	4	5	7	9	3	1
3	5	9	1	8	2	6	7	4
1	4	7	3	9	6	5	2	8

რთული

3	7	2	5	1	9	8	4	6
6	1	4	8	7	3	2	5	9
9	5	8	2	6	4	3	1	7
8	4	7	3	9	5	6	2	1
5	3	6	1	4	2	7	9	8
2	9	1	7	8	6	5	3	4
4	2	9	6	3	8	1	7	5
7	8	5	9	2	1	4	6	3
1	6	3	4	5	7	9	8	2

ულტრართული

5	4	3	2	1	9	8	7	6
8	2	1	7	6	5	4	3	9
9	7	6	8	4	3	5	2	1
3	6	7	5	2	1	9	8	4
4	5	2	9	8	7	1	6	3
1	9	8	6	3	4	2	5	7
7	3	9	4	5	8	6	1	2
2	1	5	3	9	6	7	4	8
6	8	4	1	7	2	3	9	5

ეჭვარული

8	4	1	9	3	5	7	6	2
7	9	2	1	8	6	5	4	3
6	3	5	7	2	4	8	1	9
5	8	4	6	1	3	2	9	7
1	2	9	8	5	7	6	3	4
3	7	6	4	9	2	1	8	5
4	6	3	5	7	1	9	2	8
2	5	8	3	6	9	4	7	1
9	1	7	2	4	8	3	5	6

ჰოროსკოპი
9 მარტი

ვერძი — ნურაფერს დაიჯერებთ, რაც საკუთარი თვალით არ გინახავთ. სხვისი სიტყვებიდან გამომდინარე, დასკვნების გაკეთება ისევე საშიშია, როგორც წაუკითხავი დოკუმენტების ხელის მოწერა.

კურო — თუ თქვენ გეჩვენებათ, რომ რაღაც არ გამოგივათ, სჯობს, ეს საქმე დღეს არ წამოიწყოთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს, რადგან მათ ეს ძალიან სჭირდებათ.

ტყუპები — დღეს ტყუპებს, შესაძლოა, საკმაოდ რთული გადაწყვეტილების მიღებამ მოუწიოს, რასაც თავისუფლების გარკვეული შეზღუდვა მოჰყვება, თუმცა ამის გამო, დასახულ გეგმებზე უარი ნამდვილად არ უნდა თქვათ.

კირჩხიბი — დღეს საკმაოდ ადვილად შეძლებთ ფინანსური საკითხების გადაჭრას. ყურადღება მიაქციეთ, რას ლაპარაკობთ, დაუფიქრებლად წამოსროლილმა ფრაზებმა, შესაძლოა, დიდი უსიამოვნება მოგიტანოთ.

ლომი — ლომებისთვის დღეს პრიორიტეტი საკუთარი საქმეები უნდა იყოს, განსაკუთრებით ის, რაც ნაზ გრძნობებს ეხება. სხვა ყველაფერი მოიცდის და ამის გამო, არავინ გაგინაწყენდებათ.

ქალწული — დღეს, რაც უნდა ეგოისტურად ჩანდეს, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედეთ, ამით დროისა და ენერგიის ეკონომიას გასწევთ.

სასწორი — დღეს მეგობრები გაიხსენეთ. ყოველდღიურმა პრობლემებმა მათი არსებობა ლამის დაგავიწყათ, ამიტომ დაუკავშირდით და დრო სასიამოვნოდ გაატარეთ.

მორიელი — დღეს სჯობს ცოტა რბილად მოიქცეთ, საკუთარი თავისა და გარშემომყოფების მიმართ ზედმეტად მომთხოვნი და კრიტიკული ხართ, კარგი იქნება თუ გაითვალისწინებთ, რომ ასეთი დამოკიდებულება არავის მოსწონს.

მშვილდოსანი — შესაძლოა, დღეს თქვენი ცხოვრება საჯარო განხილვის საგანი გახდეს, ამიტომ კარგად დაფიქრდით, როგორ უნდა აარიდოთ თავი უსიამოვნებას და შექმნილი ვითარებიდან მოგებული როგორ გამოხვიდეთ.

თხის რქა — დღეს თავს ნუ გამოიდებთ ფიცი-მტკიცით და თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან, დაფიქრდით, ხვალ შეიძლება საკუთარი სიტყვები უკან წაიღოთ.

მერწყული — ნუ შეეცდებით გონების ძალით მთის გადაგორებას — ეს არ გამოგივათ. ნუ დასჯით იმ ადამიანებს, ვისი დასჯაც შეგიძლიათ, რადგან მათ ეს არ დაუმსახურებიათ.

თევზები — თევზებმა დღეს, შესაძლოა, ისეთი იმპულსები მიიღონ, რაც ორი-სამი კვირის განმავლობაში ეყოფათ. კარგი იქნება, ამ მუხტს ერთ დღეში თუ არ დახარჯავთ, რადგან სამომავლოდ თქვენს მიერ შესასრულებელი საქმე ძალიან დიდ ენერგიასა და შრომისუნარიანობას მოითხოვს.

ამერიკელი ქათმების ძიძა გახდა

ამერიკელმა ქალბატონმა ლინდა უოკერმა, რომელიც ორეგონის შტატში, პორტლენდში ცხოვრობს, ქათმების ძიძის სპეციალობა აითვისა. მან საკუთარი კარიერა, რამდენიმე თვის წინ, ასე უჩვეულო პროფილით დაიწყო და ახლა, მისივე თქმით, სამუშაოთი დიდ სიამოვნებას იღებს. ის ქათმის ძიძის მომსახურებას სთავაზობს ადამიანებს, ვისაც გამგზავრებისას, შინ საყვარელი ფრინველების დატოვება უხდება. უოკერი ყვება, რომ მის მოვალეობაში შედის, თვალი ადევნოს ქათმებსა და მამლებს, აჭამოს, დილით გარეთ გამოიყვანოს და საღამოს დააბინავოს საქათმეში. თუ ქათმები სადმე გაიჭედებიან, მაგალითად მავთულის ღობეში, ყოველთვის მზად არის დასახმარებლად. როგორც ლინდა აცხადებს, მას ძალიან მოსწონს ქათმების მოვლა — ეს უკეთესია, ვიდრე უსაქმოდ ჯდომა და ტელევიზორის ყურება. რა საფასურს იღებს პორტლენდელებისგან ამ სამსახურში, უცნობია, სამაგიეროდ, ამბობს, რომ ასეთი სერვისის შეთავაზების იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ერთხელ მეგობრის ქათმებს მიხედა. ამერიკელი ქალი იმედოვნებს, მისი სამუშაო აუცილებლად დასჭირდებათ პორტლენდის მაცხოვრებლებს.

ყველაზე საშიში პროდუქტები დაასახელეს

ზოგიერთი საკვები პროდუქტის ყოველდღიური მოხმარება სიმსივნურ წარმონაქმნს იწვევს. საშიში საკვების სია პოპულარულმა ამერიკელმა დიეტოლოგმა ჯარედ კოხმა შეადგინა. მისი მონაცემებით, ამ ჩამონათვალში პირველი ადგილი კონსერვირებულ ტომატს ერგო — განსაკუთრებით კი თუნუქის ქილებში შენახულს. როგორც სწავლულმა ახსნა, ნებისმიერი კონსერვი შეიცავს ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერება ბისფენოლს, ტომატის სიმჟავე კი მეტალთან კონტაქტისას, მის კონცენტრაციას ზრდის, ამიტომ პომიდვრის მირთმევა ყოველთვის უმი სახით სჯობს. სიის მეორე ადგილზე ხორციანი ნახევარფაბრიკატებია — მაგალითად, სოსისი, ძეხვეული, შებოლილი პროდუქტი, ბეკონი. მათში დიდი რაოდენობით ჰორმონები, ნიტრატები და სხვა დანამატებია. ყველაზე მავნე საკვების ჩამონათვალში მესამე საფეხურზე მარგარინი გავიდა. ის ტრანს-მჟავებს შეიცავს, რაც სისხლძარღვებს აზიანებს და გულსისხლძარღვთა დაავადებების გამოწვევა შეუძლია, ასევე სიმსუქნესა და ონკოლოგიურ დაავადებებსაც ავითარებს. გარდა ამ პროდუქტებისა, ჯარედ კოხის მოსაზრებით, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს ასევე რაფინირებული მცენარეული ზეთი. მასში ომეგა-6-სა და ომეგა-3 ცხიმმჟავების შეფარდება 15:1-ს შეადგენს, არადა, ნორმა 1:1-ზეა. ეს კი ორგანიზმში ანთებით პროცესებს იწვევს. დიეტოლოგმა ადამიანისთვის მავნე პროდუქტების სიაში შეიყვანა ასევე მარილი, სოიოს პროდუქტები, რაც ორგანიზმში დისბალანსს იწვევს. ასევე ხელოვნური დამატკბობლები, რაც წონის ზრდის სტიმულირებას ახდენს და კანცეროგენული თვისებები აქვს.

ამერიკელებს სახლში ტანკები უდგათ

აშშ-ს მოქალაქეები, გარდა შაშხანებისა და პისტოლეტებისა, სახლში საბრძოლო მოქმედებისთვის მზადმყოფ ჯავშანტექნიკას ინახავენ. ყველაზე დიდი პოპულარობით კი მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ტანკები სარგებლობს. საკუთარ ავტოფარეხში ტანკის შენახვა ძვირი სიამოვნებაა. მისი კაპიტალური რემონტი, დაახლოებით, 100 ათასი დოლარი ჯდება, საწვავის ხარჯი კი 100 კილომეტრზე 300 ლიტრს აჭარბებს, თუმცა ტანკის ნებისმიერ მფლობელს შეუძლია, ის საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდეს, თუკი მისთვის ჭურვებს იშოვის. გარდა ამისა, თუ კონკრეტულ შტატში ან ქალაქში რაიმე აკრძალვა არ მოქმედებს, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, 200 დოლარად იყიდოს ასაფეთქებელი ნივთიერების ფლობის ფედერალური ლიცენზია. ამისთვის მხოლოდ იმის დამტკიცება მოუწევთ, რომ არ არიან ძებნაში ან ფსიქოპათები. ასევე ტანკის მფლობელს მისი მართვის შესაბამისი უფლება უნდა ჰქონდეს. მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ჯავშანტექნიკა პოპულარულია, მაგრამ იშვიათი, ამიტომ მას კოლექციონერები უფრო ყიდულობენ. 2011 წელს ჰოლივუდელმა ვარსკვლავმა, ბრედ პიტმაც იყიდა საბჭოური ტანკი და ლოს-ანჯელესში, სახლის ავტოფარეხში დადგა. უნდა ითქვას, რომ ხელის ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელებისგან განსხვავებით, ტანკების მესაკუთრენი გაცილებით ნაკლებ პრობლემებს უქმნიან აშშ-ს ხელისუფლებას — ერთი-ორჯერ სუპერმარკეტში თუ გაისეირნებენ ტანკზე ამხედრებულები ან ფუჭ ჭურვებს გაისვრიან.



მთვარე ადამიანისთვის საშიშია

დედამიწის თანამგზავრი საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, — ასეთი დასკვნა გამოიტანა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც ცნობილი მეცნიერები შედიოდნენ. მათ შორის იყვნენ ხუთი ქვეყნის წარმომადგენელი რადიოლოგები, ფარმაკოლოგები, ფიზიოლოგები, ტოქსიკოლოგები და სხვა სფეროს სწავლულები. ეს ჯგუფი დიდი ხნის განმავლობაში მთვარის გრუნტს სწავლობდა და მისი შემადგენლობის შესახებ თავისი ვერდიქტი გამოიტანა. აღმოჩნდა, რომ მთვარის მტვრის შესუნთქვა ნეგატიურად მოქმედებს ადამიანზე. გრუნტის ძალიან მცირე ნაწილაკები ვნებს გულსისხლძარღვთა სისტემას და სხვა ორგანოებს. ის ფაქტიც კი, რომ კოსმონავტები დამცავ სკაფანდრებში არიან, ვერ იცავს მათ გართულებებისგან. როცა მთვარის მოდულში კოსმონავტი სკაფანდრს იხდის, ის მაინც შეისუნთქავს მთვარის მტვერს და ამით თავს საფრთხის ქვეშ აყენებს.

სუდოკუ

ადვილი

9	8			7				1
	3		9					
		5	6					
	7	2				5		8
1	6						3	7
5		8				2	1	
					3	4		
					9		7	
6				8			5	3

სტანდარტი

6	5	4			8	7		3
			9			6	8	
5							2	
1	8		5	9	4		7	6
	4							8
	7	8			6			
4		6	7			1	3	9

რთული

	2							
	8					1	6	4
3		6			7	2		
4	7			8	1			3
				5				
6			4	3			7	1
		3	6			5		8
5	9	8					4	
							1	

ექსპერტი

				8	1	9		5
	1				6		8	4
							2	
		1			7			
4		9				1		8
			1			5		
	8							
1	3		2				4	
9		4	8	6				

ირანში ცხვირის ოპერაციების ბუმია

რაც უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, აღმოჩნდა, რომ ირანი, ეს რადიკალურად განწყობილი ისლამური ქვეყანა, რინოპლასტიკის ცენტრია და ცხვირის ოპერაციების რაოდენობის მიხედვით, ისეთ ქვეყანასაც კი გაუსწრო, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ირანელი სუსტი სქესის წარმომადგენლები ოცნებობენ, ისეთი ფორმის ლამაზი ცხვირი ჰქონდეთ, როგორც ჰოლივუდელ ლამაზმანებს. ყოველწლიურად ამ ისლამურ რესპუბლიკაში 200 ათასი მსგავსი პლასტიკური ოპერაცია ტარდება მიუხედავად იმისა, რომ რინოპლასტიკის ღირებულება რამდენიმე თვის ხელფასის ოდენობას აღწევს. ადგილობრივი მედიის ცნობით, ბევრი ქირურგი ლიცენზიის გარეშე მუშაობს, თუმცა აქაურები სიცოცხლეს მაინც საფრთხეში იგდებენ, რადგან ასე, წარმატებით გათხოვების შანსი ორჯერ იზრდება.

პატიმრებს ვადას კითხვით უეუცვლიან

ბრაზილიელ პატიმრებს შეუძლიათ, სასჯელის ვადა წიგნების კითხვით შეიმცირონ. შესაბამისი კანონი უკვე გამოქვეყნდა ოფიციალურ სახელმწიფო გამოცემაში. პროგრამა, რომელსაც „კითხვით გამოსყიდვა“ უწოდეს, ქვეყნის ოთხ ფედერალურ ციხეში ამოქმედდება. ყოველ წაკითხულ წიგნზე პატიმარს ვადა ოთხი დღით შეუმცირდება. ამასთან, წელიწადში 12 წიგნი მაინც უნდა „ჩააბულბულოს“. ასე რომ, მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ, ყოველწლიურად ვადა 48 დღით შეიმცირონ, საკითხავის არჩევანი კი საკმაოდ დიდია, ციხის ბიბლიოთეკებში მხატვრული, ფილოსოფიური წიგნები, სამეცნიერო ნაშრომები უხვადაა. ერთი წიგნის წასაკითხად მათ 21-დან 30 დღემდე ეძლევათ. მას შემდეგ, რაც კითხვას მორჩებიან, ესსე უნდა დაწერონ, რომელსაც ციხეში მომუშავე ექსპერტები შეამოწმებენ. თუ დამნაშავეს პლაგიატზე ან გადაწერაზე დაიჭერენ, მას პროგრამაში მონაწილეობას აუკრძალავენ.

ინფარქტის საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნეს

შვედმა მეცნიერებმა ლინდსის უნივერსიტეტიდან ვაქცინა შექმნეს, რომელიც ადამიანს გულსისხლძარღვთა ისეთი დაავადებების განვითარებისგან დაიცავს, როგორიც ინფარქტია. ვაქცინა განსაკუთრებული ქიმიური ნაერთია, რომელიც იმუნური სისტემის სტიმულირებას ახდენს და უშუალოდ, დაავადების განვითარების მიზეზზე — ათეროსკლეროზზე ახდენს გავლენას. ათეროსკლეროზი არტერიების ქრონიკული დაავადებაა. თუ გულის მკვებავ არტერიაში თრომბი წარმოიქმნა, მიოკარდის ინფარქტი ვითარდება, ხოლო თუ ტვინის მკვებავ არტერიაში გაჩნდა, ინსულტი გარდაუვალია. შვედების მიერ შექმნილი ვაქცინა ხელს უშლის სისხლში ქოლესტერინის დაგროვებას და არტერიების კედლებზე კოლტების წარმოქმნას, რაც პაციენტებს საშუალებას აძლევს, თავი დაიცვან ინფარქტისა და ინსულტისგან. ამ ვაქცინასთან ერთად, სწავლულები ახლა აეროზოლის სახით პრეპარატის შექმნაზე მუშაობენ. როგორც ვარაუდობენ, ვაქცინა აფთიაქებში უახლოეს ხუთ წელიწადში გამოჩნდება.

იაპონელები მეგობრებს ქირაობენ

ამომავალი მზის ქვეყანაში ახალგაზრდებს ძალიან უჭირთ მეგობრების შეძენა, ამის გამო თავს მარტოსულად გრძნობენ და უმრავლესობა ცდილობს, სამსახურის შემდეგ, დრო დაქირავებულ მეგობართან გაატაროს. ტოკიოში კომპანია Client Partners კლიენტების ნაკლებობას არასოდეს უჩივის და ადმინისტრაციაც მომხმარებელს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს: შეგიძლიათ დაიქირავოთ ადამიანი, რომელიც წვეულებაზე ფოტოსურათებს გადაგიღებთ, სახლის დალაგებაში დაგეხმარებათ, მაგრამ ყველაზე პოპულარული მაინც მეგობრის დაქირავებაა. აღსანიშნავია, რომ კლიენტს ამ ახლო „მეგობართან“ სექსუალური კონტაქტი ეკრძალება.

ფილმის ნახვის შემდეგ მონობა გააუქმეს



ორი „ოსკარის“ მფლობელი, სტივენ სპილბერგის ფილმი „ლინკოლნი“ არა მხოლოდ სურათია აშშ-ს პრეზიდენტის შესახებ, არამედ, როგორც აღმოჩნდა, მას უმაღლეს ინსტანციებზე გავლენის მოხდენაც შეუძლია. სწორედ ამ ფილმის წყალობით, მისისიპის შტატში, როგორც იქნა, ოფიციალურად გააუქმეს მონობა. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია — ამ შტატში, კანონმდებლობით, ჯერ კიდევ არ იყო მიღებული კონსტიტუციის მე-13 შესწორება, მონობის აკრძალვის შესახებ. 1865 წელს მისისიპის ხელისუფლებამ უარი თქვა მასზე. რასაკვირველია, არავითარი მონები იქ კარგა ხანია აღარ იყვნენ, მაგრამ შტატის კანონების მიხედვით, აქაურებს ადამიანის ყიდვის ან გაყიდვის უფლება ჯერ კიდევ ჰქონდათ. უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა, როცა ფილმი „ლინკოლნი“ ნახა, საარქივო დოკუმენტებს გაეცნო და მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა ეს ფაქტიც. მაშინვე აცნობა ამის შესახებ ზემდგომ ინსტანციებს და შედეგიც სახეზეა — მისისიპიში მონობის ფორმალური გაუქმება შედგა. როგორც ჩანს, კინოხელოვნებას ჯერ კიდევ დიდი ძალა აქვს.

მსოფლიოს უცნაური ქორწილები

ქალი გაზაფხულს ჰგავსო და ალბათ, ამიტომაც ზეიმობენ ქალთან დაკავშირებულ ყველა დღესასწაულს გაზაფხულის პირველ კვირას. ორიგინალობით გამორჩეული ქართველები კი დედის დღეს 3 მარტს ვზეიმობთ, ქალთა დღეს — 8 მარტს, თუმცა რატომ, ამაზე პასუხი ჩვენს კანონმდებლებს არ აქვთ, მაგრამ ფილოსოფიაში ნუ გადავიჭრებით... ასეა თუ ისე, ყველა ქალი დედობაზე ოცნებობს და, შესაბამისად, სასურველ მამაკაცთან ქორწინებაზე. ჰოდა, ყველას გილოცავთ დედის დღეს, ქალთა დღეს, გაზაფხულის შემობრძანებას და გთავაზობთ საინტერესო ფაქტებს ქორწინების შესახებ. ვინ იცის, ოცნებებში საით გაგიწევთ გული!

ინდოეთში ადრე, სიძესა და პატარძალს არ ჰქონდა პირველი საქორწინო ღამე. ოთხი დღის განმავლობაში, საწოლში მათ უდუმბრას ხის ჯოხს უდებდნენ, რომელიც ღვთაება ვიშვავასუს განასახიერებდა. ცერემონია მთავრდებოდა გაკვეთილით, რომლის დროსაც ახალდაქორწინებულებს სექსუალურ ცხოვრებაში თავშეკავებასა და მომავალი ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვას ასწავლიდნენ.

კუნძულ ბალიზე არსებული ტრადიციის მიხედვით, საქორწინო ცერემონიალზე, სიძესა და პატარძალს კბილების ნაწილს ახერხავენ, თანაც ნარკოზის გარეშე. აქაურებს მიაჩნიათ, რომ ასე მათ არასდროს გამოეზრდებათ ეშვები და არ გახდებიან ბოროტების სამეფოს წარმომადგენლები.

კენიაში სასიძომ ქორწილამდე ერთი თვის განმავლობაში ქალის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სამკაულები უნდა ატაროს, რათა „ქალის ტვირთი“ გაითავისოს.

მაროკოში ქორწილი 4-დან 7 დღემდე გრძელდება. ვიდრე პატარძალი ახალ სახლში შევა, მან სამჯერ უნდა შემოუაროს შენობას, ქორწილის წინ კი რძის განმწმენდი აბაზანა უნდა მიიღოს.

ნიგერიაში მამაკაცმა თავის რჩეულთან მისასვლელად საკმაოდ ძნელი გზა უნდა გაიაროს — ჯოხებით შეიარაღებული საპატარძლოს ნათესავები ორ რიგად დგებიან, სასიძომ კი მათ შორის უნდა გაიაროს. ამასთან, მომავალი სიდედრი, სიმამრი და მათი მრავალრიცხოვანი ახლობლები მთელი ძალ-ღონით ცდილობენ, რაც შეიძლება მტკივნეული დარტყმა მიაყენონ სიძეობის კანდიდატს.

ყველაზე იაფფასიანი ქორწილი ინდოეთში, ნანდჰარის ტომში გაიმართა. ცერემონიაზე სულ 1 რუპია და 25 პაისი დაიხარჯა. საქმე ის არის, რომ ამ ტომში ტაბუდადებულია ქორწილების აღნიშვნა, სიმდიდრისა და სილამაზის დემონსტრირება, საჩუქრების მირთმევა და მზითვის გატანება.

ოკეანიის კუნძულებზე საქმრო ისე ენდობა თავის მეგობრებს, რომ ისინი საცოლეს ქალწულობას ქვის დანით აკარგვინებენ, მერე კი მასთან სექსუალურ ურთიერთობას ამყარებენ. შემდგომი სამი დღის განმავლობაში, საპატარძლოსთან ტომის ყველა მამაკაცს შეუძლია დაწოლა. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის პატარძალი მთლიანად საქმროს საკუთრებაში.

აფრიკის ზოგიერთ ტომში სასიძო მიდის საცოლის მამასთან, რომელიც მისი სხეულის ინტიმურ ნაწილებს ამოწმებს, შემდეგ ასახელებს რიცხვს, რამდენჯერ უნდა დააკმაყოფილოს მომავალმა სიძემ სასიდედრო. ასე რომ, გამოცდა ღამის გამძლეობაზეა...

ადრე ევროპაში ასეთი მხიარული ტრადიცია იყო: საპატარძლოს მშობლები აცხობდნენ ნამცხვარს, დებდნენ თეფშებზე და ფანჯრებიდან ყრიდნენ. მიიჩნეოდა, რომ ქალიშვილის ქორწინება ბედნიერი იქნებოდა, თუ თეფშები მრავალ ნაწილად დაიმსხვრეოდა.

XVII-XIX საუკუნეების ევროპაში პატარძალს კაბის სახელოებზე ბაფთებს უკეთებდნენ. რაც ბედნიერების ნიშანი იყო. მოგვიანებით, ეს ტრადიცია მიივიწყეს, მაგრამ ბაფთები არ დავიწყებიათ — ლენტებმა ეკიპაჟებზე, მერე კი მანქანებზე გადაინაცვლა. ახლა ალბათ ძნელია, საქორწინო მანქანა ფერად-ფერადი ლენტების გარეშე წარმოიდგინო.

ინგლისის ჩრდილოეთში საქორწინო ბლინებს შუაზე ტეხდნენ და მას თავზე აყრიდნენ პატარძალს. მიაჩნდათ, რომ თუ სტუმრებიდან რომელიმე ახალგაზრდა გოგონა ამ ბლინის ნაჭერს შეჭამდა, სიზმარში მომავალ მეუღლეს ნახავდა.

მაკედონიური ტრადიციები სქესთა თანასწორობის ერთგვარი გამოვლინებაა. ქორწინების პირველ ღამეს შეუღლებულებს სარდაფში კეტავენ, სადაც ისინი ერთმანეთს საქორწინო ნადავლის — ქუდისა და ფეხსაცმლის წართმევაში ეჯიბრებიან. თუ ქუდს ცოლი წაართმევს, ეს ნიშნავს, რომ ის ბედნიერი იქნება ოჯახში, ხოლო თუ მოახერხებს და ფეხსაცმელსაც თვითონ „დაითრევს“, ქმარი მუდამ მორჩილი ეყოლება.

ინდოეთში გოგონებს გათხოვება 16 წლის ასაკიდან შეუძლიათ, ჭაბუკებისთვის კი (უფრო სწორად ბიჭებისთვის) ოჯახის შექმნა 5-6 წლიდან არის ნებადართული. საქორწინო ცერემონიის შემდეგ, ოჯახის წევრი ერთ-ერთი მამაკაცი ახალდაქორწინებულებს თავზე ყვავილების ფურცლებს აყრის, რაც ბოროტი ძალებისგან მათ დაცვას ნიშნავს. ავი სულების განსადევნად კი, ახალგაზრდების თავზე ქოქოსის კაკალს სამჯერ შემოატარებენ.

საქორწინო ძღვენის მირთმევის ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოდის. ამ „მარადიულ ქალაქში“ ახალგაზრდებს ცოლ-ქმრად მანამდე არ მიიჩნევდნენ, ვიდრე ისინი ერთდროულად არ შეჭამდნენ საქორწილო ტორტის თითო ნაჭერს. გარკვეული დროის შემდეგ, რომაელებმა შედარებით გაამარტივეს ეს ტრადიცია და ქორწინება ნამდვილად მაშინ ჩაითვლებოდა, თუ სიძე-პატარძალი ერთმანეთში ცომისგან გამომცხვარ ბლინებს გაცვლიდა.

გთხოვთ დაეხმაროთ!

ნატალია სარდლიშვილს ექიმებმა დაუსვეს სისხლძარღვოვანი კეთილთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი. დაავადება საქართველოში არ იკურნება. სიმსივნე იწვევს ბავშვის ძლიერ დამახინჯებას და ასევე საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, რადგან სიმსივნე გარდა სახისა განლაგებულია პირის ღრუში, თვალსა და ყურში. ნატალიას ჩაუტარდა მკურნალობის ნაწილი და მას აქვს გასაოცარი შედეგები. სამწუხაროდ, ოჯახს აღარ გააჩნია არავითარი საშუალება, მკურნალობის გასაგრძელებლად, რომელიც უნდა იქნეს ჩატარებული ბერლინში.

საბანკო რეკვიზიტები: GE22BG 0000000 893180100 (საქართველოს ბანკი)

მიმღები: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ჰემანგიომა2009“

დარეკეთ: 0 901 700 324

577-187704, 577-187705. ტრისტანი

Geocell Beeline



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.